Of these most important is the provision of equitable access to digitized cultural heritage. Digital archives certainly democratize access by overcoming geography and institutional barriers, yet selection procedures that determine which material is digitized can insidiously reproduce established academic biases. Prioritizing canonical or most studied texts risks excluding less known traditions, vernacular literatures, or non-hegemonic cultural voices, thereby channeling scholarly attention and cultural memory in incomplete and exclusionary ways. A responsible philological praxis must therefore insist on inclusivity and diversity in digitization processes, attempting to represent various textual traditions and contexts. It should be added, that authorship attribution and intellectual property rights themselves create extra ethical problems in collaborative digital work.

Philological scholarship increasingly depends on the collaborative efforts of interdisciplinary teams of scholars, digital technologists, librarians, and institutional partners. Efforts should be recognized in an apparent and equitable manner to maintain scholarly integrity and inspire confidence in such collaborative networks. Transparent documentation of editorial procedures, data provenance, and algorithmic manipulations is essential to guarantee accountability and scholarly integrity. Disregard for these regulations risks undermining scholarly integrity and compromising future collaborations on the basis of distrust or intellectual property rights. The growing application of adaptive learning spaces in philological education highlights concerns regarding privacy and information security. These websites routinely extract rich user information to deliver pedagogy tailored to individual student profiles, raising significant issues of the integrity of data, consent, and surveillance implications. Sound ethical frameworks must govern the collection, storage, and use of personal information,

with a view to enabling disclosure and allowing learners to retain agency over their data. Failure to impose strong protections may undermine the dignity of students and destroy trust in learning technologies that seek to empower rather than exploit.

Comments by leading digital humanities scholars such as Johanna Drucker and Matthew K. Gold underscore the importance of infusing inclusivity and democratization at the very heart of digital philology. Drucker's call for interpretive flexibility requires systems that acknowledge complexity and avoid reductive categorization, while Gold calls for the need for expansive participation and access in determining equitable digital knowledge infrastructures. Their positions force philologists to eschew technological determinism and exclusion, building platforms that amplify marginalized voices and facilitate diverse scholarly interactions. Such consistent ethical consciousness therefore requires a subtle balance: embracing new methods without compromising philology's humanistic ideals of critical reflection, cultural sensitivity, and scholarly equity. Digital philology not only must leverage technological potential but also actively subvert the socio-cultural dimensions of its tools and processes. Such reflective stance requires ongoing dialogue among scholars, technologists, and stakeholders to ensure that digital innovations are employed as instruments of empowerment and equity rather than instruments of exclusion or domination. Future-proofing the discipline of philology involves synthesizing novel neuroscientific discoveries with computational models in order to tailor language learning to individual cognitive profiles.

This confluence promises individualized pedagogical pathways that engage students with the honing of their engagement with complex grammatical constructions in ancient and Romance languages alike. Meanwhile, haptic technology and virtual reality immersion offer an enhanced multisensory interface to manuscripts, offering tactile and spatial access in addition to visual inspection. These technologies expand access, stimulating more material comprehension while democratizing engagements with fragile cultural artifacts. In textual restoration, advanced machine learning processes use probabilistic pattern matching to propose likely restorations of lacunose or damaged sections, strictly preserving the precedence of professional philological judgment in final validation. Similarly revolutionary are natural language generation systems, which enable the creation of nuanced stylistic and dialectic capabilities through producing historically informed textual models and providing feedback tuned for the individual in philological pedagogy. Central to this is that these technological advances are complementary adjuncts, not substitutes for conventional methods, so that philology still retains its humanist basis in critical interpretation and cultural sensitivity. Long-term evolution of the field depends on good interdisciplinarity among philologists, linguists, neuroscientists, and technologists whose collective strengths couple innovation with ethical standards, educational objectives, and cultural responsibility—thus ensuring a rich, reflective future for digital philology.

References:

1. Bentley, Richard. *A Dissertation upon the Epistles of Phalaris*. London: J. Tonson, 1697.
2. Benveniste, Emile. *Problems in General Linguistics*. Translated by Mary Elizabeth Meek. Coral Gables, FL: University of Miami Press, 1971.
3. Clivaz, Claire. "Digital Philology and Beyond: Current Trends in Manuscript Studies." In *Digital Classical Philology: Ancient Texts in the Digital Age*, edited by Gregory Crane and Claire Clivaz, 23–48. Cambridge, MA: Open Book Publishers, 2020.
4. Crane, Gregory. *Text Machines: Digital Humanities and the Transformation of Classical Studies*. New York: Routledge, 2013.
5. Drucker, Johanna. *Performative Metatexts*. Chicago, IL: University of Chicago Press, 1994.
6. Drucker, Johanna. "Humanities Approaches to Graphical Display." *Digital Humanities Quarterly* 5, no. 1 (2011). <https://dhq-static.digitalhumanities.org/pdf/000071.pdf>.
7. Gold, Matthew K., ed. *Debates in the Digital Humanities*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press, 2012.
8. Maiden, Martin, and Wendy Ayres-Bennett. *The Cambridge History of the Romance Languages: Volume 1: Structures*. Cambridge: Cambridge University Press, 2011.
9. Maiden, Martin, and Wendy Ayres-Bennett. "Philology and Romance Linguistics." In *Oxford Handbook of Romance Linguistics*, edited by Martin Maiden, John C. Smith, and Adam Ledgeway, 3–25. Oxford: Oxford University Press, 2016.
10. Valla, Lorenzo. *Elegantiae linguae latinae*. Edited by Kemp Malone. Oxford: Clarendon Press, 1956.
11. Wilamowitz-Moellendorff, Ulrich von. *Griechische Tragödien mit Einführung und Anmerkungen*. Berlin: Weidmann, 1887–1922.
12. Easton, M. Andreas, et al. "Multispectral Imaging of the Archimedes Palimpsest." *Proceedings of the ACM Symposium on Applied Computing*, 2003, 89–93.
13. Kwong, Marianne, and Mark Hedges. "Digital Preservation of the Oxyrhynchus Papyri." *International Journal of Digital Libraries* 18, no. 2 (2017): 145–58.
14. Berti, Maurizio, and Mara Cornog. "Computational Linguistics and the Study of Classical Texts." In *Advances in Digital Humanities*, edited by John Unsworth et al., 89–114. London: Palgrave Macmillan, 2015.
15. Gregory, Andrew. "Applications of Geographic Information Systems to Classical Philology: Mapping Ancient Manuscript Provenance." *Journal of Classical Studies* 58, no. 3 (2019): 453–75.
16. Rehbein, Malte. "Text Encoding and Digital Editing in Classical Philology." *Digital Medievalist* 9 (2013). <https://digitalmedievalist.org/journal/9/rehbein/>.
17. Bernardi, Giulia. "Corpus Linguistics Approaches to Old French: Methodologies and Challenges." *French Studies* 72, no. 1 (2018): 34–54.
18. Wackernagel, Jakob. *French Historical Linguistics*. Oxford: Basil Blackwell, 1992.
19. Wright, Roger. "Philology, Lexicography and Semantic Change." In *Historical Linguistics 1999*, edited by G. Booij et al., 67–94. Amsterdam: John Benjamins, 2000.
20. Ayres-Bennett, Wendy. *Language and the Construction of Identity in the French-speaking World*. Cambridge: Cambridge University Press, 2014.
21. Simpson, James. "Digital Pedagogy in Philology: Teaching Through Virtual Manuscript Libraries." *Teaching Philology* 4, no. 2 (2021): 112–29.
22. Bhatia, Shashi et al. "Adaptive Learning Technologies and Their Impact in Philological Education." *Journal of Educational Technology and Society* 22, no. 3 (2019): 234–49.
23. Friederici, Angela D. *Language in Our Brain: The Origins of a Uniquely Human Capacity*. Cambridge, MA: MIT Press, 2017.
24. Johnson, Mark. "Haptic Technologies and Textual Engagement: New Modalities in Manuscript Studies." *Digital Scholarship in the Humanities* 35, no. 4 (2020): 658–75.
25. Vasilescu, Mihaela. "Machine Learning in Philological Text Reconstruction." *Philologia Digitalis* 12 (2022): 1–29.
26. Bird, Steven, Ewan Klein, and Edward Loper. *Natural Language Processing with Python: Analyzing Text with the Natural Language Toolkit*. Sebastopol, CA: O'Reilly Media, 2009.

27. Burnard, Lou, and Syd Bauman. *TEI P5: Guidelines for Electronic Text Encoding and Interchange*. Chicago, IL: Text Encoding Initiative Consortium, 2013. <https://tei-c.org/guidelines/p5/>.
28. Gold, Matthew K., and Lauren F. Klein, eds. *Debates in the Digital Humanities 2019*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press, 2019.
29. Richards, Tilo. "Ethics and Data Sovereignty in Digital Humanities." *Digital Humanities Quarterly* 12, no. 3 (2018). <https://dhq-static.digitalhumanities.org/pdf/000347.pdf>.

შორენა ბარბაქაძე, ქეთევან რეხვიაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: ketevan.rekh@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.02>

SJIF 2025: 8.584

ციფრული ფილოლოგია: კლასიკური საფუძვლები, თანამედროვე განვითარება და მომავლის პერსპექტივები

წინამდებარე ნაშრომი წარმოგვიდგენს ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების ტრანსფორმაციას, იკვლევს მის ტრანსფორმაციას ტრადიციული ეპისტემოლოგიური პარადიგმიდან თანამედროვე დიგიტალურ კონცეფციამდე, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ტრადიციული ფილოლოგიური მეთოდებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ურთიერთკომპლემენტარულ მიმართებაზე. კვლევა, რომელიც საწყის მეთოდოლოგიურ წერტილად იღებს რენესანსული ჰუმანიზმის წარმომადგენელთა – ლორენცო ვალასა და რიჩარდ ბენტლის – ფუნდამენტურ ნაშრომებს, დეტალურად აანალიზებს, თუ როგორ მოხდა ტრადიციული ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდების გამდიდრება და გაფართოება და არა მათი ჩანაცვლება ციფრული ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დისციპლინის კონცეპტუალური მთლიანობის შენარჩუნებას ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში.

ნაშრომში გაანალიზებულია, როგორ განაპირობა მულტისპექტრულმა ვიზუალიზაციამ, კომპიუტერულმა ლინგვისტიკამ და გეოინფორმაციულმა სისტემებმა ანალიტიკური პოტენციალის გაფართოება ფრანგულ და კლასიკურ ფილოლოგიაში, აგრეთვე, როგორ ტრანსფორმირდა პედაგოგიური პრაქტიკა ინტერაქტიული და ადაპტური საგანმანათლებლო გარემოს ინტეგრირებით. კვლევაში განხილულია ეთიკური პრობლემატიკა, დაკავშირებული ხელმისაწვდომობასთან, ინტელექტუალურ საკუთრებასა და მონაცემთა კონფიდენციალურობასთან, რაც ხაზგასმით წარმოაჩენს ციფრულ სისტემებში ჰუმანისტური ღირებულებების შენარჩუნების იმპერატივს.

კვლევა პროგნოზირებს შესაძლო (სამომავლო) ტენდენციებს, რომელთა ფარგლებშიც ნეირომეცნიერების, ჰაბტიკური ტექნოლოგიებისა და მანქანური სწავლების მიღწევებმა შესაძლოა გააღრმავოს ფილოლოგიური კვლევითი პარადიგმა, მისი ფუნდამენტური ინტერპრეტაციული და კულტურული განზომილებების შეუცვლელად.

კლასიკური ფილოლოგია კი წარმოადგენს იმ უმთავრეს ეპისტემოლოგიურ საფუძველს, რომელზეც ყველა შემდგომი ფილოლოგიური კვლევა აღმოცენდა. იგი ღრმად არის დაფუძნებული ბერძნულ-რომაული ლიტერატურული კანონის სკრუპულოზურ ტექსტოლოგიურ კვლევაზე. ამ დისციპლინის ინტელექტუალური ფორმირება განხორციელდა რენესანსის პერიოდის ჰუმანისტთა, კერძოდ, ლორენცო ვალასა და რიჩარდ ბენტლის, ნოვატორული მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად, რამაც ტექსტოლოგიური კვლევა სისტემურ და მეცნიერულ დისციპლინად ჩამოაყალიბა. მათ მიერ შემუშავებულმა კრიტიკულმა მეთოდოლოგიებმა არა მხოლოდ განაპირობა ტექსტოლოგიური კრიტიკის უპრეცედენტო განვითარება, არამედ საფუძველი ჩაუყარა მანუსკრიპტული ტრადიციების კომპლექსურ ანალიზსა და ლინგვისტური რეკონსტრუქციის მრავალსპექტიან პროცესს.

საკვანძო სიტყვები: ტრადიციული ეპისტემოლოგიური პარადიგმა, თანამედროვე დიგიტალურ კონცეფცია

რეცენზენტი: პროფესორი მანანა თანდაშვილი

ენათმეცნიერება Linguistic

დროითი ფორმების ფუნქციონირება სხვადასხვა ტიპის დისკურსში:
futur antérieur და passé simple გამოყენების
თავისებურებები ფრანგულ ენაში

ეკატერინე გაჩეჩილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ელ.ფოსტა: ekaterine.gachechiladze@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.03>

SJIF 2025: 8.584

თანამედროვე ფრანგული ენის დისკურსული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის კვლევა, თუ როგორ ფუნქციონირებენ გრამატიკული ფორმები სხვადასხვა ტიპის მეტყველებაში. ერთი და იგივე ზმნური ფორმა შესაძლოა სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ და პრაგმატიკულ როლს ასრულებდეს დისკურსის ტიპის ცვლილებისას. ზმნურ დროით ფორმათა ფუნქციონირება დამოკიდებულია ტექსტის სტრუქტურაზე, მიზნებზე, სტილისტურ ნორმებსა და მეტყველების ფორმაზე (ფორმალური, სპონტანური, წერილობითი თუ ზეპირი). განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფორმების განხილვა, რომლებიც შედარებით იშვიათად გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში, თუმცა მნიშვნელოვან სემანტიკურ დატვირთვას ატარებს. სტატიაში განხილულია ზმნური ფორმების futur antérieur და passé simple ფუნქციონირების შედარებითი ანალიზი ორ განსხვავებულ დისკურსში: ბეჭდური პრესის ტექსტებსა და სპონტანურ წერილობით მეტყველებაში, როგორცაა მომხმარებლების კომენტარები, ონლაინ მიმოხილვები და სხვა სახის არარედაქტირებული ტექსტები. ორივე ფორმა პრესის ტექსტებში ასრულებს არა მხოლოდ დროით, არამედ მოდალურ, შეფასებით ფუნქციებსაც, ხოლო სპონტანურ წერილობით მეტყველებაში ისინი ან იშვიათად გვხვდება, ან ფუნქციურად ტრანსფორმირდება. აღნიშნული დინამიკა ნათლად აჩვენებს, რომ ზმნური ფორმის ფუნქცია არ არის სტატიკური და ის განისაზღვრება დისკურსული გარემოთი, კომუნიკაციური მიზნებითა და სოციალური კონტექსტით.

საკვანძო სიტყვები: დისკურსის ანალიზი, სპონტანური მეტყველება, ზმნური დროები, წერილობითი დისკურსი

თანამედროვე ფრანგულ ენაში ერთი და იგივე ზმნური ფორმა შესაძლოა სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ და პრაგმატიკულ როლს ასრულებდეს დისკურსის ტიპის ცვლილებისას. ზმნურ დროით ფორმათა ფუნქციონირება დამოკიდებულია ტექსტის სტრუქტურაზე, მიზნებზე, სტილისტურ ნორმებსა და მეტყველების ფორმაზე (ფორმალური, სპონტანური, წერილობითი თუ ზეპირი). სტატიაში განხილულია ზმნური ფორმების futur antérieur და passé simple ფუნქციონირების შედარებითი ანალიზი ორ განსხვავებულ დისკურსში: ბეჭდური პრესის ტექსტებსა (*Le Figaro*, *Le Monde*, *Libération* და სხვ.) და სპონტანურ წერილობით მეტყველებაში, როგორცაა მომხმარებლების კომენტარები, ონლაინ მიმოხილვები

და სხვა სახის არარედაქტირებული ტექსტები, მოცემული ინტერნეტფორუმებზე, ბლოგების კომენტარებსა თუ საზოგადოებრივ დისკუსიებში.

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ *futur antérieur* (წინარე მომავალი), პირველ რიგში, გამოიყენება დასრულებული მოქმედების გამოსახატავად მომავალში და გვიჩვენებს სხვა მომავალი მოქმედების წინარე მოქმედებას. მას გააჩნია დამატებითი ფუნქცია - გამოხატოს წარსულში მომხდარი სავარაუდო მოქმედება, ხოლო იშვიათად - რეალურად დასრულებული წარსული მოქმედება. (გრევისი, გოსი 1994: 1259).

ბეჭდურ მედიასა და სპონტანურ წერილობით დისკურსში *futur antérieur*-ის ფუნქციონირების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ პრესის კორპუსის დაახლოებით 24% და კომენტარების კორპუსის დაახლოებით 16% გამოხატავს მომავალთან დაკავშირებულ მნიშვნელობას. დანარჩენ შემთხვევებში *futur antérieur*-ის ფორმები ძირითადად გამოიყენება რეალური ან სავარაუდო წარსული მოქმედების გამოსახატავად, რაც ნაკლებად შეესატყვისება გრამატიკოსთა მიერ მისთვის განსაზღვრულ ძირითად ფუნქციებს. *futur antérieur*-ის ფორმები სხვადასხვა სახის დისკურსში სხვადასხვანაირად ახდენს თავისი მნიშვნელობის აქტუალიზებას: ბეჭდური მედიის ტექსტებში ჰარბობს სავარაუდო წარსული მოქმედების მნიშვნელობის გამოხატვა, ხოლო სპონტანურ წერილობით დისკურსში - წარსულში მომხდარი რეალური მოქმედების მნიშვნელობის გადმოცემა. პრესის კორპუსი: *Pour atteindre son objectif, il aura dépensé pas moins de deux milliards d'euros en neuf ans (Le Figaro 20.05.2022)*. კომენტარების კორპუსი: *Il aura fallu patienter neuf ans après la sortie du «Retour du roi» <...> pour découvrir sur grand écran les aventures de Bilbo le Hobbit et son voyage très attendu*. საინტერესოა ისიც, რომ სპონტანურ წერილობით დისკურსში *futur antérieur* ხშირად ჩნდება ტექსტის შემაჯამებელ ნაწილში: *En conclusion, ce 1er épisode... ne m'aura pas transporté comme... რაც ცხადყოფს, რომ მას უპირატესად შეფასებითი მნიშვნელობა ენიჭება*.

futur antérieur-ის ფუნქციები მრავალმხრივია და იგი ეყრდნობა როგორც დროის, ასევე მოდალურ და სტილისტურ მახასიათებლებს. როგორც უკვე აღინიშნა, *futur antérieur*-ის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა მომავალში რაიმე მოვლენის წინამორბედი მოქმედების გამოხატვა, თუმცა კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ეს ფუნქცია არც ისე ხშირად გვხვდება დისკურსში. პრესის კორპუსში ხშირი არაა *futur antérieur*-ის გამოყენება მომავლის მოვლენებთან მიმართებით წინარე მოქმედების გამოსახატავად. მაგალითად: *Pour comprendre la profondeur de la saignée, ajoutons que, en cinq ans, ce ne seront ainsi pas moins de 50,000 posts qui auront été rayés de la carte hospitalière*. კომენტარების კორპუსში *futur antérieur*-ის გამოყენება მნიშვნელოვნად ნაკლებია პრესის კორპუსთან შედარებით, მაგალითად: *Mais honnêtement, quand vous aurez vu la dernière minute du dernier film, quel fan ne se dira pas: "Noooooooooon, c'est déjà fini?"*. კორპუსულმა ანალიზმა აჩვენა, რომ *futur antérieur* ფრანგულ დისკურსში ასრულებს როგორც დროით, ასევე მოდალურ და პრაგმატიკულ ფუნქციებს. მისი გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკურსის ტიპთან და კომუნიკაციური მიზნებით განისაზღვრება.

რაც შეეხება *passé simple* (მარტივი წარსული), ტრადიციულად მიიჩნევა, რომ იგი გამოიყენება წარსულში მომხდარი დასრულებული მოქმედების, იმ ფაქტის გამოსახატად, რომელსაც კავშირი არა აქვს ახლანდელ მომენტთან. გარდა ამისა, *passé simple*-ის ფორმებს აქვს სხვა დამატებითი ფუნქცია, როგორიცაა ყურადღების მიქცევა, მომხდარი მოქმედების მოულოდნელობის ხაზგასმა. (რიგელი, პელატი, რიული 2009: 537). პრესის კორპუსში *passé simple*-ის ფორმათა დაახლოებით 80% გამოყენებულია ისტორიული ფაქტის გამოსახატავად თარიღისა და კონკრეტული ისტორიული ეპოქის მითითებით: *Le point d'orgue de ce conflit fut l'arrêt de la Cour constitutionnelle espagnole du 28 juin 2020. (La Croix 22.11.2022)*.

ფორმათა დანარჩენ 20 % არ გააჩნია დამატებითი სემანტიკა და გვიჩვენებენ წარსულში მომხდარ დასრულებულ მოქმედებას: *Le candidat sélectionné fut embauché. Et on n'en parla plus. (Le Monde 21.01.2023)*. სპონტანურ წერილობით მეტყველებაში *passé simple*-ის ფორმათა მხოლოდ 35% გამოხატავს შესაბამის მნიშვნელობას, თანაც ძალზე იშვიათად გვხვდება თარიღი:

Puis vient la seconde partie, où l'hommage prend tout son sens avec l'histoire des Studios Star de Méliès et comment ce dernier fit ses nombreux courts métrages, avec plusieurs extraits de ses œuvres...

ფრანგი ენათმეცნიერები კამათობენ მეტყველებაში *passé simple*-ის გამოყენების სიხშირის შესახებ. ხშირ შემთხვევაში საუბარია მის შეზღუდულ გამოყენებაზე ზეპირმეტყველებაში: „Le passé simple exprime le passé directement en tant que passé, mais ce temps a un emploi restreint dans la langue parlée d'aujourd'hui. Pourquoi ce paradoxe?“ [დამურეტი, პიშონი, 333]. უფრო რადიკალურ თვალსაზრისს გამოთქვამს იმბსი, რომელიც აცხადებს, რომ *passé simple* საბოლოოდ ტოვებს ფრანგულ ენას: „Quoi qu'on ait pu dire et écrire, le passé simple est mort dans le français parlé commun: son emploi en dehors de la langue écrite fait pédant et provincial“ (იმბსი, 2009: 87). ამ არათანაბარი გამოყენების გამო *passé simple* უკვე „ასოცირებულია“ წერილობით მეტყველებასთან: „Dans la langue vivante, la place du passé simple est très limitée. Il ne se rencontre que dans la langue écrite et est donc marquée au point de vue stylistique“ (შოგტი, 1968: 39). თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ *passé simple*-ის სრულ გაუჩინარებას საფრთხე არ ემუქრება: „En outre, dans certaines circonstances, le passé simple se rencontre encore à l'oral“ (რიგელი, პელატი 2009: 539).

როგორც აღვნიშნეთ, *Passé simple* კლასიკურად მიიჩნევა ლიტერატურულ წარსულად და წერილობითი ნარატიული სტილისთვის დამახასიათებელი ფორმაა, თუმცა პრესის ტექსტებში ის ხშირად გამოიყენება სათაურებში, უმთავრესად დრამატული ეფექტის შესაქმნელად: „Le président déclara la guerre“, „Il se leva et partit sans dire un mot“. სპონტანურ წერილობით დისკურსში მისი გამოყენება ნაკლებად ფიქსირდება, რაც ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ რაც უფრო იშვიათად გვხვდება ესა თუ ის ზმნური ფორმა, მით უფრო იშვიათად გამოიყენება იგი არაოფიციალურ დისკურსში. ამ შემთხვევაში *passé simple*-ს ანაცვლებს უფრო ხშირად გამოიყენებული ფორმები, როგორიცაა *passé composé*: „Il a déclaré la guerre“ ან „Il est parti sans rien dire“.

საკვლევ კორპუსებში სხვადასხვაგვარი ინტენსივობით გვხვდება *passé simple*-ის ფორმები: პრესის კორპუსში დაფიქსირდა 244 შემთხვევა, ხოლო კომენტარების კორპუსში – 104. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე კორპუსში არის ტექსტები, რომლებშიც *passé simple*-ის გამოყენების მაღალი სიხშირეა. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ტექსტის ბუნებით (მაგ. ისტორიული ამბები), ან ავტორის ინდივიდუალური სტილით (კომენტარების კორპუსი). მაგალითად, 848 სიტყვიან სტატიაში *passé simple*-ის ფორმები 29-ჯერ ჩნდება, ხოლო 523 სიტყვის მიმოხილვაში – 15-ჯერ. როგორც წესი, *passé simple* გამოხატავს მოქმედებას ობიექტური თვალსაზრისით, ხშირად აღნიშნავს ისტორიულ ფაქტებს. ჩვენს პრესის კორპუსში 244 შემთხვევიდან 195 შემთხვევაში (80%) *passé simple*-ის ფორმა გამოიყენება ისტორიული მოვლენების აღწერისთვის, რომლებიც აღარ არიან დაკავშირებული აწმყოსთან. აღსანიშნავია, რომ *Passé simple*-ის გამოყენება, განსაკუთრებით წერილობით და სპონტანურ მეტყველებაში, მოითხოვს ენობრივი კულტურის ცოდნას. თუმცა, ჩვენ მიერ გაანალიზებულ მაგალითებში შეინიშნება ორთოგრაფიული შეცდომები, რაც მიუთითებს, რომ მომხმარებლები ხშირად ვერ ახერხებენ ზმნების სწორი გრამატიკული ფორმების შენარჩუნებას და ეს არ ეხება მხოლოდ *passé simple*-ს, მაგ.: „au Seigneur des Anneaux, j'ai pu constaté {j'ai pu constater} et ressentir un entrain plus important; Certainement des raisons mercantiles poussés par les producteurs aillant payés {ayant payé} une fortune les droits du livre.“

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც *futur antérieur*, ისე *passé simple* ფუნქციონირებს განსხვავებულად დისკურსის ტიპის ცვლილებისას. ეს განსხვავებები ეხება როგორც მათი გამოყენების სიხშირეს, ისე ფუნქციურ დატვირთვას. ორივე ფორმა პრესის ტექსტებში ასრულებს არა მხოლოდ დროით, არამედ მოდალურ, შეფასებით ფუნქციებსაც, ხოლო სპონტანურ წერილობით მეტყველებაში ისინი ან იშვიათად გვხვდება, ან ფუნქციურად ტრანსფორმირდება. აღნიშნული დინამიკა ნათლად აჩვენებს გრამატიკული ფორმების სემანტიკური გამოყენების მოქნილობას და ამავედროულად ხაზს უსვამს ენათმეცნიერების ერთ-

ერთ ფუნდამენტურ პრინციპს: ფორმის ფუნქცია არ არის სტატიკური და ის განისაზღვრება დისკურსული გარემოთი, კომუნიკაციური მიზნებითა და სოციალური კონტექსტით.

ლიტერატურა:

- Anscombre, J.-C. (2005). *Temps verbaux et types de discours*. In: *Langue française*, n°145.
- Combettes, B. (2003). *Le passé simple et le passé composé dans la presse française contemporaine*. In: *Langages*, n°149.
- Delente, C., & Kermorvant, C. (2011). Corpus linguistics and temporal expressions: The case of futur antérieur. In: *Proceedings of the Corpus Linguistics Conference*.
- Grevisse, M., & Goosse, A. (1994). *Le Bon Usage* (13e éd.). Paris: Duculot.
- Legallois, D., & Poudat, C. (2015). *Corpus et discours : méthodes, usages et enjeux*. Rennes: Presses universitaires de Rennes.
- Rossari, C. (2000). *Les temps du passé dans les textes*. Genève: Droz.

Ekaterine Gachechiladze

Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia

e-mail: ekaterine.gachechiladze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.03>

SJIF 2025: 8.584

The Functioning of Temporal Forms in Different Types of Discourse: Features of the Use of Futur Antérieur and Passé Simple in French

Abstract

One of the central concerns of discourse analysis is the examination of how grammatical forms function across various types of discourse. A verb form may assume significantly different semantic and pragmatic roles depending on the discourse context. The functioning of verb tense forms depends on the structure of the text, its purposes, stylistic norms, and the form of speech (formal, spontaneous, written, or oral). It is especially interesting to discuss those forms that are relatively rare in everyday speech, although they carry significant semantic load. This article offers a comparative analysis of the verb forms futur antérieur and passé simple in two distinct discourse types: printed press texts and spontaneous written communication, including user comments, online reviews, and other unedited texts. In press discourse, both forms exhibit not only temporal but also modal and evaluative functions, while in spontaneous written discourse, they appear less frequently or undergo functional shifts. This variation underscores the fact that the function of a verb form is not fixed but is contingent upon the discursive environment, communicative intent, and broader social context.

Keywords: discourse analysis, spontaneous speech, verb tenses, written discourse

რეკენზენტი: პროფესორი მარია აფანასიადი

ენათმეცნიერება Linguistic

მიმართვის ფორმათა კლასიფიკაცია მეგრულსა და ლაზურში¹

რუსუდან გერსამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

e-mail: rgersamia@iliauni.edu.ge

ORCID: 0000-0001-7490-0851

თამარ გოგია

პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტი (ესპანეთი)

e-mail: tamar.gogia@upf.edu

ORCID: 0009-0007-1911-9617

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.04>

SJIF 2025: 8.584

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ჩვენი კვლევის პირველადი შედეგები, რაც გულისხმობს მიმართვის ფორმათა აღწერასა და კლასიფიცირებას, შეთანადებას ფრიდერიკე ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოსთან, მაგრამ ამავე დროს ნაჩვენებია, თუ რა სახის მოდიფიცირება მოითხოვს აღნიშნულმა მოდელმა მეგრული და ლაზური ენების მასალის დამუშავებისას. კვლევა ემყარება ველზე მოპოვებულ ემპირიულ მასალას.

მეგრულსა და ლაზურში მიმართვა გამოხატულია სახელებით, ნაცვალსახელებითა და ზმნებით, ან მათი შემცველი ფრაზებით, რაც ეთანადება ფრიდერიკე ბრაუნის იმ ზოგად საკლასიფიკაციო ჩარჩოს, რომელსაც საფუძვლად უდევს მეტყველების ნაწილების მიხედვით დაყოფა. უფრო მსხვილი საკლასიფიკაციო ნიშანი კი არის სინტაქსურ კონსტრუქციაში მიმართვის ფორმათა დამოკიდებულება / დამოუკიდებლობა, რის მიხედვითაც განირჩევა მიმართვის ბმული და თავისუფალი ფორმები, რომელთა ანალიზიც ასევე ღირებული ჩანს საანალიზო ენებისათვის.

მეგრულისა და ლაზურის მიმართვის ფორმათა სპეციფიკურობა ეხება არა იმდენად კლასიფიკაციას, არამედ შიდასაკლასიფიკაციო თავისებურებებს, კერძოდ, როგორიცაა მისამართი პირის სახელის შეცვლა, მიმართვის ინვერსია, ნაცვალსახელური და ზმნური ფორმებით თავაზიანობის გამოხატვის სპეციფიკა და ა.შ. რომლებიც სხვადასხვა სოციოლინგვისტური და სოციოკულტურული სტრატეგიებით ჩანს განპირობებული.

¹ ნაშრომი ქვეყნდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-23-5495, "მიმართვის სისტემები მეგრულსა და ლაზურში"].

ჩვენი კვლევის მიხედვით, მეგრულისა და ლაზურის მიმართვის სისტემის აღწერისა და სისტემატიზაციისთვის შეიძლება საკმარისია ფრ. ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩო, თუმცა ამ ჩარჩოს მიღმა გასაანალიზებელია მიმართვის დროს გამოყენებული შორისდებულები და საკომუნიკაციო ველის ნაწილაკები: სხვათა სიტყვისა თუ ჩაკითხვის ნაწილაკები, რომლებიც დეიქტურია და მისამართად ყოველთვის გულისხმობს მეორე პირს.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, მიმართვის ფორმები, ბრაუნის კლასიფიკაცია.

შესავალი / რა არის მიმართვა?

მიმართვა არის მოუბარი პირის ენობრივი მიმართვის საშუალება თანამოუბართან. მიმართვის სისტემა კი გულისხმობს ერთი ენის ფარგლებში მიმართვის გამომსახველ საშუალებათა ერთობლიობას და მათი ურთიერთ- მიმართების წესების ფუნქციონირებას. მიმართვის ტერმინები არის მიმართვისათვის გამოყენებული სიტყვები და ფრაზები; ისინი მიმართულია თანამოსაუბრისადმი და, შესაბამისად, მოიცავს დეიქტურ ელემენტს. ხშირად, ისინი აღნიშნავენ თანამოსაუბრეს, თუმცა არათუ აუცილებლად, რამდენადაც მათი ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება განსხვავდებოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს კიდეც ადრესატის მახასიათებლებს.

ამასთან ერთად მიმართვა წარმოადგენს სოციალურ და ეთნოკულტურულ მარკერს, რამდენადაც გაჯერებულია მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული, ისტორიული და ეთნიკური ღირებულებებით. ენას განსაზღვრავს ყოფიერება, დროის ცვლასთან ერთად იცვლება ენობრივი გარემოც. ამდენად, საინტერესოა, თუ როგორ აისახება ეს ცვლილებები მიმართვის ფორმებზე, ვინაიდან ისინი პირდაპირ ასახავენ თაობათა შორის იერარქიებს, დამოკიდებულებებს სოციუმში.

მიმართვისათვის ენებში გამოიყენება მრავალფეროვანი ენობრივი ინვენტარი: სხვადასხვა მეტყველების ნაწილი და ნაირგვარი შედგენილობისა და სირთულის შესიტყვება განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციებითა თუ პოზიციებით.

კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

ანალიზი ემყარება ფრედერიკ ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოს და ეფუძნება ფართომასშტაბიან, კროსლინგვისტურ გამოკვლევას მიმართვის სისტემებისა და მიმართვის ქცევის შესახებ [ბრაუნი, 1988]. აღნიშნულ მონოგრაფიაში გაანალიზებულია ოცდაათი ენის, მათ შორის - ქართულისა და მეგრულის (კლ. შუბერტი 1984-ზე დაყრდნობით), მიმართვის ფორმები მრავალასპექტიანი და მოქნილი საკლასიფიკაციო პარამეტრების მიხედვით. ჩარჩო ემყარება ორ საკლასიფიკაციო კრიტერიუმს: **მეტყველების ნაწილების მიხედვით დაყოფას**, რაც მოიცავს ფორმათა კლასიფიცირებას ნაცვალსახელო, ზმნურ და სახელო ტერმინებად, და **სინტაქსური ნიშნის მიხედვით აღწერას**, რაც გულისხმობს მიმართვის ბმულ და თავისუფალი ფორმებს.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია წარმოგიდგინოთ ჩვენი კვლევის პირველადი შედეგები, რაც გულისხმობს მიმართვის ფორმათა აღწერასა და კლასიფიცირებას, შეთანადებას ფრიდერიკ ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოსთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ენობრივი ინვენტარი მიმართვაში შესაძლოა ძალზე უჩვეულო სახით შეგვხვდეს და, ამასთან, გენეტიკურად და ტიპოლოგიურად ახლოს მდგომი ენებიც კი შესაძლოა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, წარმოგიდგენთ რა სახის მოდიფიცირება მოითხოვდა აღნიშნულმა მოდელმა მეგრული და ლაზური ენების მასალის დამუშავებისას. კვლევის ფარგლებში ინფორმანტები მონაცემთა მთავარი წყაროა, თუმცა შედეგები ასევე ემყარება მეორეული წყაროებს, როგორიცაა გრამატიკები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები, ლექსიკონები და სხვა გამოქვეყნებული მასალა.

საველე კვლევის ფარგლებში მონაცემები მოვაგროვეთ ანკეტირებისა და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების გამოყენებით. გამოკითხვის საშუალებები

ემყარება ბრაუნისა და მისი კვლევითი ჯგუფის მეთოდოდას, მათი ანკეტის მოდიფიცირებულ ვერსიას, ტექნიკური ტერმინებისა და საანალიზო ერთეულებს, ქართული და მეგრული ენობრივი კონტექსტის გათვალისწინებით შემუშავებულ ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს.

საკითხის კვლევის წინარე ისტორიისათვის

მიმართვის ფენომენს ქართულში ეძღვნება შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია “მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება” [2023]. მიმართვის ფენომენი სისტემური კვლევის საგანი არ ყოფილა მეგრულსა და ლაზურში, თუმცა ცალკეულ პუბლიკაციაში განხილულია მეგრულში მიმართვის ზოგიერთი ასპექტი – სტრუქტურულ-სემანტიკური [იხ. ხუფენია 1997; ჯანჯღავა 2009; ჯანჯღავა 2020] და სოციოლინგვისტური [კიკვიძე, ჭანტურია 2003]. ფრიდერიკე ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით მეგრული ენის სახელური მიმართვის ფორმები აღწერა ლ. ფაჩულიამ [ფაჩულია 2012] და აჩვენა, რომ ამ ენის მონაცემებიც მეტ-ნაკლები მოდიფიკაციით თავსდება ამ უნივერსალურ საკლასიფიკაციო ჩარჩოში.

მიმართვა მეგრულსა და ლაზურში

მეგრულსა და ლაზურში მიმართვის გამომხატველი ერთეულები რეპრეზენტირებულია სახელებით, ნაცვალსახელებითა და ზმნებით, ან მათი შემცველი ფრაზებით, რაც თანხვედრაშია ფრიდერიკე ბრაუნის *მეტყველების ნაწილების მიხედვით* კლასიფიკაციასთან. უფრო მსხვილი საკლასიფიკაციო ნიშანი კი არის სინტაქსურ კონსტრუქციაში მიმართვის ფორმათა დამოკიდებულება / დამოუკიდებლობა, რომლის მიხედვითაც განირჩევა *მიმართვის ბმული* და *თავისუფალი ფორმები*.

1. მიმართვის სახელური ფორმების სუბკატეგორიული კლასიფიკაცია ასეთია:

1.1. არსებითები და ზედსართავები:

- საკუთარი სახელები;
- ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები;
- ეტიკეტური მიმართვის ფორმები;
- წოდების აღმნიშვნელი ფორმები;
- აბსტრაქტული სახელები;
- ხელობის სახელები;
- ურთიერთობის გამომხატველი მიმართვები;
- კნინობით-საალერსო ფორმები;
- მიმართვა სხვა პირთან/პერსონასთან რეფერენცირებით.

მეგრულსა და ლაზურში საკუთარი სახელის (მათ შორის თიკუნების) სპეციფიკური ფორმობრივი მახასიათებელია წოდებითი ბრუნვის უქონლობა, რის გამოც ანთროპონიმები ვოკატივის ფუნქციას ფორმობრივად გამოხატავენ სახელობითის ფორმით, ანუ თანხმოვანფუძიანებს ბოლოში მოუდით -ი და არ არიან ფუძის სახით წარმოდგენილი, როგორც ეს ქართულშია. სოციოლინგვისტურად კი ადამიანის საკუთარი სახელების დამახება ასაკობრივი იერარქიების ან ნათესაური მიმართებების გათვალისწინებით მეგრულში შეიძლება შეიზღუდოს ან საერთოდ, ტაბუდადებული იყოს, თანაც ისე, რომ ზოგ შემთხვევაში ტაბუირებულ დენოტატთან კავშირი არც ჩანდეს. სწორედ ამის გარკვეული გამოვლინება არის მეგრულში მისამართის სახელის დამალვა, ე.წ. **სახელიშ ფულუა** “სახელის დამალვა” / **სახელიშ გინოთირა** “გადარქმევა, სახელის შეცვლა”, რაც ლიტერატურაში შეფასებულია პირდაპირი მიმართვის დროს თავის არიდების სტრატეგიად [ბრაუნი 1988: 55]. სერგი მაკალათიას შენიშვნით, მეუღლის სახელის ტაბუირება საერთო-ქართველური, ზოგჯერ - საერთო-კავკასიური მოვლენაა [მაკალათია 1935: 193], თუმცა ამ ტიპის სოციოკულტურული ქცევის

ამსახველი ლინგვისტური მასალა ლაზურში არ ჩანს; შესაძლოა, ლაზური ენის მატარებელთა მეხსიერებას ეს ინფორმაცია არ შემორჩა.

სახელურ მიმართვაში განსაკუთრებული ფენომენია *მიმართვის ინვერსიულობა*, რაც ნათესაური ტერმინებისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა. მოუბარი მიმართვისათვის მიუთითებს არა ადრესატის, არამედ თავისსავე როლს. მიმართვის ინვერსია შეიძლება გამოვლინდეს **ფიქციური ნათესაობის** შემთხვევაშიც, რაც შეიძლება ემსახუროდეს იერარქიული მიმართების და მისამართი პირისადმი დამოკიდებულების ხაზგასმას. მიმართვის ინვერსიულობა ახასიათებს მეგრულსაც და ლაზურსაც.

2. მიმართვის ნაცვალსახელური ფორმები. იგულისხმება ნაცვალსახელები, რომლებიც თანამოსაუბრეს მიემართება და მას მოიხსენიებს. მეგრულისა და ლაზურისათვის ასეთი ფორმები მხოლოდ მეორე პირის ნაცვალსახელებია¹. მიმართვის ნაცვალსახელურ ფორმებს ორგვარი გამოხატულება აქვთ: *გრამატიკული*, რომელიც ქმნის დიქტომიას მხოლოდითი და მრავლობითი, და *სოციოლინგვისტური*: თავაზიანი T (tu) და არათავაზიანი / ფამილარული V (vos) [აღნიშვნა ბრაუნისა და გილმანის შემოღებულია (1960)]. აღნიშნული აბრევიატურები მომდინარეობს ლათინური tu და vos ნაცვალსახელებიდან და განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთი ენების კვლევისას, რომლებიც ამგვარ ნაცვალსახელურ ფორმებს განარჩევენ [ფრ. ბრაუნი, 1988: 8]. მართალია, ქართველური ენები ასეთ ნაცვალსახელებს განარჩევენ, თუმცა ჩვენ მიერ სამეგრელოსა და ლაზეთში მოძიებული ემპირიული მასალა ცხადყოფს, რომ ხანდაზმული რესპონდენტები თავაზიანი მიმართვისას არ იყენებდნენ **თქვა / თქვა(ნ)** “თქვენ” ნაცვალსახელს, ისინი არ ცვლიდნენ მხოლოდითის ფორმას **სი** “შენ” იმ პირის მიმართაც კი, რომლის სახელის დაძახებას თავს არიდებდნენ პატივისცემისა და თავაზიანობის ნიშნად. მეორე მხრივ, ადრესატის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული თავაზიანი ზმნური ფორმა (ლექსიკური მრავლობითი) და ის უკავშირდებოდა მხოლოდით რიცხვში მდგარ ნაცვალსახელს: *სი მოზოჯი* “შენ მოზრდანი”, *სი დოზოჯი* “შენ დაზრდანი”. მიმართვის ამგვარი მოდელი [სი (T/V) ზოჯ-(T)] უკვე შეცვლილია ახალ თაობაში, რაც შესაბამისობაში მოდის თანამედროვე ქართულის მიმართვის სოციოლინგვისტურ წესებთან - ქართულისათვის შენობითი ნაცვალსახელი და ზმნის თავაზიანი ფორმა შეუსაბამოა - არათანაპოვნო (კიკვიძე, 2015: 34-36). შესაბამისად, ეს შეიძლება შეიქნას თავაზიანი, არამედ პირიქით - ირონიული და შეურაცხყოფელი თქმა.

მეგრულსა და ლაზურში ნაცვალსახელური მიმართვის სამი სტრატეგიის გამოყოფა ჩანს შესაძლებელი: ა) **სი** “შენ” - ყველა თაობის მიმართვისთვის, მაგრამ თავაზიანობის გამოსახატავად ზმნასთან შეკავშირებისას ენა ირჩევს ლექსიკური მრავლობითით გამოხატულ თავაზიან ფორმებს; ბ) **სი** “შენ” ნაცვალსახელის დასახელებისგან თავის არიდება უფროსი თაობისადმი მიმართვისას, რაც შედარებით ახალი მოვლენა ჩანს საანალიზო ენებში; გ) **თქვა** “თქვენ”, როგორც თავაზის ნაცვალსახელი, შეკავშირებული ზმნის მრავლობით ან თავაზიან ფორმასთან.

3. მიმართვის ზმნური ფორმები. იგულისხმება მეორე პირის მისამართად გამოყენებული ზმნური ფორმები შესაბამისი გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ფლექსიური აფიქსებით. როგორც ფრ. ბრაუნი აღნიშნავს, ხშირად, მიმართვის გამოხატვისას ზმნას თან ახლავს მიმართვის ნაცვალსახელები. მაგრამ ისეთ ენებში, რომლებშიც პირის ნაცვალსახელების გამოყენება არასავალდებულოა, თანამოსაუბრეზე მითითების ერთადერთი გამოხატველი

¹ სხვა გრამატიკული პირებიც შეიძლება ასრულებდნენ მიმართვის ნაცვალსახელთა ფუნქციას, თუ ისინი მიემართება ან მოიხსენიებს კომუნიკაციის თანამონაწილეს, მაგალითად, იტალიური Lei (მესამე პირი, მხოლოდითი, მდებდრობითი) (ბრაუნი, 1988: 7).

შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ზმნა [ბრაუნი 1988: 8]. სწორედ ამგვარი ენებია მეგრული და ლაზური (ზოგადად, ქართველური ენები): პირის შეწყობა არასავალდებულოა ზმნაში მისი მარკირებულობის გამო.

ჩვენი კვლევის მიხედვით, მეგრულისა და ლაზურის მიმართვის სისტემის აღწერისა და სისტემატიზაციისთვის შეიძლება საკმარისია ფრ. ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩო, თუმცა ამ ჩარჩოს მიღმა გასაანალიზებელია მიმართვის დროს გამოყენებული **შორისდებულები** და **საკომუნიკაციო ველის ნაწილაკები**: სხვათა სიტყვისა თუ ჩაკითხვის ნაწილაკები, რომლებიც დეიქტურია და მისამართად ყოველთვის გულისხმობს მეორე პირს.

სინტაქსურად ბმული ფორმა წინადადების ინტეგრირებული წევრია, ხოლო თავისუფალია წინადადების კონსტრუქციის “გარეთ” არსებული ფორმები, რომლებიც წინადადებას უსწრებს, მოჰყვება ან ჩართულია მასში. ცხადია, ამ ორ - მეტყველების ნაწილებსა და სინტაქსურ შეკავშირებაზე დაფუძნებულ - კლასიფიკაციას შორის გარკვეული კორელაცია არსებობს, კერძოდ, მიმართვის სახელური ფორმები განიხილება სინტაქსურად თავისუფალ, ხოლო ზმნური და ნაცვალსახელური - სინტაქსურად ბმულ ფორმებად [ფრ. ბრაუნი: 12]. ზოგადად, მიმართვის ნაცვალსახელები ბმული ფორმებია, მიმართვის სახელური ტერმინები კი თავისუფალი; თუმცა პირიქითაც შეიძლება მოხდეს:

სახელური თავისუფალი (1) და ბმული ფორმები (2):

თავისუფალი			
	მეგრული	ლაზური	ქართული
(1)	ა) - ბები, მუჭო რექ?	- ნანდიდი, მუჭოშიე?	- ბებია, როგორ ხარ?
	ბ) - ჩქიმ ჭიჭე ცირა, მუჭო რექ?	- ჩქიმი ჭუტა ცირა, მუჭოშიე?	- პატარა გოგო, როგორ ხარ?
(2)	ბმული		
	ა) - ბებ მუჭო რე?	- ნანდიდი მუჭოშიენ?	- ბებია როგორ არის?
	ბ) - ჩქიმ ჭიჭე ცირა მუჭო რე?	- ჩქიმი პატარა მუჭოენ?	- პატარა გოგო როგორ არის?

ბრაუნი სახელურ ბმულ ფორმებსა და არაპირდაპირ მიმართვას ერთმანეთთან აკავშირებს. მათმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ბევრ ენაში არაპირდაპირ მიმართვას გარკვეული სტატუსი აქვს. მაგალითად, გერმანულსა და პორტუგალიურში ზემდგომობისა და დისტანციის გამომხატველი ფორმულირებაა [ბრაუნი, 1988: 12]. მეგრულსა და ლაზურში კი გამოიყენება უფროსი და უმცროსი თაობის მისამართით - ხანდაზმულებს თავაზის ნიშნად მიმართავენ, ხოლო ბავშვებს - ალერსობით.

დასკვნა

მიმართვისათვის გამოყენებული ენობრივი საშუალებები მეგრულსა და ლაზურში მრავალასპექტიან კლასიფიკაციებს ქმნიან და თავსდებიან ფრიდერიკე ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოში, თუმცა ჩარჩოს გარეთ რჩება საკითხები, რომლებიც საანალიზო ენებში მიმართვის სისტემის ნაწილია და, ამდენად, სპეციალური კვლევის საგანი. ეს, ერთი მხრივ, ეხება მეტყველების ნაწილთა საკითხს, ნაწილაკებისა და შორისდებულების ადგილს და როლს მიმართვის სისტემაში, ასევე მიმართვის გამომხატველ ფორმათა სინტაქსურად ფუნქციონირებას.

ბიბლიოგრაფია

1. აფრიდონიძე, შ., – *მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 2023.
2. კიკვიძე, ზ., – *სოციოლინგვისტიკური ნარკვევები*. თბილისი: თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 2015.
3. მაკალათია, ს., – ხევსურეთი. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. ტფილისი. 1935
4. ფაჩულია, ლ., – *მიმართვის სახელურ ფორმათა ჯგუფები მეგრულში ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით*. თბილისი: კავკასიოლოგიური ძიებანი. 2012. გვ., 109-112.
5. ხუფენია, თ., – *განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები მეგრულში*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. 1997.
6. ჯანჯღავა, ც., – *მიმართვის ფორმისათვის მეგრულში*. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XI, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 2020. გვ. 63.
7. ჯანჯღავა, ც., – *სახელური მიმართვა მეგრულ-ლაზურში*. თბილისი: კავკასიოლოგიური ძიებანი 2009. გვ., 250-252.
8. Braun, F., – *Terms of address: Problems of patterns and usage in various languages and cultures*. Berlin: De Gruyter. 1988.
9. Kikvidze, Z., & Tchantouria, R. (2003). Joint parameterization of honorifics and terms of address in Kartvelian languages. In D. De Jongh, H. Zeevat, & M. Nilsenová (Eds.), *Proceedings of the 3rd and 4th International Symposium on Language, Logic and Computation* (pp. 53-57). Amsterdam: ILLC Scientific Publications.
10. Schubert, K. , – *Mingrelisches Anredeverhalten. Linguistica, Commentationes Analyticae et Criticae*. Tübingen: Gunter Narr Verlag. 1984. (pp. 115–151)

Rusudan Gersamia

Illia State University

Tbilisi, Georgia

e-mail: rgersamia@iliauni.edu.ge

ORCID: 0000-0001-7490-0851

Tamar Gogia

Pompeu Fabra University (Spain)

e-mail: tamar.gogia@upf.edu

ORCID: 0009-0007-1911-9617

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.04>

SJIF 2025: 8.584

Classification of Address Forms in Megrelian and Laz

Abstract

This publication presents the primary results of our research, which involve the description, classification, and alignment of address forms with Friederike Braun's classification framework. At the same time, it demonstrates the types of modifications that this model

required when applied to the Megrelian and Laz data. The research is based on empirically collected field data.

In Megrelian and Laz, address is expressed through nouns, pronouns, and verbs, or phrases containing them, which corresponds to Friederike Braun's general classification framework based on parts of speech. A broader classification criterion, however, is the (in)dependence of address forms within syntactic constructions, according to which bound and free forms of address are distinguished—an analysis that also proves valuable for the languages under study.

The specificity of address forms in Megrelian and Laz relates not so much to the classification itself, but rather to interclassificatory peculiarities — such as the alteration of the addressee's name, address inversion, and the particular ways politeness is expressed through pronominal and verbal forms. These appear to be shaped by various sociolinguistic and sociocultural strategies.

However, beyond this framework, it will be necessary to analyze the interjections and communicative field particles used in address—such as reported speech particles and question particles—which are deictic and always imply the second person as the addressee.

Key words: *Kartvelian Languages, Terms of address, Classification of Friederike Braun.*

რეცენზენტი: პროფესორი ანა დიომიდოვა

ენათმეცნიერება Linguistic

ალუზია როგორც ინტერტექსტუალობის სტრატეგია პოლიტიკურ დისკურსში

ნინო თავიდაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ელ. ფოსტა: nino.tavidashvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.05>

SJIF 2025: 8.584

ალუზია, როგორც ინტერტექსტუალობის ერთ-ერთი სტრატეგია, წარმოადგენს პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებულ ინსტრუმენტს, რომელიც აძლიერებს ზეპირი, თუ წერილობითი ტექსტების დამაჯერებლობას. ისტორიულ მოვლენებზე, ფიგურებზე, მითებზე, ან ცნობილ კულტურულ სიმბოლოებზე მითითებით პოლიტიკური აქტორები ამყარებენ კავშირს თავიანთ აუდიტორიასთან და ეყრდნობიან საერთო ცოდნასა და ღირებულებებს თავიანთი არგუმენტების გასაძლიერებლად. ალუზია საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს ლაკონურად და ხშირად ემოციურად რეზონანსული გზით განიხილოს კომპლექსური იდეები და კონცენტრირება მოახდინოს კოლექტიურ მეხსიერებაზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია განსაზღვროს ალუზიის როლი პოლიტიკურ დისკურსში და გააანალიზოს მისი ფუნქციები, ტიპები და გავლენა საზოგადოების აღქმასა და პოლიტიკურ ეფექტურობაზე.

პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ალუზიის ფუნქციები მრავალფეროვანია: სანდოობისა და ავტორიტეტის გაძლიერება და განმტკიცება, ემოციური რეზონანსის უზრუნველყოფა, კომპლექსური იდეების კონდენსირება, ოპონენტის კრიტიკა და საზოგადოებრივი აზრის მობილიზება.

პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ალუზიის ტიპებიდან გამოირჩევა ისტორიული, რელიგიური, ლიტერატურული და კულტურული ალუზიები. ისტორიული ალუზიის გამოყენების დროს ადრესანტი წარსულის მოვლენებზე მიაწვდის და პარალელებს ავლებს თანამედროვეობასთან. რელიგიური ალუზია განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ საზოგადოებებში, სადაც რელიგიას სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ლიტერატურული ალუზიით პოლიტიკოსები მიაწვდიან ცნობილ ავტორებზე, ან ნაწარმოებებზე - ასეთი მინიშნებები განსაკუთრებით ეფექტურია, როცა ისინი ეხება თანამედროვე პოლიტიკურ პრობლემებთან მჭიდროდ დაკავშირებულ თემებს. დაბოლოს, კულტურული ალუზია პოპულარულ კულტურასა და ეროვნულ იდენტობასთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ალუზია წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს არგუმენტირებისთვის, საზოგადოებრივი აღქმის ფორმირებისთვის,

კომპლექსური საკითხების გამარტივებისა და კოლექტიური მოქმედების მობილიზებისთვის. როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთ ცენტრალური მახასიათებელი, ალუზია მკაფიოდ წარმოაჩენს იმ ასპექტებს, რომლითაც ენა და კულტურა ერთმანეთშია გადაჯაჭვული პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ალუზია, ინტერტექსტუალურობის ერთ-ერთი სტრატეგია, პოლიტიკური დისკურსი

ინტერტექსტუალურობის კონცეფცია გულისხმობს განსაზღვრული ტექსტის მნიშვნელობის სხვა ტექსტით ჩამოყალიბებას. ნებისმიერი ტექსტი ციტატების მოზაიკაა, რომელიც სხვა ტექსტების შთანთქმისა და ტრანსფორმაციის გზით არის შექმნილი [Kristeva, 1980: 36], [Devitt, 1991: 336]. იგივე ითქმის პოლიტიკურ დისკურსზეც. პოლიტიკური დისკურსის ფორმირებისას საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შორის მყარდება კომპლექსური ინტერტექსტუალური კავშირები [Dontcheva-Navratilova, 2017]. პოლიტიკოსები სისტემატურად მიმართავენ ინტერტექსტუალურობას, როგორც მძლავრ არგუმენტაციულ ხერხს, რათა სასურველი ეფექტი მოახდინონ სამიზნე აუდიტორიაზე.

ალუზია, როგორც ინტერტექსტუალურობის ერთ-ერთი სტრატეგია, წარმოადგენს პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებულ ინსტრუმენტს, რომელიც აძლიერებს ზეპირი, თუ წერილობითი ტექსტების დამაჯერებლობას. ისტორიულ მოვლენებზე, ფიგურებზე, მითებზე ან ცნობილ კულტურულ სიმბოლოებზე მითითებით პოლიტიკური აქტორები ამყარებენ კავშირს თავიანთ აუდიტორიასთან და ეყრდნობიან საერთო ცოდნასა და ღირებულებებს თავიანთი არგუმენტების გასაძლიერებლად. ალუზია საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს ლაკონურად და ხშირად ემოციურად რეზონანსული გზით განიხილოს კომპლექსური იდეები და კონცენტრირება მოახდინოს კოლექტიურ მეხსიერებაზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია განსაზღვროს ალუზიის როლი პოლიტიკურ დისკურსში და გააანალიზოს მისი ფუნქციები, ტიპები და გავლენა საზოგადოების აღქმასა და პოლიტიკურ ეფექტურობაზე.

ალუზია არის მოკლე, ირიბი მინიშნება პიროვნებაზე, ადგილზე, მოვლენაზე ან ლიტერატურულ ნაწარმოებზე, რომელიც, სავარაუდოდ, ფართოდ იქნება გაგებული სამიზნე აუდიტორიის მიერ. პოლიტიკურ დისკურსში ალუზია ხშირად გამოიყენება ძლიერი ხატოვანების, ისტორიული პრეცედენტების, ან მორალური იდეალების გამოსახატავად ხანგრძლივი ახსნა-განმარტების საჭიროების გარეშე. ალუზია სხვადასხვა მიზანს ემსახურება: დარწმუნება, კრიტიკა, საერთო ღირებულებების ხაზგასმა, სათანადო ემოციების აღძვრა და რთული პოლიტიკური არგუმენტების გამარტივება.

პოლიტიკურ კომუნიკაციაში ალუზიას შესაძლოა ჰქონდეს სტენოგრაფიული ეფექტი, რაც საშუალებას აძლევს ადრესანტს სწრაფად და ეფექტურად გადმოსცეს კომპლექსური მესიჯი. ალუზიის გამოყენებისას გამოსვლებში, დებატებსა, თუ კამპანიებში პოლიტიკოსის მიზანია თავისი სანდოობის გაძლიერება, ეროვნული ან კულტურული იდენტობის აქცენტირება, ან ოპონენტების კრიტიკა.

პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ალუზიის ფუნქციები მრავალფეროვანია: 1. სანდოობისა და ავტორიტეტის გაძლიერება და განმტკიცება - პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ მინიშნებებს ავტორიტეტულ ფიგურებზე, ან მოვლენებზე, რითაც საკუთარი თავის ასოცირებას ახდენენ რესპექტაბელურობასთან, რაციონალიზმთან, ან კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიასთან. მაგალითად, როცა პოლიტიკოსი მიანიშნებს აბრაამ ლინკოლნზე, მას

შეუძლია მსმენელში მაღალი ზნეობრიობის, ან ერთიანობისადმი ერთგულების განცდა აღძვრას. ასეთი ალუზია მეტ სერიოზულობას სძენს მომხსენებლის სიტყვებს და მათ უფრო დამაჯერებელს და ისტორიულ სიბრძნეზე დაფუძნებულს ხდის; 2. ემოციური რეზონანსის უზრუნველყოფა - ალუზიას შეუძლია აუდიტორიაში სათანადო ემოციური რეაქციების აღძვრა ღრმად ფესვგადგმული კულტურული მინიშნებების გამოყენებით. მაგალითად, ადამიანის უფლებებზე საუბრისას ჰოლოკოსტზე მინიშნებამ შესაძლოა უსამართლობის და შიშის ძლიერი განცდა გამოიწვიოს, რაც აუდიტორიას მორალურ იმპერატივებზე დაფიქრებისკენ უბიძგებს. შესაბამისად, პოლიტიკურ კამპანიებში ამერიკული ოცნების ხსენება იმედის, შესაძლებლობებისა და ეროვნული სიამაყის გრძნობას აღძრავს, რაც ემოციურ კავშირს ქმნის ამომრჩეველთან; 3. კომპლექსური იდეების კონდენსირება - პოლიტიკური დისკურსი ხშირად მოიცავს კომპლექსურ საკითხებს, რომელთა მარტივად ახსნა შესაძლოა რთული იყოს. ალუზია პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს მკაფიოდ და ლაკონურად ახსნან აღნიშნული საკითხები ისეთ ისტორიულ მოვლენებზე, ან ფიგურებზე მინიშნებით, რომლებიც გაცილებით ღრმა და ფართო კონცეპტებს წარმოადგენენ. მაგალითად, ალუზიას „ცივ ომზე“ შეუძლია გააერთიანოს იდეოლოგიურ კონფლიქტთან, დიპლომატიასა და გლობალური ძალაუფლების დინამიკასთან დაკავშირებული მრავალი კონცეპტი, რაც აუდიტორიისთვის ამ საკითხების გააზრებას აადვილებს; 4. ოპონენტის კრიტიკა - ალუზია შესაძლოა გახდეს ირიბი კრიტიკის ფორმაც. პოლიტიკოსმა შეიძლება გამოიყენოს ალუზია ისტორიულ წარუმატებლობაზე ან სკანდალზე, რათა მიანიშნოს, რომ პოლიტიკური ოპონენტიც იმავე გზას ადგას. მაგალითად, ამერიკულ პოლიტიკაში „უოტერგეიტის სკანდალზე“ მინიშნება შეიძლება გამოყენებული იქნეს მმართველობის გამჭვირვალობის, ან ეთიკურობის ნაკლებობის კრიტიკისთვის. ასეთი ალუზიები აღძრავს ნეგატიურ ასოციაციებს, რაც აუდიტორიას აიძულებს პარალელები გაავლოს წარსულისა და აწმყოს მოვლენებს შორის; 5. საზოგადოებრივი აზრის მობილიზება - პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ ალუზიას საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით. რევოლუციურ ფიგურებზე, ან ისეთ მოძრაობებზე მინიშნებებს, როგორიცაა საფრანგეთის რევოლუცია, ან სამოქალაქო უფლებების აქტივიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეუძლია სამართლიანობისა და კოლექტიური ქმედების გრძნობების აღძვრა. ასეთი ალუზიები აუდიტორიას შთააგონებს, მხარი დაუჭიროს იმ იდეებს, რომლებსაც ის მორალური თვალსაზრისით სამართლიანად, ან ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ალუზიის ტიპებიდან გამოირჩევა ისტორიული, რელიგიური, ლიტერატურული და კულტურული ალუზიები.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია ისტორიული ალუზია, რომლის გამოყენების დროს ადრესანტი წარსულის მოვლენებზე მიანიშნებს და პარალელებს ავლებს თანამედროვეობასთან. მაგალითად, ისტორიული ალუზია იკვეთება ციტატაში - “The American story depends not on any one of us, not on some of us, but on all of us, on *“We the People,”*” (ბაიდენი 2021), სადაც ადრესანტი ახსენებს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პრეამბულის პირველ სამ სიტყვას (We the People), რომლებიც ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს კონსტიტუციით დაკანონებულ სახალხო სუვერენიტეტს. ამ გზით ადრესანტი შეახსენებს მსმენელს, რომ უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ამერიკელ ხალხს; ასევე, ციტატაში - “Through struggle, sacrifice, and setbacks, our *“better angels”* have always prevailed” (ბაიდენი 2021), სადაც პრეზიდენტი ბაიდენი მიანიშნებს ცნობილ ფრაზაზე - better angels - პრეზიდენტ ლინკოლნის

პირველი საინაუგურაციო სიტყვიდან. პრეზიდენტმა ლინკოლნმა ამ ფრაზით გამოხატა ამერიკელი ხალხის საუკეთესო ღირებულებები. მოცემულ შემთხვევაში პრეზიდენტ ბაიდენის მიზანია ხაზგასმით მიუთითოს, რომ მძაფრი ისტორიული ქართველების ფონზე ამერიკელი ხალხი ყოველთვის იცავდა და ინარჩუნებდა აღნიშნულ ღირებულებებს.

რელიგიური ალუზია განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ საზოგადოებებში, სადაც რელიგიას სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. რელიგიური ალუზია იკვეთება ციტატაში - “When we see that *wounded traveler on the road to Jericho*, we will not pass to the other side” (ბუში 2001). სახეზეა მინიშნება სახარებისეულ იგავზე კეთილი სამარიტელის შესახებ, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა იერიქოს გზაზე შემხვედრ, მისგან განსხვავებული აღმსარებლობის მატარებელ (იუდეველ), სხვებისაგან უგულვებელყოფილ დაჭრილ მოგზაურს. აღნიშნული ალუზიით ადრესანტი მსმენელს გულისხმიერების, სოლიდარობისა და ტოლერანტობისაკენ მოუწოდებს; ციტატაში - “Encouraging responsibility is not a search for *scapegoats*, it is a call to conscience” (ბუში 2001) - კვლავ რელიგიურ ალუზიას ვხვდებით. ამჯერად, ნახსენებია ბიბლიური განტევების ვაცი, რომელსაც საზოგადოება სხვების პასუხისმგებლობას აკისრებს. ადრესანტის ღრმა რწმენით, მოქალაქემ პასუხისმგებლობა უნდა იკისროს არა იძულებით (როგორც განტევების ვაცმა), არამედ საკუთარი სინდისის კარნახით.

ლიტერატურული ალუზიაც ხშირად გვხვდება პოლიტიკურ დისკურსში. პოლიტიკოსებმა თავიანთი არგუმენტების გასამყარებლად შეიძლება მიანიშნონ ცნობილ ავტორებზე, ან ნაწარმოებებზე. ასეთი მინიშნებები განსაკუთრებით ეფექტურია, როცა ისინი ეხება თანამედროვე პოლიტიკურ პრობლემებთან მჭიდროდ დაკავშირებულ თემებს. მაგალითად, პრეზიდენტი რეიგანი შეერთებულ შტატებს მოიხსენიებს, როგორც “*shining city upon a hill*” (რეიგანი 1989). აქ სახეზეა ალუზია პურიტანთა ლიდერის ჯონ უინტროპის ნაწარმოებზე. აღნიშნული ალუზიის გამოყენებით ადრესანტი მიზნად ისახავს თავისი ქვეყანა წარმოაჩინოს, როგორც ზნეობრივი მაგალითი მთელი მსოფლიოსთვის.

კულტურული ალუზია პოპულარულ კულტურასა და ეროვნულ იდენტობასთან არის დაკავშირებული. მისი გამოყენებით პოლიტიკოსი უფრო ფართო დემოგრაფიულ ჯგუფებთან (განსაკუთრებით, ახალგაზრდებთან), ან უფრო მრავალფეროვან აუდიტორიასთან ამყარებს კონტაქტს: “They’re all singing the same old song... *A song called “Yesterday”* (კლინტონი 2015) - ბითლზის ჰიტზე ალუზიით კლინტონი მიუთითებს, რომ მისი ოპონენტები ფეხს ვერ უწყობენ თანამედროვეობის მოთხოვნებს და გამოწვევებს.

ამრიგად, პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ალუზია წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს არგუმენტირებისთვის, საზოგადოებრივი აღქმის ფორმირებისთვის, კომპლექსური საკითხების გამარტივებისა და კოლექტიური მოქმედების მობილიზებისთვის. ისტორიული მოვლენების, რელიგიური, ან კულტურული სიმბოლიკის მოხმობით პოლიტიკურ აქტორებს შეუძლიათ აუდიტორიასთან ინტერაქცია ღრმა ემოციურ დონეზე, რაც უზრუნველყოფს უმთავრესი საკითხების საერთო გაგებას. ალუზია პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს აწმო წარსულთან, პირადი - კოლექტიურთან და იდეოლოგია - იდენტობასთან დაკავშირონ. მიუხედავად იმისა, რომ ალუზია ზრდის პოლიტიკურ ეფექტურობას, იგი, ასევე, შეიცავს გადაჭარბებული გამარტივების, ან მანიპულირების რისკს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, რომ როგორც პოლიტიკოსმა, ისე მისმა აუდიტორიამ კრიტიკულად შეაფასოს ალუზია და გააცნობიეროს, თუ როგორ შეუძლია მას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და პოლიტიკურ შედეგებზე გავლენის მოხდენა. საბოლოო ჯამში, ალუზია კვლავ

პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთ ცენტრალურ მახასიათებლად რჩება, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს იმ ასპექტებს, რომლითაც ენა და კულტურა ერთმანეთშია გადაჯაჭვული პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებისთვის.

ლიტერატურა:

- 1) **Devitt A. J.**, Intertextuality in tax accounting: Generic, referential, and functional. In *Textual dynamics of the professions: Historical and contemporary studies of writing in professional communities*, C. Bazerman and J. G. Paradis, Eds. University of Wisconsin Press, Madison, WI. pp. 336—357, 1991.
- 2) **Dontcheva-Navratilova O.**, Coherence and persuasion in political speeches: Ideological coherence in coherent discourse. Brno: Masaryk University, 2017.
- 3) **Kristeva J.**, *Desire in Language: A Semiotic Approach to Literature and Art*. Columbia University Press, 1980.
- 4) **The American Presidency Project** (e.resource). Access regime: <https://www.presidency.ucsb.edu/documents>. Last date of access: 01.05.2025.

Nino Tavidashvili

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

e-mail: nino.tavidashvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.05>

SJIF 2025: 8.584

Allusion - a Strategy of Intertextuality in Political Discourse

Abstract

Allusion, as one of the strategies of intertextuality, is a tool used in political discourse to enhance the persuasiveness of oral or written texts. Referring to historical events, figures, myths, or well-known cultural symbols, political actors establish a connection with their audience and rely on shared knowledge and values to strengthen their arguments. The aim of this paper is to define the role of allusion in political discourse and to analyze its functions, types and impact on public perception and political effectiveness.

The functions of allusion in political discourse are diverse: to enhance and reinforce credibility and authority, to provide emotional resonance, to condense complex ideas, to provide criticism and to mobilize public opinion.

Among the types of allusion used in political discourse there are historical, religious, literary and cultural allusions. When using historical allusion, the addressee refers to past events and draws parallels with the present. Religious allusion is especially prevalent in societies where religion plays an important role in public life. With literary allusion politicians

refer to famous authors or works - such allusions are especially effective when they relate to issues closely related to contemporary political reality. Finally, cultural allusion is linked to popular culture and national identity.

Thus, allusion in political discourse is a powerful tool for argumentation, shaping public perception, simplifying complex issues and mobilizing collective action. As one of the central features of political communication, allusion clearly demonstrates the ways in which language and culture are intertwined to shape the political landscape.

Key words: Allusion, strategies of intertextuality, political discourse

რეცენზენტი: პროფესორი ალენ ბერდიჩევსკი

ენათმეცნიერება Linguistic

ნივთიერებათა სახელები ქართულ ჟესტურ ენაში¹

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.06>

SJIF 2025: 8.584


ნივთიერებათა სახელები ქართულ ჟესტურ ენაში იმეორებს სამეტყველო ენების ლინგვისტურ სისტემას. ეს სიტყვა-ჟესტები არ გვხვდება მრავლობითში. ეს არის უთვლადი ფორმები. ცხადია, ქართული ჟესტური ენა ვერ გადმოგვცემს მენდელეევის სისტემას, რამდენადაც ამ ენაში ასეთი ცნებების გამოყენების საჭიროება ნაკლებია. ამ ენაში ნივთიერებათა სახელების გადმომცემი ჟესტები ნაწილობრივ იკონური ფორმებია, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი მაგალითები [მახარობლიძე 2015]



წყალი – უფერული, გამჭვირვალე სითხე, რომელიც იხმარება სასმელად, სარეცხად, საბანად, სარწყავად


ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]




რძე – თეთრი ან მოყვითალო ფერის სითხე, რომელსაც მშობიარობის შემდეგ ჩვილი შვილების საკვებად გამოყოფენ ქალი და ძუძუმწოვარი ცხოველები მკერდის ჯირკვლებიდან.

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ მიმართულია ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ფალანგებში ოდნავ მოხრილია გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, სრულდება ხელების კონფიგურაციათა და პოზიციათა მონაცვლეობითი, განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



ღვინო – ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მატრობელა სასმელი.

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, ყელს ეხება საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.



ოქრო – ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი, იხმარება ღირებულების საზომად, აგრეთვე სამკაულების დასამზადებლად

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი წინ იშლება და იკეცება რამდენჯერმე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



რკინა – ქიმიური ელემენტი, ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მძიმე, მოვერცხლისფრო ლითონი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელის გაშლილ თითებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალუმინი – ჭედადი, მსუბუქი ლითონი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრეკადი“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ლიტერატურა:

1. **დემეი, კუიჯი 2008:** Demey, E. & van der Kooij, E. Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation. *Lingua*, 118, 1109–1138.
2. **ემორეი, გრაბოვსკი, მაკულუოფი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004 :** Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.
3. **მახაროზლიძე 2015:** მახაროზლიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ
4. **მახაროზლიძე 2012:** მახაროზლიძე თამარ. ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
5. **მახაროზლიძე 2015:** მახაროზლიძე თამარ. ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შესახებ. იკე, ტ. 43. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015 გვ.116-144
6. **მეირი 2010 :** Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. *Language*, 86. 865–986.
7. **პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019 :** Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. *Developmental Science*, 21(2), e12551.
8. **თაუბი 2001 :** Taub, S. (2001). *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.

Tamar Makharoblidze*Ilia State University**Tbilisi, Georgia*tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.06>**SJIF 2025:** 8.584

Material nouns in GESL¹

Material nouns in GESL repeat the system of spoken languages. These signs do not accept the plural forms, since they are uncountable nouns. It is clear that GESL does not have the terms of the all system of Mendeleev, as there is no request for such signs in this language. As we can see from the examples in the presented paper, in GESL the nouns of material are partly iconic.

რეცენზენტი: პროფესორი ახმად მამელი

¹ *This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) OFR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology]*

ენათმეცნიერება Linguistic

Деривация или редеривация: обратное словообразование в русском языке

ნანული მელკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: melkadzenana@yandex.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.07>

SJIF 2025: 8.584

В статье с исторической точки зрения объясняется явление обратного словообразования в современном русском языке: на примере соотносительных пар глаголов эмоционального и физического состояния (на -ся и без -ся) доказывається диахроническая первичность глаголов на -ся и производность соответствующих каузативов.

სტატია იკვლევს თანამედროვე რუსულ ენაში შებრუნებული სიტყვაწარმოების ფენომენს ისტორიული თვალსაზრისით: ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის ზმნების (-ся დაბოლოებით და მის გარეშე) კორელაციური წყვილების მაგალითის გამოყენებით, დასტურდება -ся დაბოლოებით ზმნების დიაქრონიული პირველადობა და შემდეგ მათგან შესაბამისი კაუზატივების წარმოება.

В современном русском языке в коррелятивных глагольных парах: удивиться – удивить, беспокоиться – беспокоить (глаголы психического, эмоционального состояния), остановиться – остановить, кататься – катать (глаголы движения, перемещения) наблюдается формально-смысловая несоотносительность. Вторые члены глагольных пар содержат элемент каузации, а само значение их можно толковать посредством ссылки на возвратный глагол: удивить ‘каузировать удивиться’, остановить ‘каузировать остановиться’. По форме возвратный глагол сложнее невозвратного, по смыслу – наоборот: возвратный глагол включается в значение соответствующего невозвратного.

Впервые на глагольные пары, где «производящие основы могут иметь каузативное значение», обратил внимание Г. Ульянов: «Сопоставляя по значениям такие глагольные формы, как *beriu : byreti, krecziu : kreteti* и т. п., мы находим в них такого рода отношения: глаголы в форме действительного залога обозначают, что субъект производит то состояние, которое обозначается производными основами тех же глаголов в форме среднего залога» [Г. Ульянов, 1891: 50]. «Причинно-следственные отношения» находит в них И. П. Мучник. Он сопоставляет глагольные пары *вешать – висеть, гноить – гнить* с глагольными парами, обозначающими психическое состояние, типа *сердить – сердиться*

[Мучник, 1938: 132]. Пауль проводит сопоставление также с глаголами перемещения: *fallen* 'падать' – *fällen* 'валить', *hangen* 'висеть' – *hängen* 'вешать' и *sich regen* 'двигаться' – *regen* 'двигать', *sich freuen* 'радоваться' – *freuen* 'радовать', *sich verwundern* 'удивляться' – *verwundern* 'удивлять' [Пауль, 1960: 336].

Однако никто из названных исследователей не обратил внимания на формально-смысловую несоотнесенность в глагольных парах на -ся и без -ся.

Впервые это явление было описано И. А. Мельчуком и определено как «обратное словообразование». Он не просто обнаружил сходство в соотносительных глагольных парах *катать* – *кататься*, с одной стороны, и *поить* – *пить*, *кормить* – *есть*, *ставить* – *стоять*, *смешить* – *смеяться*, с другой стороны, но и сделал соответствующий вывод: «с точки зрения смысла *катать* сложнее, чем *кататься*, и должно считаться производным» [Мельчук, 1967: 182]. Позже явление "обратного словообразования" было определено проф. Добродомовым как «воспроизведение какого-либо уже сложившегося в языке отношения при условии, что мотивирующим выступает производное слово, а формально более простое по своей структуре слово производится так, как будто бы оно существовало в языке раньше мотивирующего» [Добродомов, 2019: 69].

Суть данного явления можно объяснить только при диахроническом подходе.

Данные исследований последних лет доказывают:

1. Изначальная оппозиция глаголов – оппозиция глаголов действия глаголам состояния, т. е. оппозиция по признаку активность/инактивность [Гамкрелидзе, 1984: 187]; категория же глагольной переходности – новое явление в сравнении с возвратностью [Крысько, 1991: 125].
2. Аффикс *ся* в древнерусском языке чрезвычайно полисемичен. Его объектное значение – одно из частных. Это значение реализуется лишь в отсубъектных глаголах [Янко-Триницкая, 1962: 79]. Традиционная точка зрения об образовании возвратных глаголов от соответствующих невозвратных (Ф. И. Буслаев, Н. П. Некрасов, В. А. Богородицкий и др.) верна только в отношении этих глаголов.

В рассматриваемых нами глаголах – отобъектных – аффикс *ся* всего лишь маркер рецессивности (устраняет объект и изменяет субъект действия). Он изначально принадлежит глаголу, несмотря на дистантное положение.

Учитывая вышесказанное, можно объяснить и тот факт, что основное значение – психическое, эмоциональное состояние (общевозвратное значение) или физическое состояние (средневозвратное значение) – выражается глаголами на -ся, а соотносительные каузативы, соответственно, являются редериватами.

Таким образом, если с точки зрения современного русского языка мы имеем в рассматриваемых глаголах «обратное словообразование», то при диахроническом подходе наблюдаем формально-смысловую соотносительность: каузативный невозвратный глагол и по форме и по смыслу является производным от соответствующего глагола на -ся.

Определенное И. А. Мельчуком явление «обратного словообразования» лишь подтверждает диахроническую первичность обще- и средневозвратных глаголов.

Процесс развития каузативных значений у глаголов, имеющих непереходное значение и употребляющихся в медиальной форме, происходил и в истории других индоевропейских языков. Образование активных форм от депонентных глаголов наблюдается в истории древнегреческого языка. Так, если у Гомера глаголы *αυαλλομαι*

‘красоваться, гордиться’, *ατιζομαι* ‘быть изумлённым, поражённым’; *μαινομαι* ‘безумствовать’ употребляются только в медиальной форме, то в более поздних текстах у Феокрита, Пиндара, Эврипида засвидетельствованы каузативные формы от этих глаголов: *αυαλλω* ‘украшать, прославлять’, *ατυζω* ‘поражать, изумлять’, *μαινω* ‘приводить в гнев, в безумие’ [Перельмутер, 1977: 121]. Подобное явление отмечается и в истории романских языков. Латинские отложительные глаголы в старофранцузском языке приобретают каузативное значение.

Положение о первичности рассматриваемых глаголов подтверждается фактами древнеславянских источников. В памятниках письменности XI-XIII вв. зафиксированы несоотносительные глаголы: *бѣситися, дутися, зыбаться, трястися, шататися, ширитися* и др. [Кузнецова, 1984: 126].

Литература:

1. Добродомов И. Г. Обратное словообразование в истории русского языка. Серия: Гуманитарные науки №7-2 июль 2019, с. 66- 71
2. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Кн. 1, Тб., 1984, с. 428
3. Крысько В. Б. Возвратные глаголы в древнерусском языке.// Славянская филология. Имя и глагол в исторической перспективе., т. 558. - Рига, 1991, с. 141
4. Кузнецова М. В. История формирования возвратных глаголов (на материале памятников древнеславянской письменности): Дис. ... канд. филол. наук. – Л., 1984, с. 234
5. Мельчук И. А. К понятию словообразования. //Изв. АН СССР. Серия лит и яз., 1967, т. XXVI, вып. 4, с. 353
6. Мучник И. П. О залогах русского глагола. «Учёные записки Моск. гос. пед. ин-та», 1938, вып. 2, с. 107-172
7. Пауль Г. Принципы истории языка. - М., 1960, с. 500
8. Перельмутер И. А. Общеиндоевропейский и греческий глагол. - М., 1977, с. 207
9. Ульянов Г. К. Значения глагольных основ в литовско-славянском языке. Ч.1. Варшава, 1891, с. 308
10. Янко-Триницкая Н. А. Возвратные глаголы в современном русском языке. - М., 1962., с. 247

Nanuli Melkadze

Akaki Tsereteli State University

e-mail: melkadzenana@yandex.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.07>

SJIF 2025: 8.584

Derivation or Rederivation: Back-Wordformation in Russian

Abstract

The article explains the phenomenon of reverse word formation in the modern Russian language from a historical point of view: using the example of correlative pairs of verbs of emotional and physical states (with and without -ся), the diachronic primacy of verbs with -ся and the derivation of the corresponding causatives is proven.

რეცენზენტი: პროფესორი მარია აფანასიადი

ენათმეცნიერება Linguistic

„და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ-ინტონაციური ფუნქციისათვის ოტია იოსელიანის პროზაში

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ORCID:0000-0001-8490-4813

e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.08>

SJIF 2025: 8.584

„და“ კავშირის ფუნქციები და გამოყენების საკითხი არაერთხელ დასმულა ქართულ ენათმეცნიერებაში. „და“ კავშირი არა მხოლოდ გამოყენების სიხშირით გამოირჩევა, არამედ უფრო საინტერესოა მისი სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები; კერძოდ, „და“-ს ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება; იგი უმთავრესად მაერთებელი კავშირია, იშვიათად - მაქვემდებარებელი, კიდევ უფრო იშვიათად - მიერთებითი. სხვადასხვა ფუნქციის გათვალისწინებით განვიხილავთ „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ და ინტონაციურ პარამეტრებს ოტია იოსელიანის პროზის ენაში.

საკვანძო სიტყვები: კავშირი „და“, კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები

„და“ კავშირის ფუნქციები და გამოყენების საკითხი არაერთხელ დასმულა ქართულ ენათმეცნიერებაში (ნადარეიშვილი, 1970; ძიძიგური, 1989; დანელია, 1979, სარჯველაძე, 1984, ჭიკაძე, 2014).

„და“ კავშირი არა მხოლოდ გამოყენების სიხშირით გამოირჩევა, არამედ უფრო საინტერესოა მისი სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები; კერძოდ, „და“-ს ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება; იგი უმთავრესად მაერთებელი კავშირია, იშვიათად - მაქვემდებარებელი, კიდევ უფრო იშვიათად - მიერთებითი. სხვადასხვა ფუნქციის გათვალისწინებით განვიხილავთ „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ და ინტონაციურ პარამეტრებს ოტია იოსელიანის პროზის ენაში.

„და“ კავშირი პარატაქსულ კონსტრუქციაში

ოტია იოსელიანის პროზაში „და“ როგორც მაჯგუფებელი კავშირი აერთებს პარატაქსული კონსტრუქციის ისეთ კომპონენტებს, სადაც პირველ კომპონენტში მიზეზია დასახელებული, მეორეში - შედეგი: ჩვენ ჩვენი ხელით ყანაში გლერტა ბალახი ამოვჩიქნეთ და ხელებზე სისხლი გვადინა (ავტ. ნოველა); მაგრამ ზნელში მაინც მაცახცახებდა და სანამ დედა ჩემთან იყო, ვაღვიძებდი (ავტ.

ნოველა); შვილთაშვილებს მოესწრო და ისინიც მის ... კალთაში წამოიჩიტნენ (ავტ.ნოველა); - ... სახლს თუ დავუწვავთ, არ ვიცი და, ისე ხომ ხედავ, გარეთ არავინ იხედება (ხაფანგი, 291, 27); უნდოდა, დროზე ამოემაქრა და მისი გულის მოსაგებად აღარ დამზოგა (ხაფანგი, 292, 5); გოგოები გააფრთხილა და რამდენი ცხელ-ცხელი სილაქები მომხვდა ჩემი ამქრებისაგან, ვინ მოთვლის (ხაფანგი, 293, 8); მეორე დღეს ოთხი გოგო კოჭლობდა და ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა (ხაფანგი, 293, 23); ამ ბოლო დროს ჯიბილოც დუმდა და მით უფრო მინდოდა ახლა რაიმე ისეთი... (ხაფანგი, 294, 5); ...მოლზე, ერთგან თოვლი დაუყრიათ და კინაღამ შიშველი ფეხები არ დავადგი?! (ხაფანგი, 294, 35); - ... ახლა ზაფხულია და ფიჩხზე ვახურებ კეცებს... (ხაფანგი, 298, 32); ეს სასწავლებელი მხოლოდ ქალების "საკუთრებად" ითვლებოდა და იქ ისეთი არავინ იყო, დარეჯანი მოეხიბლა (შინაბერა, 11, 2); ჯერ ერთი, ბიბლიოთეკას თავს არავინ ატეხავდა და მეორეც, თითო-ოროლა მკითხველი ან საქმემმოლეული თუ მაინც შემოეხეტებოდა, მათ შორის ისეთი არავინ იყო, ქალიშვილს თვალი და გული ერთად შევარდნოდა (შინაბერა, 11, 13); გაზეთები, ჟურნალები და წიგნები იმას ღაღადებდნენ, ჩვენზე ბედნიერი ადამიანი ჯერ არ გაჩენილაო და თუ ეს მართლა ასე არ იყო, მთლად დაქცეული და დამხოზილი რავა იქნებოდა, ეგონა (შინაბერა, 14, 2); - ნუგემას მე რავარც საჭიროა, ისე ჩავაქვესკნელებ და იმ კაცის მხარე შენ დაიჭირე (თვითმკვლეელი, 30, 9);

კომპონენტთა მიზეზ-შედეგობრიობა კიდევ უფრო გამოკვეთილია შესაბამის ზმნისართებზე „და“ კავშირის დართვით: და ამიტომ, და ამიტომაც, და ამის გამო.

და ამიტომ: და ამიტომ უბრალოდ, ლაფს კი არა, ლესტეკს ეძახდნენ (დედა, 52, 26); ეს უნდოდა დაროს, ამიტომ მოიკლა ქალმა თავი და ამიტომ ყურყუტობდა ამდენ ხანს? (ქვრივის ცრემლები, 98, 12); და ამიტომ თუ იყო, რაღაც გულს ეთანადრებოდა (ჩაჩნის კვესი, 212, 12); და ამიტომ მის ნუგზარს იმისთანა სიტკბო და გემო ჰქონდა, არაფერში გაერეოდა (აღათი, 353, 15); და ამიტომ თუ იყო, რომ გული მათთან დიდხანს არ მიდგებოდა (აღათი, 353, 34).

და ამის გამო: სამსახურში ამრეხით დაუწყეს ყურება და ამის გამო იყო გაღიზიანებული (ხაფანგი, 62, 24); მთელი ღამე თავაუწევლად აგროვებდა თივის ბულულებს და ამის გამოც გახდა ავად (შავი და თეთრი ძროხა, 62, 16).

კომპონენტთა ურთიერთშეპირისპირების გასაძლიერებლად „და“-სთან გამოყენებულია „კი“კავშირი: ... დედაჩემივით კი არ დაბნეულა და თავგზა კი არ დაუკარგავს (ავტ.ნოველა); მე ერთხანს თვალდია დავრჩი და არც კი ვიცი, როდის იყო ეს (მოთხრობები ოჯახზე, 26, 17); ეზოს ჭიშკარი ღია დარჩა და მეტი კი არ უნდა მეზობლის ღორს (ცხოვრების სიბრძნე, 31, 22); და ის კი არა, იმ მენავეს შეუძლია წყალზე გულაღმა დაწვეს, დაწვეს და... დაიძინოს კიდევ, მაგრამ...(მენავე, 90, 22); ქვილიშორლებს მჭადის და პურის ფქვილი ბაზარში უნდა შეეძინათ და ბაზარი კი ხონში და ქუთაისში იყო (დედულეთი 56, 16); ქილიანს ყოველთვის უკუღმართული აზრები მოსდიოდა და მისი ამოცნობა გოგოებს კი არა, ჩვენც გვიჭირდა (ხაფანგი, 292, 9).

ამდენად, „და“ როგორც მაერთებელი კავშირი მონაწილეობს პარატაქსულ კონსტრუქციაში, რომლის კომპონენტებს ურთიერთთან აკავშირებს სტრუქტურულად და სემანტიკურად, სადაც „მეორე წინადადება წარმოადგენს დასკვნას გარკვეული მოვლენის შესახებ (გრიქოროვა, 1983, 11).

„და“ კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

„და“ კავშირის მაქვემდებარებელ კავშირად გამოყენება დადასტურდა ოტია იოსელიანის პროზაშიც. ნიშანდობლივია, რომ „და“ მაქვემდებარებელ კავშირად უმთავრესად გამოიყენება პერსონაჟთა მეტყველებაში, რაც მისი ამ ფუნქციის ზეპირი მეტყველებიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში „და“ ხშირად ახლავს მაქვემდებარებელ კავშირებს და ვიღებთ ე.წ. გაწყვილებულ კავშირებს: **„და რომ, და რადგანაც, და თუ, და როცა, და რა..** ასეთ შემთხვევაში წინადადება შინაარსობრივად გამოხატავს მიზეზ-შედეგობრიობას, პირობით-შედეგობრიობასა და დროულ-შედეგობრიობას.

და რომ, და რადგანაც კავშირებიაბი ქვეწყობილი წინადადება შინაარსის მიხედვით მიზეზ-შედეგობითია, სადაც მიზეზი დამოკიდებულშია გადმოცემული, შედეგი - მთავარში;

და რომ: ერთ გოგოს ბაფთა თმაში ჩაეწნა და რომ ვერ წავაძვრეთ, ნაწნავი წავაჭერთ (ხაფანგი, 290, 15); - სად და იქ!.. რისთვის, ვერ გეტყვით, და რომ მომვლათ, ვერ გეტყვით, წამოდით და თქვენი თვალით ნახეთ! (ხაფანგი, 297, 28).

და რადგანაც: და რადგანაც ჩვენი საერთო საცხოვრებელი ზედ რკინიგზის პირას იდგა, ხშირად ფეხით ჩამოვდიოდით ბეჭობე (ჩქარი მატარებლიდან, 18,3).

და თუ: წავალ, ვაჩვენებ და თუ მოეწონება, ჩემს ბედს ძალის არ დაჰყევს (ეპიტაფია, 44, 11); ქედზე გადმომდგარ ხარჯიხვს თუ თვალს მოჰკრავ და თუ ის ვერ შეგამჩნევს, რა გაქვს მაშინ სანერვიულს (ხარჯიხვი, 39,8).

და როცა: უბედურმა ქალმა ვერც ეს ნაბიჯი გადადგა დროულად და როცა ეს მოხდა, უკვე გვიან იყო (ავტობიოგრაფიული ნოველა); და როცა ხელსახოცით ღრანჭი აუკრა, თავიდან მოგლეჯილი ჩალისფერი ყაბალახი მიწას დაანარცხა (ეპიტაფია, 44, 12); და როცა ერთ გრძელ და შემზარავ ყმუილს გააბამდა (ლევანა, 51,3); და როცა ისევ გადაწვა ბელტი ბელტზე, დაავიწყდა წელანდელი შიში თუ გაოცება (ლევანა 56,30); და როცა ერთი გრძელი ნაფაზი გამოუშვა, ჩაიხვიხვინა: (ქვრივის ცრემლები, 104,24); და როცა ლუკაიას ფშვინვა ყურთან ჩაესმა, აცახცახებულმა ამოიკვნესა... (ქვრივის ცრემლები, 106,24); ეს ხმა მაინც სხვაა, ჯერ ერთი, მე დიტო მქვია და როცა მესალმებიან, დიტოს გაუმარჯოსო ან დიტო, იცოცხლეო (აკაციის ყვავილობა, 121, 18); და როცა ძარას გარეთ დარჩენილი მეორე ფეხი მაღლა ასწია, თავი ისევ კაბინაში შევმალე (აკაციის ყვავილობა, 121, 22); შევაჩერე და როცა ისევ წადგა ფეხი, დავძარი (აკაციის ყვავილობა, 124, 8); გადაწონა და როცა მზიდავებმა კონვეიერზე გასაცლელად წამოავლეს ხელი, შეაჩერა (აკაციის ყვავილობა, 131, 16); და როცა უკან გზას დავადექი, დაგუდული სიხარულის ბოლმინი ღიღინი წამოვიწყე (აკაციის ყვავილობა, 132, 18); შენ უთხარი, შეაჩვიე, გინდა, მე მოვწერ ისე წყნარ წერილს და როცა უკეთესად იქნება, წაუკითხე-მეთქი (ცეცხლთან თამაში, 165, 19); შენ უთხარი, შეაჩვიე, გინდა, მე მოვწერ ისე წყნარ წერილს და როცა უკეთესად იქნება, წაუკითხე-მეთქი (ცეცხლთან თამაში, 165, 19); და როცა მთის წვერზე ახვედი და წინ ისევ ლუსკუმ ბნელს გახედე, წახდი ყაბახი! (მეწისქვილის ქალიშვილი, 172, 21); და როცა კუთხეში კედელზე მიმაგრებულ განჯინასთან ქალიშვილს შეასწრო თვალი (მეწისქვილის ქალიშვილი, 176, 14); და როცა ჭადს ახალი ნათურა მოარგეს და სინათლე აანთეს, ხალხიც გამოჩნდა (კინოში, 223, 17); და როცა გვერდი იბრუნა და ფეხი გამართა, დამლაგებელს ერთიანად აემტვერებინა კლუბი და კინაღამ გაგიჟდა, - აქ რას აკეთებდიო?! (კინოში, 224, 9); და როცა დოლაბების ხმაური შორიდან სასიამოვნოდ გრუტუნად მოგვესმა, გავწირეთ თავი (სიცილი წისქვილის გზაზე, 234, 35); ბუნებას მაინცდამაინც არ გაუტაცნია და როცა კითხვით ამომხედა, მაშინვე გადაუშალე მომდევნო ნახატი (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 78, 2); შეგვამჭიდროვა და, როცა ჩვენი უბნისაკენ აღმართს აუყვია, უკანა კართან ჩოჩქოლი ატყდა(დავა ავტობუსში, 258, 1); ...და როცა საგულდაგულოდ დავაგე, ტყავი არ დავზოგე და ჭიშკრის ბოგირქვეშ შევძვერი (ხაფანგი, 293, 11); ...და როცა იქაურობას გაცდა, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი ხიფათი, იქ გაექცა საჭე (ავტომანქანის გატაცება, 301, 18); და როცა ისევ გიგლას შეხედა, ეჭვი აღარ იყო, ის აქ იყო და მას ძალიან კარგად, ძალიან კარგად იცნობდა ელო (საახალწლო ნოველა, 315, 19); და როცა დაბამბული ჯუბა მხრებზე მოახურა მთლიანად აკანკალებულ ქმარს (ჯარისკაცი დაბრუნდა, 398, 7); და როცა დაბამბული ჯუბა მხრებზე მოახურა მთლიანად აკანკალებულ ქმარს (ჯარისკაცი დაბრუნდა, 398, 7); და როცა კვლავ მოესმა გაბმული ყმუილი, კვიცმა იფიქრა: (კვიცი და მგელი, 491, 10); და როცა იხილა ხასხასა ლურჯ ცაზე ანთებული ცეცხლის წითელი ბურთი (ხარჯიხვი, 494, 4); მიიხედ-მოიხედეს და როცა მათკენ გამალებით მომავალი შენიშნეს, მზერა მიაპყრეს, გაირინდნენ (ხარჯიხვი, 496, 2); თურმე შიში დასაკარგავის -სიცოცხლის შეუღლელობაა და როცა ყველაფერს კარგავ, შიშსაც კარგავ (ძალისხმევა, 116, 31); და როცა გაელავდა, დაგრუხუნებამდე ღრუბლებს სახრით ემუქრებოდა, თუ მოსალოდნელ მეხის დაცემას იგერიებდა (ივანეს მარიე - მზეთუნახავი, 151, 24); და, როცა კიბეზე ჩამოვდიოდი, მივხვდი, დიასახლისი უკან აღარ დამაბრუნებდა (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 174,4); და როცა ზაფხულის არდადეგებიდან დავბრუნდი, ცირას ისე გაუხარდა, კინაღამ იტირა (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 178, 20); და, როცა ხარებმა ნაბიჯს უკლეს, გაუსწორდა, მერე წინ წავიდა და დაიკარგა სიბნელეში (წყლის ქალი, 192, 24); და როცა მეგონა, წამოდგებოდა, ისევ გულადმა გაიშხლართა ბალახებში (ვარსკვლავთცვენა, თავი I, რიკ-ტაფელა, 380,10); და როცა ღვინისაკენ წავედი, რომ ბაწრით შავ ხართან გადამესარქა, გოჩას მივარდა: (ვარსკვლავთცვენა, გვ. 401,31); და როცა ეზიკა ჩემს ეზომდე მოკოჩილდა, ჭიშკართან დავხვდი (ვარსკვლავთცვენა, გვ. 492, 8).

და რა: მაშინვე მიხვდებოდი, რა სწყინდა და რა ახარებდა (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 40, 33); რა გაათენებს იანვრის ღამეს და რა დააღამებს მაისის დღეს (შავი და თეთრი ძროხა, 64,21); - კაი ერთი, სალაპარაკო არაა, ინახე, ინახე, იწვალე, იჯახირე და რა გამოვა მერე! (ზამთარი, 267, 3); და რა დღესაც იგრძნობ, რომ შეგიძლია გიყვარდეს, რა დღიდანაც გული ტოლსა და სწორს მოუხმობს (საახალწლო ნოველა, 308,4);

თუ ყველა ამ წინადადებას კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ რომ მთავარ წინადადებაში **შედეგია** დაფიქსირებული, ხოლო დამოკიდებულში - **მიზეზი, პირობითობა ან დროულობა**; ასეთი სახის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები არის **მიზეზ-შედეგობითი, პირობით-შედეგობითი და დროით-შედეგობითი**.

პროფესორ რ. ჭიკაძის აზრით, „სტრუქტურულად ასეთი სახის ე.წ. ზერთული წინადადება შედგება „და“-თი დაკავშირებული და თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული კომპონენტებისაგან - მთავარი წინადადების შედარებით დამოუკიდებელი ნაწილისა და ქვეწყობილი კომპონენტისაგან; სწორედ ამ უკანასკნელის მთავარს ახლავს დამოკიდებული, რომელიც, როგორც წესი, წინ უძღვის მას და განმარტავს ამ კომპონენტით გამოხატული მოქმედების მიზეზს, პირობითობას და ან დროულობას (ჭიკაძე, 2014, 115).

„და“ კავშირის ფუნქციისათვის ინტონაციურ სტრუქტურაში

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „არ არსებობს ენა ინტონაციის გარეშე, ისე როგორც არ არსებობს ინტონაცია კონკრეტული ლექსიკური და სინტაქსური წყობის გარეშე (ჟღენტი, 1963, 18). მიუხედავად იმისა, რომ წინადადებაში ინტონაციის ცენტრი შემასმენელია, მაინც დიდი დატვირთვა გადადის საკავშირებელ საშუალებებზე, რომელთაგან უპირველესი „და“ კავშირია, მისი ადგილი და ფუნქცია დომინირებს წინადადების ინტონაციურ სტრუქტურაში.

ამ შემთხვევებში „და“ კავშირის რიტმული მახვილის ფუნქციის შეთავსებაც შეუძლია და განაპირობებს წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას.

„პარატაქსულ კონსტრუქციაში „და“ ინტონაციურად ხან პირველი კომპონენტის ენკლიტიკური კავშირ-ნაწილაკია, ხანაც მეორის პროკლიტიკური, რაც შემასმენლის ადგილითაცაა განპირობებული; კერძოდ, როდესაც შემასმენელი პირველი კომპონენტის თავშია, მაშინ, „და“ ინტონაციურად ამ კომპონენტის ენკლიტიკური ელემენტია“ (ჭიკაძე, 2014, 116):

ავილე და თავში ჩავაფარე, დააცილე-თქო (ხაფანგი, 293, 2); ვიშვირე ფეხი და ბაბუა სამსონის სამეზობლო ღობეს გადაველე (ხაფანგი, 294, 19); ვიცოდი, სამსონი შეუძლოდ იყო და ახლა ბებია ნინუცას კიდევაც რომ დავენახე, ხმას არ გაიღებდა (ხაფანგი, 294, 20); წამავლო ფეხებში ხელი და ძირს გადმოგდება დამიპირა (ხაფანგი, 296, 27); მაგრამ ვიცოდი, ამას არავინ დამაჯერებდა და ვიყვირე (ხაფანგი, 297, 13); დამდეს სკამლოგინზე და ნამეტანი რომ გამიჭირდა, ისევ ვიყვირე: (ხაფანგი, 297, 24); - გეტყვით, გამიშვით და გეტყვით! (ხაფანგი, 297, 23); იცოცხლე, გადმოუცვივდათ თვალები და მოეწვრათ ყბები! (ხაფანგი, 298, 23).

კიდევ უფრო გამოკვეთილია „და“-ს ინტონაციური პროკლიტიკურობა, როდესაც მეორე შემასმენლით გამოხატული მოქმედება გაძლიერებულია სათანადო ზმნისარტებით:

და . ამიტომ ამის გამო იყო რომ საბალახოდ წასულ ძროხას აჩრდილივით უკან დავყვებოდი (შავი და თეთრი ძროხა, 62,24); **და > ტყავაძემ სწორედ ამის გამო** მოიხედა უკან და იკითხა:(იყო ერთი ქალი, 337, 4).

ამ შემთხვევებში „და“ კავშირი მტკიცებითი, დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციასაც ითავსებს.

ასეთსავე მიდრეკილებას ამჟღავნებს „და“ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ისეთ ინტონაციურ სტრუქტურაში, სადაც იგი პროკლიტიკურად ეკედლება მაქვემდებარებელ კავშირს და მტკიცებითო ელფერით მოსავს დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მოქმედების შინაარსს:

კაცმა ერთხანს უყურა და როცა ბაბემ თვალი მოარიდა, კითხვა განაგრძო (ქალი აგარაკზე, 330, 11); მერე უკან-უკან წავიდა და როცა ლიანდაგზე გადავიდა, ისევ მოიხედა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 349, 18); ცირკში ერთ ღამეს სკამებში ჩავიმალე და როცა ყველა წავიდა, ბაწარზე გავიარე, გავიარე და გამოვიარე (თამაში, 62, 35); მე ამან გამაკვირვა, და რადგან ცირა არ ჩანდა ისეთი გოგო, რომ თუ მოინდომებდა, რაიმე დარჩენოდა გაურკვეველი (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 180, 7); მოიგონეს და რადგან სარდიონზე უამისოდ მნიშვნელოვანი ვერაფერი თქვს (წყლის ქალი, 186, 21); დავინახე ისე, სხვათა შორის, და რადგან ყველას უნდოდა დაენახა... (ვარსკვლავთცვენა,თავი I, რიკ-ტაფელა, გვ.378, 23);

იმდენად კარგად და თვალმოუცილებლად გიყურებს, და რადგან ქალს ორი თვალი რომ ჩვეულებრივ წინ აქვს, ოთხი უკან, კეფაზე („შავი და ცისფერი მდინარე“ 154,9).

ასეთი ტიპის წინადადებებს სინტაქსურ-სემანტიკურთნ ერთად ქმნის ინტონაციური ფაქტორი; სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობით ვილბთ წინადადების სტრუქტურულ მთლიანობნას.

„და“ მიერთებითი კავშირის ფუნქციით

„და“ კავშირი ოტია იოსელიანის თხზულებებში ხშირად გვხვდება მიერთებითი კავშირის ფუნქციითაც. „და“ კავშირის მიერთებითი“ ფუნქციის შესახებ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა (სერგია, 1997, ჭიკაძე, 2014). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ამ ფუნქციით „და“ კავშირის გამოყენების შემთხვევები მწერლისეულ რემარკებში:

- ჰაიკ, სად წახვალ, ასე! - და წვალებით გამოვფორთხდი (ხაფანგი, 293, 18); „ტყავადემ უთხრა, შენი და ჩემი საყვარელიაო?!“ - და ესლა გაიფიქრა მაკამ (იყო ერთი ქალი, 486, 12); -თუ ქვეყნად სიმართლე არ იქნება... - და ეს იყო ის, რაზეც ბაკურს უნდოდა ელაპარაკა (შავი და ცისფერი მდინარე, 113,4).

ამდენად, ოტია იოსელიანის პროზის ენაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საკმაოდ ვრცელია „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარადიგმები. სინტაქსურად „და“ ძირითადად მაერთებელი კავშირია (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი), იშვიათად მაქვემდებარებელი, არც თუ იშვიათად მიერთებითი. სემანტიკურად, რთულ კონსტრუქციებში „და“-თი დაკავშირებულ კომპონენტთაგან წინამავალი გვიჩვენებს მიზეზს, პირობითობას ან დროულობას, ხოლო მომდევნო - შედეგს. ყველა ასეთ შემთხვევაში წინადადების სემანტიკა შედეგზეა ორიენტირებული. ინტონაციურად გამორჩეულია „და“ კავშირის ადგილი, ფუნქცია წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურაში.

ოტია იოსელიანის თხზულებებში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „და“ კავშირიანი წინადადება საინტერესო ენობრივი ერთეულია, რომლის სტრუქტურულ მთლიანობასაც განაპირობებს როგორც სინტაქსურ-სემანტიკური, ისე ინტონაციური ფაქტორები.

ლიტერატურა:

1. გ. ახალაია, და კავშირი და რთული ქვეწყობილი წინადადება ქართველურ ენებში, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.
2. დ. გრიქოროვა, თანწყობილ წინადადებაში შემავალი კომპონენტების სემანტიკური აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1983.
3. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1973.
4. ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1962.
5. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბ., 1996.
6. ი. ნადარეიშვილი, „და“ კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში, სმა მოამბე, 57, #3, 1970.
7. ს. ჟდენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, გამომცემლობა
8. „ცოდნა“, თბ., 1963.
9. ვ. სერგია, ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., 1997.
10. მ. ძიდიგური, კავშირები ქართულ ენაში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1973.
11. რ. ჭიკაძე, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2014.

Manana Mikadze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

ORCID:0000-0001-8490-4813

e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.08>**SJIF 2025:** 8.584

For the syntactic-semantic-intonational function of the conjunction “and” in Otia Ioseliani’s proze

Abstract

The Question of the functions and use of the conjunction “and” has been reised repeatedly in Georgian Linguistic.

The conjunction “and” is not only distinguished by its frequency of use, but also its syntactic-semantic and intonational parametrs are more interesting; in particular, the main function of “and” is syntactic-semantic connection of the components of a sentence; It is primarily a connection conjunction, rarely a subordinating conjunction, and even more rarely a conjunction. Considering various functions, we will discuss the syntactic-semantic and intonational parametrs of the conjunction ‘and” in the prose langusge of Otia Ioseliani.

Key words: conjunction “and”, syntactic-semantic and intonational parametrs of the conjunction.

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა

ენათმეცნიერება Linguistic

ვნებითი კონსტრუქციების როლი მანიპულაციურ პოლიტიკურ
რიტორიკაში

ნინო ჩუბინიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: nino.chubinide@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.09>

SJIF 2025: 8.584

ეს ნაშრომი განიხილავს პასიური კონსტრუქციების როლს მანიპულაციურ პოლიტიკურ რიტორიკაში, რომელიც ემოციური რეაქციების გამოწვევას ისახავს მიზნად. პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ სიძულვილისა და ზიზღის ენას, რათა საზოგადოებაში პოლარიზაცია გააძლიერონ. ისინი ოპოზიციურ ძალებს საშიშ მტრად წარმოაჩენენ, ხოლო საკუთარ პოლიტიკას ეთიკურად და მორალურად ადმატებულ ჩარჩოში ათავსებენ.

ძალაუფლების წყურვილის მქონე პოლიტიკოსები ვნებით გვარს სხვადასხვა მიზნისთვის იყენებენ: ზოგჯერ უსამართლობის მიმართ ზიზღის გადმოსაცემად, ხოლო სხვა დროს-ემპათიისა და ემოციური აპელირების გზით საკუთარი იმიჯის გასაძლიერებლად. თუმცა, ხშირად ხდება, რომ პასიური კონსტრუქციების გამოიყენება გაუგებარ და ბუნდოვან რიტორიკას ქმნის, რაც საზოგადოებაში ნეგატიურ რეაქციას იწვევს და შესაძლოა, საბოლოოდ, თავად პლიტიკოსის იმიჯსაც ავნოს.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ვნებითი გვარის ლინგვისტური გავლენა პოლიტიკურ რიტორიკაზე, კერძოდ, როგორ ახდენს ის აგენტის გადაფარვას, პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას და საზოგადოებრივი აღქმის ფორმირებას. ისეთი პოლიტიკური მოღვაწეების, როგორიც არიან დონალდ რამპი, ჰილარი კლინტონი, ჯორჯ ბუში და ა.შ. რიტორიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ენობრივი საშუალება ხელს უწყობს პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისა და ემოციური ეფექტების გაძლიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ წერასა და მედიაში ვნებითი კონსტრუქციები ხშირად ნეიტრალურობისთვის გამოიყენება, ჯორჯ ორუელი [Orwell, 1946] აქტიურ გვარს უპირატესობას ანიჭებს, რათა კომუნიკაცია უფრო მკაფიო და კონკრეტული იყოს. მაშასადამე, პოლიტიკურ დისკურსში აქტიური და პასიური გვარის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აქტიური გვარი უფრო პირდაპირ და გასაგებად წარმოაჩენს პასუხისმგებლობის განაწილებას, ხოლო პასიური კონსტრუქციები, გარკვეულ კონტექსტში, პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტად გვევლინება. მედია ხშირად იყენებს პასიურ კონსტრუქციებს მოვლენების ობიექტურად გადმოსაცემად, თუმცა, პრაქტიკაში, ეს რიტორიკული სტატეგია ხშირად ემსახურება საზოგადოებრივი განწყობის ფორმირებას, აგენტის ჩასახშობად და ნარატივების მიზანმიმართული მანიპულაციისთვის.

საკვანძო სიტყვები: პასიური ზმნის კონსტრუქციები, პოლიტიკური დისკურსი, სიძულვილის ენა, ზიზღის ენა

შესავალი. ფერკლოუ ძალაუფლებისა და ენის ურთიერთკავშირს აღწერს კონცეფციებით „ძალაუფლება დისკურსში“, და „ძალაუფლება დისკურსის მიღმა“ ფერკლოუ [Fairclough 1989]. მისი შეხედულებით, ძალაუფლების სტრუქტურები არასოდეს არ არიან აბსოლუტური ტოტალური, რადგან საზოგადოებაში არსებობს მექანიზმი, რომელიც ყველა ინდივიდს ძალაუფლებაზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს. მისი მტკიცებით, „ისინი, ვინც ძალაუფლებას წარმოადგენენ, მუდმივი ბრძოლაა აქვთ მისი შენარჩუნებისთვის, ხოლო ისინი ვინც მოკლებულნი არიან, გამუდმებით ძალაუფლების მოპოვებისკენ მიისწრაფვიან“ ფერკლოუს [Fairclough 1989:68]. ამ მიზნით, პოლიტიკოსები მიმართავენ უამრავ ხრიკს. ფაქტების მხილებასთან ერთად მათი ამოცანაა შექმნან ემოციური რეაქცია-განწყობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღშფოთება ან ზიზღი ოპოზიციური თუ წამყვანი პოლიტიკური ფიგურების მიმართ. პოლიტიკური მანიპულაცია მოიაზრებს პოლარიზაციის დაწერგვას. პოლიტიკოსები თავიანთ განცხადებებში ოპოზიციურ ძალებს წარმოაჩენენ საშიშ დამნაშავეებად ხოლო თავიანთ პოლიტიკას უკავშირებენ მორალურად და ეთიკურად მაღალ, გაწონასწორებულ ძალას. ეს ტაქტიკა განსაკუთრებით აქტუალური ხდება საზოგადოებაში სწრაფი და მძაფრი ემოციური რეაქციის გამოწვევის კუთხით, ხოლო ემოციების თანხლებით შეუძლებელია რთული პროცესების სრული კომპლექსური აღქმა. ვნებითი კონსტრუქციებით შექმნილი ზიზღის რიტორიკა შესაძლოა იყოს ეფექტური მოკლევადიან პერსპექტივაში, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა დაგვირგვინდეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობებით. მასობრივი აღშფოთების ენამ შეიძლება შექმნას სურათი „მტრის“ სახით, რომელიც მუდმივად ხდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

ლიტერატურის მიმოხილვა. მაშინ როცა ვნებითი გვარი ბუნდოვნებით ხასიათდება და აგენტს უგულვებელყოფს პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების შესაფუთად, აქტიური გვარი პრიორიტეტული ხდება ანალიტიკურ ტექსტში კონტენტის დინამიურობის შესანარჩუნებლად. როდესაც პასიური კონსტრუქციის გამოყენება ხდება, განცხადება აღიქმება უფრო ობიექტურად ვიდრე ექსპლიციტურად გამოხატული აქტიური გვარის გამოყენების შემთხვევაში [Wankhade et al., 2022]. ვნებითი გვარის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის საშუალებას იძლევა აქცენტი გაკეთდეს ყველაზე მნიშვნელოვან აქტანტზე. გარდა ამისა, პასივები ერთგვარ სტრატეგიად მიიჩნევა ნეიტრალური ტონის შესანარჩუნებლად მეტად დელიკატურ სიტუაციებში. ამასთანავე, ვნებითი გვარი გვეხმარება უფრო ლაკონური აზრის მოწოდებაში აგენტა გადაჭარბებული დასახელების გარეშე აზრობრივი ჯაჭვის დარღვევის გარეშე.

გივონი [Givon 1979] აქტიურ და ვნებით გვართან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მოსაზრებას გვაწვდის. ის აღნიშნავს, რომ „ნეიტრალური, ნაკლებად პრესუპოზიციური, ძირითადი, აქტიური, დეკლარატიული და დადებითი წინადადების ტიპი დისკურსში ყველაზე ხშირად გვხვდება“ [Givon, 1979: 50]. გარდა ამისა, იგი ამტკიცებს, რომ „კონსტრუქცია ითვლება სინტაქსურად უფრო რთულად, თუ ის ნორმით დადგენილ ნეიტრალური შაბლონისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და ამით აშორებს მას ჩვეულებრივი მეტყველების დამუშავების სტრატეგიიდან“ (Givon 1979: 74).

ფერკლოუს [Fairclough, 1992] მტკიცებით, ახალი ამბების გაშუქებისას, ვნებითი გვარის გამოყენება ახდენს პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილე აგენტის იდენტიფიკაციის განზრახ მიჩქმალვას და გაურკვევლობის შექმნას. „მნიშვნელოვან მოვლენებზე მედიის მიერ მომზადებულ ანგარიშებში აგენტობის, მიზეზშედეგობრივი კავშირისა და პასუხისმგებლობის მკაფიო წარმოჩენა ან მათი ბუნდოვნად დატოვება ყოველთვის არსებითი და სადაოა საკითხია“ [Fairclough, 1992: 181].

პასიურ კონსტრუქციებს უპირატესობას ანიჭებენ აკადემიურ მწერლობაში მათი პრაქტიკულობისა და ეფექტურობის გამო განხილულ ობიექტზე ან თემაზე ფოკუსის გადატანისას [Park et al. 2023]. ასევე მიესაღებოდა ვნებითი გვარის გამოყენებას სტრანკი და უაითი [Strunk and White, 2009]. პასიური კონსტრუქციები საშუალებას აძლევს ავტორებს ეფექტურად გაამახვილონ ყურადღება ობიექტზე არგუმენტებში სუბიექტურობის შეზღუდვის ფონზე [Pho, 2008; Sigel, 2009] რადგან, პასიურ კონსტრუქციებში, მოქმედებაზე პასუხისმგებელი აგენტი ხშირად ნაკლებად სპეციფიკურია ან მთლიანად გამოტოვებულია [Meluzzi et al., 2021].

პასიური გვარი არის უპირატესი არჩევანი ბევრ ენობრივ ჟანრში, განსაკუთრებით აკადემიურ მწერლობაში და ახალი ამბების რეპორტაჟებში [Unver, 2017]. ერთ-ერთი სფერო, სადაც საყოველთაოდ გამოიყენება პასიური გვარი, არის მედია იმ გაგებით, რომ პასიური ფორმები გამოიყენება სატელევიზიო გადაცემებში, ახალი ამბების რეპორტაჟებში და სოციალურ მედია ქსელებში. მედიაში ახალი ამბების რეპორტიორი განზრახ აშორებს მოქმედების შემსრულებელს, ცვლის სიტყვათა თანმიმდევრობას, რათა ფაქტები ბუნდოვანი და გაურკვეველი გახდეს [Qassim, 2016].

ამის საპირისპიროდ, ჯორჯ ორუელი თავის ნაშრომში *Politics and the English Language*, აკრიტიკებს პასიურ კონსტრუქციების გამოყენებას, რადგან ხდება შემსრულებლის ბოლო პლანზე გადატანა, ან ნაკლებად გამოკვეთა, რის ფონზეც, ადრესატისთვის გაურკვეველია ვინ შეიძლება იყოს ქმედებაზე პასუხისმგებელი პირი.

მაშასადამე, პასიური ან აქტიური გვარის გამოყენების გადაწყვეტილება დამოკიდებულია მწერლის განზრახვებზე და იმაზე, თუ რაზე სურთ ხაზგასმა კონტექსტში. მართალია ავტორთა უმრავლესობა ამ კონსტრუქციებს რთულად აღსაქმელ წერის სტილად მიიჩნევენ, მაგრამ ვერ ვუარყოფთ მათ ლაკონიურობას, რაც შესაძლებელს ხდის სწრაფად და მარტივად მოხდეს ინფორმაციის მიღება [Paolazzi et al. 2019].

Fowler et al.(1979) აქტიურ და ვნებით გვარის ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სტატიის წარდგენისას ხან ერთ გვარს ირჩევენ ხან მეორეს, უბრალოდ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებებს, რომლებიც სტატიაშია აღწერილი და რა მეთოდებით ხასიათდება სხვადასხვა მონაწილე, რომლებიც აღწერილ პროცესებში ფიგურირებენ. პასიურ გვართან დაკავშირებით ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი:

აქტიური კონსტრუქციის აგენტის ადგილი პასიურ კონსტრუქციებში ოკუპირებულია პაციენტის ობიექტის მიერ [Fowler et al. 1979:31] ამასთანავე ობიექტზე ორიენტირებით იკარგება აგენტი.

მაგალითისთვის მოვიყვანთ დონალდ ტრამპის სიტყვებს „The system being rigged“ 2016 წლის საარჩევნო კამპანიის დროს, როცა ის გაურბის კონკრეტული პირების თუ ინსტიტუციების დასახელებას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გაყალბებაზე. პასიური კონსტრუქცია გამოიყენება როგორც ძალაუფლების დინამიკის მანიპულაციის ინსტრუმენტი, რითაც ტრამპი აძლიერებს მსხვერპლის პოზიციას, ხოლო მეორე შემთხვევა წარმოადგენს ლინგვისტური მანიპულაციის მაგალითს, როცა პასიური ფორმა მოქმედ პირთა პასუხისმგებლობას აბსტრაქტულს ხდის.

2004 წლის აბუ ღრაიბის წამების სკანდალთან დაკავშირებით ჯორჯ ბუშმა თქვა: „It’s also important for the people of Iraq to know that in a democracy, everything is not perfect, that mistakes are made.“ ფრაზით „mistakes are made,“ ბუში თითქოს პასუხისმგებლობას არიდებს კონკრეტულ პირებს, რომლებიც ჩართული იყვნენ დადგენილების მიღებაში, წამების განხორციელებასთან დაკავშირებით და დემოკრატიულ ჩარჩოებში მსგავსი ფაქტის „გამართლებით“ კიდევ უფრო ჩირქს სცხებს საკუთარ იმიჯსაც და მეტ უნდობლობას, სკეპტიციზმს, გაღიზიანებას და ზიზღს იწვევს სამოქალაქო საზოგადოების რიგებში.

ასევე საინტერესოა მაგალიდად მოვიყვანოთ ჰილარი კლინტონის სიტყვები რომელიც პლატფორმა x-ზე დაწერა: „Another unarmed Black man was shot in a police incident. This should be intolerable. We have so much work to do #TerenceCrutcher.“

ვნებით გვარის გამოყენება საზოგადოების მხრიდან უცებ იქცა მწვავე კრიტიკის საგანი, რაც ნამდვილად ნეგატიურად აისახა მისი პრეზიდენტობის კამპანიაზე.

გავიხსენოთ ასევე მიჩ მაკკონელის სიტყვები: „She was warned. She was given an explanation. Nevertheless, she persisted.“ 2017 წელს მან დაგმო ელიზაბეტ უორენის ქმედება, როცა კორეა სკოტ კინგის წერილი წაიკითხა თავისი მოსაზრების დასაფიქსირებლად რატომ ეწინააღმდეგებოდა ჯეფ სეშენსის მიერ გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნას სწორედ მისი რასისტული და დისკრიმინაციული განცხადებებისა და გამოთქმების გამო, რომელიც ზოგადად ზიზლს იწვევს სამოქალაქო საზოგადოებაში. ვნებითი გვარის გამოყენებით აიცილა პასუხისმგებლობა რომ თავად გააფრთხილა უორენი მაგრამ "Nevertheless, she persisted," მოჰყვა დიდი გამოხმაურება ფემინისტების მხრიდან. პასიური კონსტრუქციების ანალიზი აჩვენებს, რომ მათ ხშირი გამოყენება აქვთ ემოციური აპელირებისა რათა მსმენელთან ემოციური კავშირი დამყარდეს. „I'm not supposed to be here tonight. Not supposed to be here“ [დონალდ ტრამპის სიტყვა, 2024] <https://www.npr.org/2024/07/19/g-s1-12143/trump-assassination-attempt-speech-rnc>

მაგალითისთვის მოვიყვან ვიდეორეპორტაჟს, სადაც დონალდ ტრამპი პენსილვანიაში საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას მასზე მომხდარი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე პირველად საუბრობს.

ტრამპის ეს გამოსვლა, რომელიც ბოლოჟამს ყველაზე მგრძნობიარე საპრეზიდენტო დისკურსად ითვლება, პრაგმატიკული თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. მისი თითოეული ქმედება, კორეის მუნდირთან მიახლოების სცენა, წუთიერი დუმილი, უაღრესად დიდი პატივისცემის ნიშნად შესრულებული თითოეული ჟესტი ინტეპირდება ცალკეულ ტექსტებად, რაც მთლიანობაში ქმნის მრავლისმეტყველ სამეტყველო ქმედებას. როცა რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო ნომინანტი, დონალდ ტრამპი, მილუოკიში გამართული რესპუბლიკური ეროვნული კონვენციის მეოთხე დღეს სცენაზე სიტყვით გამოსვლისას ემოციურად ეხუტება მეზანძრე კორი კომპერატორეს უნიფორმას, ეს ჟესტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მის გულწრფელ თანაგრძნობას მისდამი. ეჭვგარეშეა, რომ ზედმეტად გულწრფელია და ღია იმისთვის რომ კორის სიკვდილი მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. დრამატული, გულწრფელი ისტორიის მოყოლით ტრამპი დასაწყისშივე ამყარებს ემოციურ კავშირს აუდიტორიასთან. პრეზიდენტი ამავდროულად უკანა ფონის აღწერილობისთვის რამდენიმე მედიოპასივის ანუ საშუალო გვარის გამოყენებასაც ახდენს. მაგ:

„Music was loudly playing, and the campaign was doing really well.

Behind me and to the right was a large screen that was displaying a chart of border crossings under my leadership.

Bullets were continuing to fly

There was blood pouring everywhere

Bullets were flying over us“ [დონალდ ტრამპის სიტყვა 2024]

<https://www.politico.com/news/2024/07/19/trump-speech-shooting-transcript-00169706>

თხრობის საოცარი სტილით წარმართავს რა მსმენელთა წარმოსახვას, მათში წარმოშობს განცდებს და ქმნის ემოციურ ეფექტს.

„My hand was covered with blood“ [დონალდ ტრამპის სიტყვა 2024].

როდესაც დაზარალებულ სახანძრო სამსახურის უფროსზე იწყებს საუბარს, ამ ნაწილს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „He lost his life selflessly acting as a human shield to protect them from flying bullets. He went right over the top of them and was hit“ [დონალდ ტრამპის სიტყვა 2024] <https://www.politico.com/news/2024/07/19/trump-speech-shooting-transcript-00169706>

თითქოს ვნებითი გვარის was hit გამოყენებით ჩრდილს არ აყენებს მის ღირსებას და ადამიანობას, თავგანწირულობასა და პატრიოტიზმს და ზედმეტად მიიჩნევს მკვლელის ხსენებას რაც კონტექსტიდან უკვე თვალნათლივია. ვნებითი გვარის გამოყენებით ის

არარაობად მიიჩნევს მოქმედების აგენსს(ანუ მკვლელს) და კეთილშობილი ადამიანის ღირსებების მეხოტბედ რჩება. ამაზე მეტყველებს მუნდირზე მოწიწებით შეხებაც.

ასევე აღსანიშნავია იმ პაუზების გამოყენებაც, რომ მსმენელს აძლევს ფიქრის საშუალებას, რათა თემის უფრო ღრმა გააზრებისთვის იპოვოს ფიქრის წერტილი მის ცნობიერებაში.მსგავსი პაუზები ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას.

მაგრამ პოლიტიკოსებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ყველაზე მთავარი მორალური პასუხისმგებლობაა საკუთარი სინდისის წინაშე, რაც გულისხმობს ადამიანის უნარს შეაფასოს საკუთარი ქმედებები, განჭვრიტოს თანმხლები შედეგები და რაც უმთავრესია არ დარჩეს გულგრილი სხვა ადამიანების საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ.

1. „Trump is already catching heat over what many say actually attacks the U.S. Constitution.“ [TheRoot:2025] <https://www.theroot.com/15-of-the-craziest-moments-in-2025-1851750421> ფრაზა "catching heat" იმსახურებს კრიტიკას და უარყოფით დამოკიდებულებას. ვნებითი კონსტრუქციამ შესაძლოა გამოიწვიოს უმწეობისა და მსხვერპლად აღქმის შეგრძნება. ახდენს მოვლენის უფრო ტრაგიკულად აღქმას და უსამართლოების შეგრძნებას, რაც იწვევს თანაგრძნობას და იწვევს რეაქციას საზოგადოებაში დაგმოს მომხდარი.
2. „It goes directly against the 14th Amendment, which explicitly protects birthright citizenship.“ [The Root: 2025] <https://www.theroot.com/15-of-the-craziest-moments-in-2025-1851750421> ეს შემთხვევა ჭეშმარიტი ვნებითი კონსტრუქციის მაგალითს არ წარმოადგენს, გადმოცემს იმ აზრს რომ უპატივცემულობას იჩენენ და არღვევენ კონსტიტუციას რაც ასევე ნეგატიურად აღიქმება საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან.
3. „Thousands of undocumented immigrants — many without any criminal history — have already been detained and deported.“[The Root: 2025] <https://www.theroot.com/15-of-the-craziest-moments-in-2025-1851750421> პასიური კონსტრუქციით ხდება ფაქტის გაქდერება, რომელიც განხორციელდა მიუკერძოებლად და არ გამოხატავს რაიმე სახის ემპათიას ან მზრუნველობას დაზარალებული პირების მიმართ, რაც განწყობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

პასიური კონსტრუქციები მიაწინებენ ნეგატიურობასა და კონფლიქტზე რაც მოწინააღმდეგეთა რიგებში ყოველთვის უკმაყოფილებასა და ნეგატიურ ემოციებს წარმოშობს. კონსტრუქცია არ ამხელს დაკავებებისა და დეპორტაციის ინიციატორს (როგორცაა მთავრობა ან კონკრეტული უწყებები), რამაც შეიძლება მოქმედება უფრო მიუკერძოებელი გახადოს რაც აშორებს პასუხისმგებლობას საკამათო შემსრულებლებს და აქცენტი გადადის თავად მოქმედებაზე.

ორუელი აღნიშნავს, რომ პასიური კონსტრუქციები ხშირად გამოიყენებენ პოლიტიკურ დისკურსში პასუხისმგებლობის დაბლოკვის და ანგარიშვალდებულების არიდების მიზნით [Orwell 1946]. მაგალითად, Mistakes were made in the execution of the plan“ ნამდვილად არ გულისხმობს პოლიტიკოსის ან ბიუროკრატის მიერ ჩადენილ უხეშ დარღვევას და შეცდომას. ეს არის ფარულად, ახსნა-გამნმარტებების გარეშე შემოპარებული სიმართლე, არცთუ ისე სასიამოვნო რეალობის დამალვა პასუხისმგებლობის არიდების მიზნით.

ვან დეიკის მტკიცებით პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რას ვამბობთ, არამედ როგორ გადმოვცემთ და რა მიზანს ემსახურება ესა თუ ის შეტყობინება. პოლიტიკოსების განცხადებები ხშირად არ ემსახურებიან მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ ემსახურებიან საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, სოციოპოლიტიკური ცვლილებების ინიცირებას და საკუთარი პოლიტიკური პროპაგანდის გაძლიერებას.

ვან დეიკის აზრით, ეს პროცესი უფრო რთული და მრავალგანზომილებიანია, ვიდრე უბრალოდ სიტყვების მართვა, რადგან პოლიტიკურ ენის უკან ყოველთვის იმყოფება კონკრეტული ინტერესები, ძალაუფლების მოპოვების ან შენარჩუნების სურვილი, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მის ფორმაზე და შინაარსზე [Van Dijk, 2002:280].

„In Ukraine, Russia has already been politically defeated and militarily defeated in so many aspects: destroyed is the myth of military invincibility, lost the sense of strategic superiority, lost the ability to divide

Europeans and play on their divisions“ [სალომე ზურაბიშვილი სიტყვა ევროპარლამენტში 18.12.2024]

<https://video.search.yahoo.com/search/video?fr=mcafee&p=salome+zurabishvili+speech+euro+assembly&type=E210US91215G0#id=2&vid=873a92b61c0600b365a9e28144f3d90a&action=click>

პასიური კონსტრუქცია აქ ხაზს უსვამს მოქმედებას (defeat) და მის შედეგს Russia been defeated), და აქცენტი არ კეთდება თუ ვინ ახორციელებს მოქმედებას. პასიური ფორმის გამოყენებით ხდება პასუხისმგებელი აგენტების დაფარვა (იქნება ეს უკრაინული ძალები, დასავლეთი თუ სხვა ფაქტორები) და პირდაპირ ფოკუსირება ხდება იმაზე, რომ რუსეთი მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის. პასიური გვარის გამოყენება ეფექტურად უსვამს ხაზს რუსეთის პოზიციის მდგომარეობას ამ კონტექსტში.

უაგენტო პასიური კონსტრუქცია ხსნის კონკრეტული აქტორების იდენტიფიცირების აუცილებლობას. განცხადება უფრო ზოგადი და მიუკერძოებელია, რაც ხელს უწყობს სიტუაციის არა ლოკალიზებულ და პოლიტიზებულ არამედ უფრო ფართო ისტორიულ ან გლობალურ ფენომენად წარმოჩენას. ამ მიდგომამ შეიძლება არგუმენტი უფრო ობიექტური გამოაჩინოს, რადგან პოლიტიკოსის მიერ არ ხდება უხეშად და პირდაპირ თითის გაშვება დამნაშავე პირისკენ.

ამასთანავე, სამხედრო ან პოლიტიკურ დისკუსიებში, პასიური გვარის გამოყენებამ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს ხსენებული ქვეყნის (ან ძალების) ქმედითუნარიანობა. აქ რუსეთი პასიურად არის წარმოჩენილი როგორც სისტემური დარტყმების ქვეშა მყოფი ქვეყანა, რომელიც უფრო და უფრო უძლურდება.

გამოყენებული ფრაზები, როგორც „the myth of military invincibility“ „lost the sense of strategic superiority“ უფრო ბუნდოვან ტონს ქმნის, რომელიც შესაძლოა ირონიისა და ზიზლის ემოციას ქმნიდეს რუსეთის მიმართ. თუმცა ის რაც იმპლიციტურად მოდის ემოციურ ფონად, ვერ მოეძებნება ახსნა კონკრეტულ წყაროზე დაფუძნებით და რაც ამ ზიზლს იწვევს არ არის პირდაპირ მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ნათლად გადმოცემული ვისგან მოდის ეს ზიზლი-უკრაინიდან, დასავლეთიდან თუ გლობალური სამყაროდან, მთავარი მესიჯი გაჟღერებულია მიუკერძოებლად რაც იმსახურებს ძლიერ კრიტიკას და მასშტაბურ წინააღმდეგობას ძალაუფლებისთვის მებრძოლი ქვეყნის მიმართ.

ზიზლისა და სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ნაშრომი აქვს მიშელ მესონს [Mason, 2003] „Contempt as a Moral Attitude“. ზიზლი წარმოიშვება როცა პიროვნების ნამოქმედარი სცდება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ სტანდარტებს. ეს რეაქცია არ არის მხოლოდ ბრალდება, არამედ ემოციური პასუხია არაეთიკურ და უსამართლო ქცევებზე. სტროუზონი აღნიშნავს, რომ ზიზლი რომელიც უგულვლყოფილია მორალური თვალსაზრისით, შეილება იყოს დასაბუთებული, როდესაც სათანადოდ არის მიმართული და რეაგირებს იმ ქცევებზე, რომლებიც ადამიანის ღირებულებებისთვის საზიანოა და არ დაიშვება ნორმატიულ ჩარჩოებში [Strawson, 1963].

მესონი, თავის მხრივ, გამოყოფს რეაქტიურ დამოკიდებულებებს, რომლებიც მორალური რეაქციებია სხვისი ნების ხარისხზე. რეაქტიური დამოკიდებულებები, როგორიცაა სიძულვილი, განპირობებულია ადამიანის მოლოდინით რომ სხვები უფრო მეტ პატივისცემას გამოავლენენ. სტროუზონი განასხვავებს პირად რეაქტიურ დამოკიდებულებებს, რომლებიც გამოიხატება სხვების ქმედებების მიმართ, და თვითრეაქტიურ დამოკიდებულებებს-საკუთარი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიმართ [Mason, 2003].

„In June 2019 after a member of the Russian Duma was allowed to sit in the Georgian Parliament, violating our law on occupation and raising questions as to the pro-European orientation of those who invited him“ [სალომე ზურაბიშვილი სიტყვა ევროპარლამენტში 18.12.2024]

პასიური კონსტრუქცია ("was allowed") აქცენტირებას ახდენს არაპირზე ან პირებზე, რომლებმაც დუმის წევრს პარლამენტის თავმჯდომარის ადგილის დაკავების ნება დართეს, არამედ გადმოსცემს აღმაშფოთებელ ფაქტს, რომელიც წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების

დაუსაბუთებელ და პრობლემურ ბუნებას. პასიური კონსტრუქციით გამოხატული კრიტიკა ქმნის ეჭვს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, ზიზლს ქვეყნის მტრული დამოკიდებულების მიმართ, წინააღმდეგობის საფუძველს ყოფილი თანაგუნდელების მიმართ.

მაგრამ, ადამიანის მორალური არჩევანი, ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ ყოველთვის არ არის მუდმივი ღირებულება; ზოგჯერ იქმნება ისეთი ვითარება, როცა სუბიექტს შეუძლია მიიღოს რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება, თუნდაც საჯაროდ განცხადებული პირობის შესრულების მიზნით. ეს კი განპირობებულია მისი მორალური ღირებულებებითა და გამოცდილებით, მორალური არჩევანის წინაშე ყოფნა ერთგვარი პასუხისმგებლობაა, რომელიც ადამიანს ეკისრება მძიმე გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც თავის მხრივ წარმოშობს დაპირისპირებულ რიგებში რეაქტიულ აგრესიასა და ზიზლს. მაგალითად, ტრამპის მიერ ზელენსკის მისამართით გაუღერებული რიტორიკა, როცა მას მოიხსენიებს დიქტატორად „dictator without elections“, ერთგვარ სტრატეგიას წარმოადგენს, რომელიც ზიზლის გრძნობას იწვევს მასშტაბური სამყაროს მხრიდან, ყველაზე დიდი კრიტიკოსები მაინც რესპუბლიკელები არიან, თუმცა ამ ორმაგი თამაშით ვაშინგტონი კრემლის გულისწყრომას ერიდება და შერბილებული პოლიტიკით დათქმული პირობის შესასრულებლად ზიზლით გაჯერებულ პოლიტიკას იყენებს.

მორალური დამოკიდებულებები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ქცევებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა ადამიანების კეთილგანწყობაზე. სწორედ ამ გაგებით, ზიზლი და სიძულვილი როგორც მორალური რეაქციები ხშირად ემყარებიან იმ მოლოდინებსა და მოთხოვნებს, რომლებიც მორალურ საზოგადოებაში არსებობენ [Mason, 2003].

დასკვნა: სიძულვილისა და ზიზლის ენა ემოციური მანიპულაციის ძლიერი ინსტრუმენტია პოლიტიკურ რიტორიკაში. პოლიტიკოსები მიზანმიმართულად მიმართავენ სიძულვილისა და ზიზლის ენას, რათა გაამწვავონ ემოციური რეაქციები და მოახდინონ საზოგადოების პოლარიზება.

- **პასიური კონსტრუქციები** გამოიყენება პასუხისმგებლობის არიდებისა და ნეიტრალური ტონის შესანარჩუნებლად. რიტორიკაში პასიური და აქტიური კონსტრუქციების გამოყენება დამოკიდებულია ავტორის მიზნებზე.
- **აქტიური კონსტრუქციები** ხაზს უსვამენ პირდაპირობას და სიცხადეს, რაც პოლიტიკურ გამოსვლებში ხშირად გამოიყენება ოპონენტების დასაკნინებლად ან პირადი ღირსების გასამყარებლად.
- **მედიისა და პოლიტიკური დისკურსის სტრატეგიები** გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ რეაქციებზე. კვლევა აჩვენებს, რომ პასიური კონსტრუქციები ხშირად გამოიყენება მედიაში, რათა ბუნდოვანი დატოვოს პასუხისმგებლობა, თუმცა ზოგჯერ ისინი ემოციური გავლენის გასაძლიერებლადაც გვხვდება.
- **ენის სტრატეგიული გამოყენება** შესაძლებელია როგორც აგრესიის დასამალად, ისე ემოციური გავლენის გასაძლიერებლად. ბუნდოვანმა ფორმულირებამ შეიძლება შექმნას სივრცე ინტერპრეტაციებისთვის, რაც ხშირად იწვევს სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან აგრესიულ რეაქციებს. ამ თვალსაზრისით, ენას არა მხოლოდ კომუნიკაციური, არამედ სტრატეგიული და იდეოლოგიური ფუნქციაც აქვს. **ვნებითი გვარის სტრატეგიული გამოყენება ზოგჯერ საზოგადოებრივ რეაქციას აღძრავს ისე, რომ პირდაპირი აგრესიის ავტორი ბუნდოვანი რჩება.**

ლიტერატურა:

1. Fairclough, N. (1989): Language and Power. London: Longman. 43-68
2. Fairclough, N. (1992): Discourse and social change. Cambridge: Polity Press.
3. Fowler, R., Hodge, B., Kress, G., and Trew, T. (1979): Language and Control. London: Routledge and Kegan Paul.

4. Givon, T. (1979): On Understanding Grammar. New York: Academic Press.
5. Park, M., Leahey, E., & Funk, R. J. (2023): Papers and patents are becoming less disruptive over time. *Nature*, 613(7942), 138-144.
6. Paolazzi, C. L., Grillo, N., Alexiadou, A., & Santi, A. (2019): Passives are not hard to interpret but hard to remember: evidence from online and offline studies. *Language, Cognition and Neuroscience*, 34(8), 991-1015.
7. Pho, P. D. (2008): Research article in applied linguistics and educational technology: A study of linguistic realizations of rhetorical structure and authorial stance. *Discourse Studies*, 10(2), 231-250.
8. Mason M., 2003. "Contempt as a Moral Attitude" *Ethics*, Vol. 113, No. 2 (January 2003), pp. 234-272 The University of Chicago Press. <https://www.jstor.org/stable/10.1086/342860>
9. Meluzzi, C., Pinelli, E., Valvason, E., & Zanchi, C. (2021): Responsibility attribution in gender-based domestic violence: A study bridging corpus-assisted discourse analysis and readers' perception. *Journal of pragmatics*, 185, 73-92.
10. Orwell, G., (1946): Politics and the English language. *Horizon*, number 76 (April 1946), 252–264.
11. Qassim, S. (2016). The Use of Active and Passive Voice in the News Language. *AL-USTATH*. 1(18), 157-172.
12. Sigel, T., (2009), "How passive voice weakens your scholarly argument", *Journal of Management Development*, Vol. 28 No. 5, pp. 478-480. <https://doi.org/10.1108/02621710910955994>
13. Strawson, P. F., (1963): "Freedom and Resentment". In Unknown, *Proceedings of the British Academy*, Volume 48: 1962, pp. 1-25: Oxford University Press (1963) reprint
14. Strunk, W., Jr., & White, E. B. (2009): The elements of style (Fiftieth Anniversary Edition). Pearson Longman.
15. Unver, M., (2017): "ON VOICE IN ENGLISH: AN AWARENESS RAISING ATTEMPT ON PASSIVE VOICE" *Electronic Journal of Foreign Language Teaching* 2(3) (ISSN 2537-1754) Vol.2No 3, pp 17-28
16. Van Dijk, (2002): Political discourse and political cognition DOI:10.1075/dapsac.4.11dij Politics as Text and Talk (pp.203-237)
17. Wankhade, M., Rao, A. C. S., & Kulkarni, C. (2022): A survey on sentiment analysis methods, applications, and challenges. *Artificial Intelligence Review*, 55(7), 5731-5780.
18. დონალდ ტრამპის მიმართვა. მილუოკიში გამართული რესპუბლიკური ეროვნული კონვენციის მეოთხე დღეს სცენაზე წარმოთქმული სიტყვა. 19 ივლისი, 2024. მოძიებულია 17.02.2025
19. ელრესურსი. <https://www.npr.org/2024/07/19/g-s1-12143/trump-assassination-attempt-speech-rnc>
20. <https://www.politico.com/news/2024/07/19/trump-speech-shooting-transcript-00169706>
21. გაზეთ „რუთის“ (The Root) ინტერნეტ-პორტალი. ახალი ამბები. 2 თებერვალი, 2025 მოძიებულია 25.02.2025 ელრესურსი. <https://www.theroot.com/15-of-the-craziest-moments-in-2025-1851750421>
22. სალომე ზურაბიშვილი სიტყვა ევროპარლამენტში 18.12 .2024
23. ელრესურსი. <https://video.search.yahoo.com/search/video?fr=mcafee&p=salome+zurabishvili+speech+euro+assembly&type=E210US91215G0#id=2&vid=873a92b61c0600b365a9e28144f3d90a&action=click>

Nino Chubinidze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

e-mail: nino.chubinide@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.09>**SJIF 2024: 8.268**

The Role of Passive Constructions in Manipulative Political Rhetoric

Abstract

This paper examines the role of passive constructions in manipulative political rhetoric aimed at eliciting emotional responses. Politicians frequently employ the language of hatred and resentment to deepen societal polarization, portraying opposition forces as dangerous enemies while framing their own policies as ethically and morally superior.

Politicians driven by a thirst for power use passive voice for various purposes: at times to convey indignation toward injustice, and at others to enhance their own image through empathy and emotional appeal. However, the frequent use of passive constructions can create ambiguous and obscure rhetoric, leading to negative public reactions and potentially harming the politician's image. The study highlights the linguistic impact of passive voice in political discourse, specifically its role in obscuring agency, evading political responsibility, and shaping public perception. The rhetorical analysis of figures such as Donald Trump, Hillary Clinton, and George Bush, etc. demonstrates how this linguistic tool facilitates responsibility avoidance and strengthens emotional appeal.

Although passive constructions are often used in academic writing and media to maintain neutrality, George Orwell (1946) advocates for active voice to ensure clarity and specificity. Consequently, the choice between active and passive voice in political discourse is crucial. Active voice explicitly distributes responsibility, while passive constructions, in certain contexts, serve as instruments of political manipulation. While media frequently employs passive constructions for objective reporting, in practice, this rhetorical strategy is often used to shape public opinion, suppress agency, and manipulate narratives.

Keywords: Passive verb constructions, political disco

რეცენზენტი: პროფესორი ირინა გომხეთელიანი

ენათმეცნიერება Linguistic

კილოს, დროისა და მოდალობის მიმართებისთვის იტალიურ ენაში

მაია ჯავახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

e-mail: maia.java@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.10>

SJIF 2025: 8.584

კილო მორფოლოგიური კატეგორიაა, იტალიურ ენაში ტრადიციულად გამოიყოფა თხრობითი, კავშირებითი, პირობითი და ბრძანებითი კილო. სწორედ კავშირებითი კილოა მოდალობის ერთ-ერთი ძირითადი, მორფოლოგიური, გამომხატველი, მაგრამ მოდალობა, როგორც სემანტიკური კატეგორია, ბევრად უფრო ფართოა და გულისხმობს „პროპოზიციის სტატუსს“, მოლაპარაკის დამოკიდებულებას თავისი ნათქვამისა და თავად წარმოთქმის აქტის მიმართ. ვინაიდან კავშირებითი კილოა ის კილოური ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად უკავშირდება მოდალობას, დეტალურად განვიხილეთ კავშირებითი კილოს რაობა, მისი მახასიათებლები და ის პირობები, როდესაც კონსტრუქციაში, ძირითადად დამოკიდებულ წინადადებაში, ხდება მისი გამოყენება.

მოდალური მნიშვნელობის წინ წამოწევის შემთხვევები იტალიურ ენაში დასტურდება როგორც წარსულში, ისე მომავალში; მომავალი არ არის სრულად ცნობილი, ის აუცილებლად მოიცავს წინასწარი პროგნოზის, ვარაუდის ან რაიმე მსგავს ელემენტს, შესაბამისად, ხშირია მომავლის გამოყენება რაიმე ტემპორალური მნიშვნელობის გარეშე, ე.წ. ვარაუდის, შესაძლებლობის – ეპისტემური მნიშვნელობით. მაგალითად, მომავალ დროში მდგარი ზმნა, ამ წინადადებაში იღებს ვარაუდის მნიშვნელობას:

Hanno bussato alla porta, sarà Marco – კარზე დააკაკუნეს, მარკო იქნება.

მოდალური მნიშვნელობის წინ წამოწევა დასტურდება ასევე წარსულის იმპერფექტულ დროში და, შესაბამისად, გამოიყოფა:

კონატიური იმპერფექტი (imperfetto conativo)

ზმნის ეს დრო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დარჩა ჩანაფიქრის, სურვილის, განხორციელების რისკის დონეზე:

Per poco, sabato, non avevo un conflitto con quelli del terzo.

მათთან, მესამედან, შაბათს საქმე თითქმის კონფლიქტამდე მივიდა.

თავაზიანობის იმპერფექტი (imperfetto di modestia, attenuativo)

Desiderava?

რას ინებებთ?

ირეალური იმპერფექტული დრო (irreale)

იმპერფექტული დროის საშუალებით ამგვარ წინადადებებში თითქმის ყოველთვის გადმოცემულია არარეალიზებული ვარაუდი (irrealità del passato):

Se lo sapevo, non venivo. ეს რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი.

პერსპექტივის იმპერფექტული დრო (imperfetto prospettivo)

გამოიყენება წარსულისთვის მომავლის მნიშვნელობით

L'ospite giunse nel pomeriggio del 15 giugno. Ripartiva due giorni dopo.

სტუმარი 15 ივნისს, დღისით მოვიდა. ორი დღის შემდეგ მიდიოდა.

იგივე შეიძლება ითქვას პლუსკვამპერფექტსაც (trapassato prossimo), რომელიც მოდალურ მნიშვნელობას იძენს, როდესაც სასაუბრო მეტყველებაში წარმოდგენილია ჰიპოთეზური კონსტრუქციის - პირობითი წინადადების შედეგობით ნაწილში შედგენილი პირობითის ფორმის ნაცვლად:

Se non mi fossi ammalato a quest'ora avevo già terminato gli esami – ავად რომ არ გავმხდარიყავი, გამოცდებს დავამთავრებდი.

სხვა შემთხვევაში კი აქვს „შემარბილებელი“ მნიშვნელობა:

Buongiorno, ero venuto per chiederle una cortesia – გამარჯობა, მოვედი, რომ რაღაც გთხოვოთ.

საკვანძო სიტყვები: მოდალობა, კილო, დრო, იტალიური ენა, სასაუბრო მეტყველება

იტალიური ენა რომანული ენაა. ზმნა იტალიურში წარმოდგენილია სინთეზური და ანალიზური ფორმებით. დრო, ასპექტი და კილო გამოხატულია ორივე აღნიშნული ფორმით. არსებობს ორი ძირითადი ანალიზური ფორმა: შედგენილი პერფექტული (avere – „ქონა“/ „ყოლა“ და essere „ყოფნა“ + ზმნის ნამყო დროის მიმღეობა) და გრძლივი (stare „ყოფნა“ + ზმნის გერუნდივი), ორივეს სპეციფიკური ასპექტუალური მნიშვნელობა აქვს; შედგენილი პერფექტი გამოხატავს პერფექტულ მნიშვნელობას ათვლის დროსთან მიმართებაში (reference time); თუ ათვლის დრო დაემთხვევა საუბრის დროს, მაშინ გვაქვს პერფექტული აწმყო (present perfect: ha lavorato), თუ ათვლის დრო განლაგებული წარსულში, გვაქვს პლუსკვამპერფექტი (pluperfect: aveva cantato, ebbe cantato) და თუ განლაგებული მომავალში, მაშინ გვაქვს პერფექტული მომავალი (future perfect: avrà cantato). გრძლივი ფორმები გამოხატავენ გრძლიობით მნიშვნელობას და არ არიან შეზღუდულნი ტემპორალური თვალსაზრისით, ისინი წარმოდგენილნი არიან წარსულში, ახლანდელში და მომავალში. (6; 238) მარტივ წარსულს (cantò) აქვს ასპექტუალური და ტემპორალური ფუნქცია, ასპექტუალურად ის პერფექტულია და ასევე თავისი არსით – წარსული; იმპერფექტს (cantava), პირობითსა (canterebbe) და მომავალს (canterà) აქვთ არა მხოლოდ ასპექტუალური და ტემპორალური ფუნქცია, არამედ მოდალური.

ზოგადად კილო ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა ისევე, როგორც პირის, რიცხვის, ასპექტის, დროისა და გვარის კატეგორიები. რაც შეეხება მოდალობას, ის სემანტიკური კატეგორიაა. კილოს კატეგორია გამოხატავს ისეთ მოდალობას, როგორიცაა ბრძანება (orders), სურვილი (wishes), (არა-)სინამდვილე ((non-)factivity), (არა-)რეალობა ((non-)reality) და მოწონება (like) (Thieroff R., 2010;3).

თუ დრო გამოხატავს მოვლენის (ზმნით გამოხატული ნებისმიერი მოქმედებისა თუ მდგონარობის) დროს, ასპექტი უკავშირდება მოვლენის ბუნებას, კილო გამოხატავს მოვლენის აღმწერი მსჯელობის სტატუსს (Palmer F.R., 2001;1)

როგორც პალმერი აღნიშნავს, შედარებით ადვილია ზმნის ისეთი კატეგორიების კვლევა, როგორიცაა დრო და რიცხვი, ვინაიდან ისინი ნათლად არიან წარმოდგენილნი განსხვავებული ფორმებით (like/liked; cat/cats). მოდალობა კი სემანტიკური კატეგორიაა, რომლის განმარტებაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ის გამოხატულია სხვადასხვა ფორმალური საშუალებებით, როგორიცაა მოდალური ზმნები, კავშირებითი კილო, ნაწილაკები (Palmer F.R., 2013:2). დროისა და ასპექტისაგან განსხვავებით, მოდალობა პირდაპირ არ ეხება მოქმედების რაიმე მახასიათებელს; ის არის პროპოზიციის სტატუსი. გამოიყოფა მოდალობის ორი ძირითადი ტიპი – ეპისტემური და დეონტური მოდალობა. ეპისტემური მოდალობა გამოხატავს ვარაუდს, რომლის პერიფრაზი ასეთი იქნება: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია“, „შესაძლებელია რომ...“ „შესაძლებელია, რომ მოცემული ინფორმაცია სიმართლე იყოს“. დეონტური მოდალობა კი გამოხატავს ნებართვასა და ვალდებულებას.

ეპისტემური მოდალობის საილუსტრაციოდ იტალიური ენიდან მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს:

Forse sarà stato anche complicato per loro avvicinarsi a me, chissà.

ვინ იცის, იქნებ მათთვის ძალიან ძნელი იყო ჩემთან მოახლოება!

Questa cosa deve essergli costata molto stress.

ეს ამბავი მას დიდ ნერვიულობად უნდა დაჯდომოდა!

(ვინ იცის, იქნებ დიდ ნერვიულობად დაუჯდა!)

Scusi, un oggetto luminoso nel cielo, lo dovrebbe vedere un' intera città.

უკაცრავად, მანათობელი საგანი ცაში მთელ ქალაქს უნდა დაენახა!

L' ipotesi può sembrare paradossale perché proprio D'Alema è considerato un avversario del prodismo.

ეს ჰიპოთეზა პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, სწორედ დაღემა იყო მიჩნეული პროდის პოზიციის მოწინააღმდეგედ.

დეონტური მოდალობის მაგალითებია:

Bisogna fermarli prima che diventino assassini.

მათი შეჩერება მანამდეა საჭირო, სანამ მკვლელებად ქცეულან.

Anche loro hanno il dovere di mettere fine a questo silenzio.

ეს სიჩუმე მათაც უნდა დასრულონ.

Gli studenti possono sostenere gli esami negli appelli straordinari di novembre e marzo.

სტუდენტებს შეუძლიათ გამოცდის ჩაბარება ნოემბრისა და მარტის სპეციალურ სესიაზე.

Fabio, tu devi stare zitto!

ფაბიო, შენ ჩუმად უნდა იყო!

Da questo momento in poi, puoi parlare quando vuoi!

ამ წუთიდან უკვე შეგიძლია, როდესაც გინდა მაშინ ილაპარაკო! (Pietrandrea P., 2005: 7–

10)

იტალიურში მოდალური ზმნების ჯგუფი, რომელიც გავრცელებული შეხედულების მიხედვით მოიცავს *dovere* (ვალდებულება), *potere* (შესაძლებლობა) *volere*–ს (სურვილი), არ ხასიათდება მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით. მათ არ გააჩნიათ სხვა

ზმნებისაგან (არამოდალური) განმასხვავებელი რაიმე მორფოლოგიური ან სინტაქსური ნიშნები.

დროის კატეგორიის მსგავსად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ბევრი სხვადასხვა ლექსიკური ელემენტით (ზმნიზებით, წინდებულებით, ფრაზებით, ზმნებით, წინადადებებით), კილოც შეიძლება გამოიხატოს სხვა ენობრივი საშუალებებით, მაგალითად, მოდალური სიტყვებით ან სხვა ლექსიკური ელემენტებით; კილოს შემთხვევაში წინადადების დონეზე გვაქვს დაპირისპირება არა-მოდალური – მოდალური ან თხრობითი (declarative) – არა-თხრობითი (non-declarative), ცნების დონეზე კი ფაქტუალური (factual) არა-ფაქტუალური (non-factual), რეალური (real) – არარეალური (unreal). ყველაზე შესაფერის ტერმინებად კილოს ტიპოლოგიურ კვლევებში მიიჩნევა (realis) რეალური (irrealis) ირეალური; „რეალური წარმოდგენს სიტუაციას როგორც განხორციელებულს, მომხდარს ან ისეთს, რომელიც ხდება და რომელიც ცნობილია პირდაპირი პერცეფციის გზით. ირეალური წარმოდგენს სიტუაციას როგორც აზროვნების სფეროს ნაწილს, რომელიც წარმოსახვის საშუალებით გვეძლევა“ (Mithun M., 1999:173, პალმერის მიხედვით, Palmer F.R., 2001:6).

რეალური/ირეალურის განსხვავების მიზნით ბევრ ევროპულ ენაში გამოიყენება ტრადიციული ტერმინი „თხრობითი“ და „კავშირებითი“.

მორეტი-ორვიეტოს განმარტებით, კილო გამოხატავს „კომუნიკაციის ტიპს, რომელსაც მოსაუბრე ამყარებს თავის მსმენელთან“ ან „დამოკიდებულებას, რომელსაც მოსაუბრე იღებს თავისი ნათქვამის მიმართ“ (Moretti G.B., Orvieto G.R., 1983:8). იტალიურ ენაში კილო წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) თხრობითი კილო, რომელიც წარმოგვიდგენს რეალურ ფაქტს: *I ragazzi studiano – ახალგაზრდები სწავლობენ*.

ბ) კავშირებითი კილო – რომელიც გამოხატავს რეალობიდან ან რაიმე ფაქტის ობიექტურად წარმოდგენისაგან გარკვეულად დაშორებას; აღნიშნული კილო წარმოადგენს მოქმედებასა თუ პროცესს როგორც სასურველს (desiderato), შიშის გამომწვევს (temuto), ნების (voluto), სავარაუდოს (supposto), მაგალითად, *se mi desi retta! – ჩემთვის რომ მოგესმინა!*

ც) პირობითი კილო გულისხმობს რაიმე პირობის არსებობას, რომელიც, ძირითადად, დამოკიდებულია სუბიექტის სურვილზე და რომელიც შეიძლება იყოს რეალური ან ვირტუალური: *mi piacerebbe fermarmi qui – მომეწონებოდა აქ დარჩენა*.

დ) ბრძანებითი კილო – გამოხატავს ზემოქმედებას მოსაუბრეზე ბრძანებით, მოწოდებით, თხოვნით (*Fermati! – შეჩერდი! Ascoltatemi – მისმინე!*).

ტერმინი „ზმნის კილო“ იტალიურ გრამატიკაში ტრადიციულად ვრცელდება ზმნის სამ სახელად ნაწილზე, ესენია: ინფინიტივი, მიმდებარე და გერუნდივი. რეალურად ისინი არ გამოხატავენ მოქმედების მოდალობას, მაგრამ კილოურ ღირებულებას იღებენ, როდესაც წარმოდგებიან ზმნური ფორმით (Grevisse M. G., 1980:424), მაგალითად, ერთსა და იმავე კონსტრუქციას შეიძლება სხვადასხვა კილოური მნიშვნელობა ჰქონდეს:

restaurata (se fosse restaurata), la casa potrebbe vendersi bene – იმ შემთხვევაში, თუ სახლი გარემონტდება – კარგად გაიყიდება. ამ შემთხვევაში კავშირებითი კილოს ხმარება განპირობებულია კონსტრუქციით;

restaurata la casa fu venduta per cento milioni – მას შემდეგ, რაც გარემონტდა, სახლი ას მილიონად გაიყიდა. ამ შემთხვევაში კი თხრობითი კილოა გამოყენებული, ვინაიდან ფაქტი წარმოდგენილია როგორც რეალური.

კავშირებით კილოს იტალიურ ენაში გააჩნია ოთხი დრო: აწმყო, წარსული, წარსული განგრძობითი (imperfetto) და პლუსკვამპერფექტი (trapassato). ის ძირითადად წარმოდგენილია დამოკიდებულ წინადადებებში და მისი დრო (ძირითად შემთხვევებში) განპირობებულია მთავარი წინადადების ზმნის მიერ გამოხატული დროით. კავშირებითი კილოს გამოყენება იტალიურ ენაში განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

1. მთავარი წინადადების პრედიკატის სემანტიკით; კავშირებითი ჩნდება დამოკიდებულ წინადადებაში, როდესაც მთავარი წინადადების პრედიკატი გამოხატავს

a. ნებას: *Voglio che lui venga stasera – მინდა, რომ დღეს მოვიდეს.*

b. დეონტურ აუცილებლობას *È necessario che lui venga – აუცილებელია, რომ დღეს მოვიდეს.*

c. შეაქვს რაიმე ეპისტემური ელფერი: *Credo che lui venga stasera. ვფიქრობ (მგონია), რომ ის მოვა ამ საღამოს.*

d. გადააფასებს პროპოზიციის შინაარსს, წარმოადგენს რა მას როგორც თემას: *Mi dispiace che lui venga stasera. ვწუხვარ, რომ ის ამ საღამოს მოვა.*

კავშირებითი კილო არ არის წარმოდგენილი ძლიერ მტკიცებით პრედიკატთან, როგორცაა sapere – ცოდნა: **So che sia venuto. – ვიცი, რომ მოვიდა.*

თუმცა ის წარმოდგენილია იგივე პრედიკატთან, როდესაც დამოკიდებული წინადადება იცვლის განლაგებას და ის წარმოდგება როგორც თემა:

Che sia venuto lo so. რომ მოვიდა, ვიცი.

გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, კავშირებითი კილო იხმარება უარყოფით და კითხვით კონსტრუქციებში. უარყოფით კონსტრუქციაში მისი გამოყენების მაგალითია:

Non dico che sia partito. არ ვამბობ, რომ მოვიდა.

უარყოფის როლი განმსაზღვრელია, თუ აღნიშნული ზმნა მტკიცებითი ფორმით არის წარმოდგენილი, მაშინ კავშირებითი კილოს გამოყენება შეცდომაა **Dico che sia partito.*

რაც შეეხება კითხვით წინადადებებს, უნდა აღინიშნოს, რომ იტალიურ ენაში კავშირებითი კილო ძირითადად წარმოდგენილია ირიბი თქმაში გადმოცემულ კითხვაში: *Chiedono se sia partito. კითხულობენ, წავიდა თუ არა.*

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კავშირებითის ფორმა გვხვდება პირდაპირი თქმით გადმოცემულ კითხვით წინადადებაში: *Sai se sia partito? – იცი, წავიდა თუ არა?*

ზოგიერთ დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილო ძალიან კარგად გამოხატავს სურვილის (volativo), შესაძლებლობისა (potenziale) და ეჭვის (dubitativo) კომპონენტს, რომელიც ითვლება ზმნის ამ კილოს ძირითად მახასიათებლად.

იტალიურ ენაში ზმნის კონკრეტული მორფოლოგიური ფორმით გამოხატული დროები გარკვეულ კონტექსტში მოდალურ დატვირთვას წამოწევენ წინ, პირველ რიგში განვიხილოთ ნამყო უსრულის (imperfetto)-ს მნიშვნელობები:

აღწერის უსრული დრო (imperfetto descrittivo),

E tuttavia fuggivano i giorni. Ma il loro fuggire, seppure sembrava avesse smesso di trascinarli verso il traguardo peggiore, non cessava di spaventarmi.

დღეები მაინც გარბოდნენ. მათი ასეთი რბოლა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაზე ცუდი ბოლოსკენ აღარ მიმაჯანებდა, მაინც მაშინებდა.

განმეორებადი უსრული დრო (imperfetto iterativo):

In quel periodo Pier Marco si alzava alle cinque.

იმ დროს პიერ მარკო 5 საათზე დგებოდა ხოლმე.

ნარატიული ან ისტორიული უსრული დრო (imperfetto narrativo)

Nel 1887 nasceva a Rio de Janeiro Heitor Villa Lobos.

1887 წელს რიო დე ჟანეიროში დაიბადა ჰეიტორ ვილა ლობოსი.

კონატიური იმპერფექტი (imperfetto conativo)

ზმნის ეს დროს გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დარჩა ჩანაფიქრის, სურვილის, განხორციელების რისკის დონეზე:

Per poco, sabato, non avevo un conflitto con quelli del terzo.

მათთან, მესამედან, შაბათს საქმე თითქმის კონფლიქტამდე მივიდა.

თავაზიანობის იმპერფექტი (imperfetto di modestia, attenuativo)

Desiderava?

რას ინებებდით?

ირეალური იმპერფექტული დრო (irreale)

იმპერფექტული დროის საშუალებით ამგვარ წინადადებებში თითქმის ყოველთვის გადმოცემულია არარეალიზებული ვარაუდი (irrealità del passato):

Se lo sapevo, non venivo. ეს რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი.

პერსპექტივის იმპერფექტული დრო (imperfetto prospettivo), გამოიყენება წარსულისთვის მომავლის მნიშვნელობით:

L'ospite giunse nel pomeriggio del 15 giugno. Ripartiva due giorni dopo.

სტუმარი 15 ივნისს, დღისით მოვიდა. ორი დღის შემდეგ მიდიოდა.

პირველი ორი დრო წარმოადგენს „რეალურ დროს“ და ქართულში გადმოიცემა უწყვეტლის მწკრივით. რაც შეეხება ნარატიული უსრულს, ის „იტალიური“ მოვლენაა და ქართულში ყოველთვის წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა. დანარჩენი ხუთი მნიშვნელობიდან – კონატიური, თავაზიანობისა და ირეალური – მოდალურ მნიშვნელობას იძენენ (Serianni L., (2000); 326)..

მოდალური მნიშვნელობის წინ წამოწევა შეინიშნება ასევე მომავალშიც, როგორც პალმერი აღნიშნავს, მომავალი არ არის სრულად ცნობილი და ის ყოველთვის რაციონალური ვარაუდია (reasonable assumption) იმის შესახებ, რომ მომავალი მოვლენა მოხდება (Palmer F. R 2013;104). შესაბამისად, მომავალი არასოდესაა სუფთად ტემპორალური კონცეპტი, ის აუცილებლად მოიცავს წინასწარი პროგნოზის, ვარაუდის ან რაიმე მსგავს ელემენტს, ამიტომ ხშირია მომავლის გამოყენება რაიმე ტემპორალური მნიშვნელობის გარეშე, ე.წ. ვარაუდის (ეპისტემური) მნიშვნელობით, როდესაც მოქმედება გამოხატულია როგორც ვარაუდი, შესაძებლობა, ჰიპოთეზა, მაგ:

Hanno bussato alla porta, sarà Marco – კარზე დააკაკუნეს, მარკო იქნება.

იტალიურ ენაში მომავლის მნიშვნელობებში დასტურდება:

ბრძანების მომავალი (Futuro iussivo) – როდესაც თხრობითი კილოს მომავალი დრო გამოიყენება, როგორც შერბილებული ფორმა ბრძანებითი კილოს ნაცვლად:

Imparerai questa poesia – ამ ლექსს ზეპირად ისწავლი.

მომავალმა შეიძლება მიიღოს ძალიან კატეგორიული ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა: *Onorerai il padre e la madre – პატივს სცემ მამასა და დედასა შენსა.*

შემარბილებელი მომავალი (Futuro attenuativo) – როდესაც მოსაუბრე განალაგებს მოქმედებას მომავალში, თითქოს ფსიქოლოგიურ დისტანციას ამყარებს საუბრის მომენტსა და მოქმედების რეალიზაციის მომენტს შორის (Bertinetto P.M., 1986:487). ამ ფორმით მოსაუბრე თავის კატეგორიულ ტონს თითქოს არბილებს:

Ma ammetterà ch'io non potevo sapere – მაგრამ აღიარეთ (აღიარებთ) რომ მე ეს არ შეიძლებოდა მცოდნოდა.

Dovrò poi ringraziare anche voi. მერე თქვენც მადლობა უნდა გადაგიხადოთ!

იგივე ეხება პლუსკვამპერფექტსაც (trapassato prossimo), რომელიც გარკვეულ კონტექსტში მოდალურ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ის სასაუბრო მეტყველებაში წარმოდგენილია ჰიპოთეზური კონსტრუქციის – პირობითი წინადადების შედეგობით ნაწილში შედგენილი პირობითის ფორმის ნაცვლად:

Se non mi fossi ammalato a quest'ora avevo già terminato gli esami – ავად რომ არ გავმხდარიყავი, გამოცდებს დავამთავრებდი.

სხვა შემთხვევაში კი აქვს „შემარბილებელი“ მნიშვნელობა:

Buongiorno, ero venuto per chiederle una cortesia – გამარჯობა, მოვედი, რომ რაღაც გთხოვოთ.

ზმნის წარსულსა და მომავლის ფორმებში მოდალური სემანტიკის გააქტიურებას ფლეიშმანი ე.წ. „ტემპორალური დისტანციით“ ხსნის (Fleischman S. 1989:13); დროის ძირითადი ბაზისური ფუნქციაა ქრონოლოგიურად განალაგოს სიტუაცია რეფერენციის წერტილთან მიმართებაში, ანუ დეიქტურ ცენტრთან ახლოს ან მისგან შორს. დროთა ბევრ სისტემაში ის მსჯელობის „ახლას“ შეესაბამება. უზნობის დროისა და ადგილის უშუალო სიახლოვეში (proximate) მომხდარ სიტუაციაზე მოქმელს, ჩვეულებრივ, შეუძლია „თავი დადოს“, ის მას განიცდის როგორც რეალურსა და ნამდვილს. ისეთ სიტუაციაზე კი, რომელიც ხდება „არა-ახლა“ და „არა-აქ“, ანუ რომელიც დაშორებულია გამოთქმის ადგილისა და დროისაგან, მოლაპარაკე „ვერ დადებს თავს“ იგივენაირად, ის მას არ განუცდია როგორც „ახლა“, ამიტომ თავის ნათქვამშიც მას განსხვავებულად წარმოადგენს. შესაბამისად, სრულიად გასაგებია სივრცითი და ტემპორალური სიახლოვიდან უფრო ფართო და აბსტრაქტულ – კონცეპტუალურ და კოგნიტურ სიახლოვეზე – ნამდვილი/რეალური (actuality/reality) გადასვლა და ამის მსგავსად სივრცითი და ტემპორალური დისტანციიდან უფრო აბსტრაქტულ – კონცეპტუალურ და კოგნიტურ დისტანცაზე – არა-ნამდვილი/არა-რეალური (non-actuality/non-reality).

ლიტერატურა

1. Baranzini L. Ricci C. (2015): Semantic and pragmatic values of the Italian imperfetto: Towards a common interpretive procedure, Catalan Journal of Linguistics 14.
2. Bertinetto P.M. (1986): Tempo, aspetto, e azione nel verbo italiano. Il sistema dell' indicativo, Firenze, Accademia della Crusca
3. Comri B. (2000): Tense. Cambridge University Press. United Kingdom
4. Comri B. (2001): Aspect. Cambridge University Press. United Kingdom
5. Fleischman S. (1989): Temporal distance: A basic linguistic metaphor, Studies in Language, 13:1
6. Fleischman S. (2005): Tense and Narrativity From Medieval Performance to Modern Fiction. Taylor & Francis e-Library
7. Grevisse M. G., (1980): Le bon usage, Parigi, Duculot
8. Moretti G.B., Orvieto G.R., (1983): Grammatica italiana, vol. III, Perugia, Benucci

9. Palmer F. R (2013): Modality and the English Modals
10. Palmer F. R (2001): Mood and Modality. Cambridge University Press
11. Pietrandrea P. (2005): Epistemic Modality. Functional Properties and the Italian System, Studies in Language Companion Series. John Benjamins Publishing Company
12. Reichenbach H. (1947): The Tenses of Verbs. Elements of symbolic logic. New York
13. Serianni L. (2000): Grammatica, Sintassi, Dubbi. Garzanti.
14. Squartini M. (2010): Mood in Italian, in Thieroff R., Rothstein B., (2010) Mood in the languages of Europe.
15. Thieroff R. (2010) Moods, Moods, Moods. In Thieroff R., Rothstein B. (2010): Mood in the languages of Europe.

Maia Javakhidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

e-mail: maia.java@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.10>

SJIF 2025: 8.584

The Interrelation of Mood, Tense, and Modality in the Italian Language

Abstract

Mood is a morphological category. In the Italian language, traditionally, the indicative, subjunctive, conditional, and imperative moods are distinguished. It is precisely the subjunctive mood that is one of the main morphological expressions of modality. However, modality, as a semantic category, is much broader and implies the "status of the proposition," the speaker's attitude toward what is said and toward the act of utterance itself. Since the subjunctive is the mood form most closely related to modality, we have examined in detail the nature of the subjunctive mood, its characteristics, and the conditions under which it is used in a construction, primarily in a subordinate clause.

Instances of emphasizing modal meaning in the Italian language are evident both in the past and the future; as the future is not fully known it necessarily includes elements of prediction, assumption, or something similar. Accordingly, the future tense is frequently used without any temporal meaning, in the so-called epistemic sense of assumption or possibility. For example, the verb in the future tense in this sentence acquires a meaning of assumption:

Hanno bussato alla porta, sarà Marco.

Modal meaning is also emphasized in the past imperfect tense, and accordingly, the following types are distinguished:

Conative imperfect (imperfetto conativo)

This verb tense expresses actions that remained at the level of intent, desire, or risk of execution:

Per poco, sabato, non avevo un conflitto con quelli del terzo.

The situation with them from the third group almost turned into a conflict on Saturday.

Polite imperfect (imperfetto di modestia, attenuativo)

Desiderava? What would you like?

Irreal imperfect tense (irreale)

Through the imperfect tense in such sentences, an unrealized assumption (irrealità del passato) is almost always conveyed:

Se lo sapevo, non venivo. If I had known that, I wouldn't have come.

Prospective imperfect tense (imperfetto prospettivo)

Used with a future meaning in the context of the past:

L'ospite giunse nel pomeriggio del 15 giugno. Ripartiva due giorni dopo.

The guest arrived on June 15 in the afternoon. He was leaving two days later.

The same can be said about the pluperfect tense (trapassato prossimo), which acquires modal meaning when, in spoken language, it is used instead of a conditional form in the result clause of a hypothetical construction:

Se non mi fossi ammalato a quest'ora avevo già terminato gli esami.

If I hadn't gotten sick, I would have already finished the exams by now.

In other cases, it carries a “softening” meaning:

Buongiorno, ero venuto per chiederle una cortesia.

Good morning, I came to ask you for a favor.

Key words: Tense, mood, modality, Italian Language, spoken language

რეცენზენტი: პროფესორი ლუდმილა დაცევიჩი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

სიმბოლური სახეები და ნიშნები დისტოპიურ ჟანრში: უილიამ გოლდინგის რომანის „ბუზთა ბატონის“ მიხედვით

თამთა კელენჯერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ელ. ფოსტა: tatia.kelenjeridze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.11>

SJIF 2025: 8.584

უილიამ გოლდინგი რომან „ბუზთა ბატონის“ პერსონაჟების, ფერების და საგნების სიმბოლური დატვირთვის საშუალებით დისტოპიური სამყაროს კიდევ ერთ შემზარავ მაგალითს გვიჩვენებს. ნაწარმოების გმირები მხოლოდ სიმბოლურად არიან ბავშვები. სინამდვილეში ისინი დესტრუქციული საზოგადოების და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებია. თითოეული მათგანი სამყაროში არსებულ ქაოსს, მოჩვენებით ჰარმონიას, სიკეთეს, ბოროტებას და ძალაუფლებისაკენ ლტოვის იდეას განასახიერებს. კუნძულზე არსებული საგნები პერსონაჟების მდგომარეობასა და ცივილიზაციის ნგრევაზე მიგვითითებენ. ხოლო ფერები მთავარ გმირთა შინაგან მდგომარეობას და გარემოს ცვალებადობას უსვავენ ხაზს. თითოეული სიმბოლო მკაფიოდ წარმოაჩენს ნაწარმოების ერთ-ერთ იდეას, რომ როდესაც ქრება ჰუმანურობის და დაუსჯელობის განცდა, ადამიანში არსებული შინაგანი დემონი და ძალაუფლების მოპოვების სურვილი იღვიძრება. შესაბამისად, ნაწარმოები არათუ კუნძულზე ბავშვთა გადარჩენის იდეის მატარებელია, არამედ ღრმა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ელემენტებითაა დატვირთული. რომანი ავლენს ადამიანის ბუნების უკიდურეს ფორმებს და გვაჩვენებს თუ რა ხდება მაშინ, როდესაც იგი სოციალური კონტროლისა და მორალური ჩარჩოებისგან თავისუფლდება. საბოლოოდ გოლდინგის რომანის სიმბოლური მახასიათებლებით გვახსენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ერთმანეთის მიღება, თანადგომა და ჰუმანურობა. რათა შევინარჩუნოთ ადამიანობა და არ დავემსგავსოთ, როგორც ჯოხის თავზე აღმართულ ურჩხულს, ასევე ნაწარმოების უარყოფით გმირებს.

საკვანძო სიტყვები: უილიამ გოლდინგი, რომანი „ბუზთა ბატონი“

უილიამ გოლდინგის რომანის „ბუზთა ბატონის“ ერთ-ერთ თემას სიმბოლიზმი წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ცივილიზაციის მიღმა დარჩენილ ადამიანთა რეალური სახის დანახვა ხდება შესაძლებელი. თითოეული პერსონაჟი, ფერი და საგანი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. ისინი სიკეთეს, ბოროტებას, უმეცრებას ცივილიზაციას განასახიერებენ. ქვემოთ განხილულია თითოეული გმირის და საგნის სიმბოლური მახასიათებლები.

ლუტა - რომანის პირველივე თავში ვეცნობით მოუხერხებელ, პუტკუნა და გონიერ ბიჭს, რომელიც ვიზუალის გამო გარიყული და სხვებისგან განსხვავებულია. ის საღად მოაზროვნე და მზრუნველი პერსონაჟია, რომლის ძალისხმევა ხშირად შეუმჩნეველი რჩება. ლუტა სიმბოლურად განასახიერებს განათლებისა და წესრიგის მნიშვნელობას ცივილიზაციისგან მოშორებულ სამყაროში.

რალფი ცივილიზაციისა და დემოკრატიის სიმბოლოა. მასში ერთადაა თავმოყრილი ბელადობის და სხვების დახმარების სურვილი. ის მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს ადამიანის სახე, რაზეც მიუთითებს რომანის ბოლოს ტყუპებისადმი ნათქვამი სიტყვები, „ჩვენ არ შევიღებებით რადგან ველურები არ ვართ“ [გოლდინგი, 2002:210].

ჯაკი - სიმბოლურად ანარქიასა და დიქტატორიზმთან ასოცირდება. ის სასტიკი და ველურობისკენ მიდრეკილი ბელადია, რომელიც სხვების ჩაგვრითა და ძალაუფლების მოპოვების სურვილითაა შეპყრობილი.

როჯერი წარმოადგენს ერთ-ერთ სასტიკ სიმბოლურ სახეს კუნძულზე მყოფთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ მისი სადიზმით გაღვივებული ქმედებები ნაკლებად ჩანს, მაინც მიიჩნევა, როგორც ველური ბუნებით განმსჭვალული პერსონაჟი. მნიშვნელოვანია როგორ აღწერს სემი როჯერს „შენ როჯერს არ იცნობ. საშინელი ვინმეა“ [გოლდინგი, 2002:210].

საიმონი განასახიერებს სიკეთის, მეგობრობის, სიწმინდის და მორალურად სრულყოფილი ადამიანის სახეს, რომელიც მსხვერპლად ეწირება საღ აზრს მოკლებულ საზოგადოებას. მიუხედავად სიმართლის ჩვენების სურვილისა უკუქცეული, განდევნილი და ვანდალურად განადგურებულია სახე შენიღბული, ველური ბრბოსგან.

მწვანე ფერი გამოხატავს კუნძულს, როგორც რობინზონიესულ ჰარმონიულ და უტოპიურ ადგილს, რომელიც სავსეა ხილით საკვებით და წყლით [დეფო, 2022]. მწვანე სიმბოლურად უკავშირდება კუნძულზე მყოფთა გადარჩენის იმედს, მშვიდობის სურვილს და ბუნების სილამაზეს ისე, როგორც „რობინზონ კრუზოს“ თავგადასავალში.

შავი თავდაპირველად მხოლოდ ცხოველის მოკვლის შიშის და სინდისის ქენჯნით გამოწვეული სიწითლის დასაფარად გამოიყენებოდა. შავი ფერი განასახიერებს სიკვდილს და მონადირეთა სახეებს, რომლის საშუალებითაც მარტივად ახერხებდნენ რეალური სახის, სინდისის ქენჯნის და ბოროტების დამალვას [Lentz, 2024].

ნიჟარა ასოცირდება ერთიანობის, დემოკრატიის, წესრიგისა და ცივილიზაციის შენარჩუნების სიმბოლოსთან. ნიჟარა კუნძულზე დარჩენილ თითოეულ მათგანს სჭირდებოდა და ეხმარებოდათ თავი დაედწიათ არასასურველი ქმედებებისა თუ ძალაუფლების უკანონოდ გამოყენებისაგან [Perdue, 2023].

სათვალე და ცეცხლი - სიმბოლურად წარმოადგენენ გადარჩენის ერთადერთ საშუალებას. სათვალე ასოცირდება გონებრივ უპირატესობასთან. ხოლო ცეცხლი გარესამყაროსთან დაკავშირების იმედთან. მაგალითად ბავშვებს არ შეეძლოთ ცეცხლის სათვალის გარეშე დანთება, ხოლო ცეცხლი და კვამლი ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი შესაძლებლობა იყო.

კუნძული თავდაპირველად სიმბოლირდება რობინზონისეულ სამოთხესთან, სადაც ბავშვები შეექცევიან ტროპიკულ ხილს და დროის უმეტეს ნაწილს თამაშში ატარებენ. მანამ, სანამ ნადირობის, ბელადობის, სხვების მართვის და ძალაუფლების ფლობის სურვილი არ იღვიძებს მათში. ხოლო შემდგომ კუნძული განასახიერებს სისხლიან გადამწვარ და ჯოჯოხეთის მსგავს ადგილს. „კუნძული დამპალ შემასავით დაიწვა“ [გოლდინგი, 2002:213].

ღორის თავი - ურჩხული, „ბელზებელი“. ღორის თავი ადამიანში არსებული შინაგანი დემონია. ეს არაა ხილული არსება. ესაა ბავშვებში ღრმად ფესვგადგმული შიშისა და ბოროტების სიმბოლო, რომელიც შესაფერის დროს და ადგილს ელოდა გასაღვიძებლად. ბელზებელი განასახიერებს უკონტროლოდ და ცივილიზაციის მიღმა დარჩენილი ბავშვებს შიგნით არსებულ ველურ და ქაოტურ ბუნებას [Wu, 2009].

საბოლოოდ, უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი“ საზოგადოებას აჩვენებს, თუ როგორ იქცევა ცივილიზაციის, წესრიგს და კანონებს მიღმა დარჩენილი ადამიანი. გარდა ამისა, ავტორი მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ კულტურული ღირებულებები და შინაგანი ფასეულობები უმეტეს შემთხვევაში მოჩვენებითია. ხოლო ადამიანის ბუნება ბევრად უფრო საზიანო და საშიშია ვიდრე წარმოგვიდგენია. აღსანიშნავია რომ რომანი დღესაც აქტუალურია: რადგან თანამედროვე სამყაროში ძალაუფლების მოპოვების და სხვების ჩაგვრის სურვილი უცვლელად რჩება [გოლდინგი, 2002:210].

ლიტერატურა:

1. გოლდინგი, უ. (2022). *ბუზთა ბატონი*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
2. დეფო, დ. (2022). *რობინზონ კრუზოს თავადასავალი*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
3. Lentz, K. (2024). *E notes*. Retrieved from E notes: <https://www.enotes.com/topics/lord-of-the-flies/questions/the-symbolism-of-colors-in-lord-of-the-flies-3113853>
4. Perdue, N. (2023). *study.com*. Retrieved from study.com: <https://study.com/academy/lesson/the-conch-in-lord-of-the-flies-analysis-quotes.html>
5. Wu, X. L. (2009). On Symbolic Significance of Characters in Lord of the Flies. *English language teaching*.

Tamta Kelenjeridze

Batumi Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

e-mail: tatiakelenjeridze@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.11>

SJIF 2025: 8.584

**„Symbolic characters and signs in the Dystopian Genre” based on William
Golding’s Novel „Lord of the Flies”**

Abstract

William Golding’s novel *Lord of the Flies* uses the symbolic meaning of characters, colors, and objects to provide another terrifying example of a dystopian world. The characters in the novel are only symbolically children; in reality, they represent a destructive society and various social classes. Each of them embodies chaos, illusionary harmony, kindness, cruelty and the lust for power. The objects on the island indicate the psychological state of the characters and the disintegration of civilization. The colors emphasize the internal states of the main characters and reflect the variability of the environment. Each symbol clearly demonstrates one of the key ideas of the novel: that when the sense of humanity and moral accountability disappears, the inner demon within a person and the desire for power awakens. Accordingly, the novel not only conveys the theme of children’s survival on the island, but is also imbued with deep psychological and sociological elements. It reveals the extremes of human nature and shows what happens when it is freed from social control and moral boundaries. Finally, the symbolic aspects of Golding’s novel remind us how important it is to accept one another, show solidarity, and remain humane in order to preserve our humanity and avoid becoming like the beast impaled on a stick or the novel’s antagonistic characters.

Key Words : symbols, dystopia, island, evil, nature, humanity.

რეცენზენტი: პროფესორი მარია გავრილინა

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

ნანა კუპრაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

a-mail: n.kupradze@ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.12>

SJIF 2025: 8.584

ORCID: 0009-0002-0913-3734

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „არწივი“

ნიჟიერი მწერლის ნაწარმოები ხშირად რამდენიმე პრობლემას აერთიანებს. საკითხთა ჯაჭვი ლოგიკურად ებმის ერთმანეთს ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „არწივი“.

თუ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მოტივი მოთხრობის წამყვანი პრობლემაა, მის გვერდით ვხედავთ შეუზღუდავობის, ინდიფერენტუზმის, გულგრილობის თემებს, რომლებიც თან სდევს პიროვნულ თუ სოციალურ გაჭირვებასა და სისუსტეს. ყველაფერი კი ცხოვრების ნამდვილი სურათის წარმოჩენას ემსახურება.

ამჟვეყნად ყოფნის დაუძლეველი გამოწვევა სიბერეა. მასთან ჭიდილი ბედისწერასთან დაპირისპირებასაც გულისხმობს. ყველაზე ძლიერებიც კი მარცხდებიან ცხოვრების კანონზომიერებასთან ბრძოლაში. მოთხრობის მხატვრული კონცეფციის თანახმად, ამ ბრძოლის პირისპირ მდგომი პიროვნება ყოველთვის დამარცხებულია. ეს აქსიომატური დებულება უცვლელად უნდა მიიღო, მაგრამ მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი უფრო შორს მიდის, მთავარია, დამარცხებასაც ღირსეულად შეხვდე, სულიერი წონასწორობა და პიროვნული ბალანსი შეინარჩუნო.

მემკვიდრეობითობის განცდა, წინაპართა გზის დაცვისა და გაგრძელების ვალდებულება, სულიერ მხნეობას, პიროვნულ სიმტკიცეს ანიჭებს გმირს. ეს ერთადერთი ბერკეტია, რომელიც უდიდესი ძალითა და ენერგიით კვებავს მას.

ზოგადად, ვაჟა-ფშაველას გმირების გამოკვეთილი თვისებებია სიძლიერე, შეუპოვრობა, პრინციპულობა, გაუტეხლობა.

ცხოვრებასთან დაპირისპირებისას იწვრთნებიან ვაჟა-ფშაველას გმირები. გაჭირვება და წინააღმდეგობა მათ სირთულეების დაძლევის გზებს ასწავლის. ვინც სწორად გაივლის ამ მიმართულებით, ის გადარჩება.

მოთხრობის მიხედვით, არწივის(პიროვნების) პირისპირ დგას დანარჩენი საზოგადოება, რომლის სახის ჩვენებისას ავტორი აღნიშნავს მის გულგრილობას, გაჭირვებულის მიმართ თანაგრძნობის სურვილის გამოჩენის უქონლობას, ცინიზმს, ვერაგობას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ნიშანდობლივი მხარეა ბუნების გასულიერება, მის ნაწარმოებებში თანაბარი ღირებულებისაა ადამიანი და სხვა დანარჩენი. ეს ერთიანობა,

ჰარმონიური თანაარსებობა ქმნის მყარ საფუძველს ცხოვრების გაკეთილშობილებისა და ჰუმანური იდეალების დამკვიდრებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, მოთხრობა „არწივი“, ბედისწერა

ვაჟა-ფშაველამ უსაზღვროდ მდიდარი შემოქმედებითი ინტერესები გამოავლინა. ეს ეხება როგორც თემატურ, უფრო მეტად კი მხატვრული განსხიერების სფეროს.

მწერალმა მთელი სიღრმით დაგვანახა ადამიანური განცდების უაღრესად ფაქიზი შრეები, როდესაც ბუნების შვილებს ადამიანის ტოლფასი მნიშვნელობა მიანიჭა და გარკვეული ემოციებით შეავსო. ასეთი გმირები ვაჟა-ფშაველას სრულფასოვან პერონაჟთა სიმალლემდე აჰყავს: არწივი, მგელი, დათვი, შვლის ნუკრი, კურდღელი, ასევე, მთის წყარო, კლდის ნაპრალები, თუნდაც ფესვები, თანაბარი ღირებულების მქონე პერსონაჟები არიან, ისეთები, როგორებიც: მინდია, ალუდა, ჯოყოლა, ალაზა, გოგოთური, აფშინა და სხვები.

ბუნება ვაჟა-ფშაველასთვის არა მხოლოდ უშრეტი ენერგიისა და შთაგონების წყაროა, არამედ ფილოსოფიური აზროვნების ფონიც. სწორედ ამ სპექტრში განიხილავს მწერალი ისეთ სოციალურ საკითხებს, როგორიცაა პიროვნებისა და საზოგადოების ურთერთობის საკითხი. გაუცხოების, განაპირების, ჩაგვრის, გულგრილობის, სუსტის შეუბრალებლობის მტკივნეული პრობლემები ვაჟა-ფშაველამ შესანიშნავად წარმოაჩინა თავის ეპიკურ მემკვიდრეობაში, თავის შეუდარებელ პოემებში. ამ პრობლემის თავისებურად გააზრების თვალსაზრისით საინტერესოა მოთხრობა „არწივი“.

ზოგადად, ვაჟა-ფშაველას იტაცებს ზნეობრივი სიმტკიცე, გაუტეხლობა, ამტანობა, პიროვნული სიძლიერისაკენ ლტოლვა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ეს მისი გმირების მეტად გამოკვეთილი თვისებაა. თუ „გადავალებთ თვალს ვაჟას შემოქმედებით ინტერესებს, ვნახავთ, რომ ჩაღრმავება საკუთარ თავში, თვითნაწილობის მოთხოვნილება და სამყაროს შეცნობის ფილოსოფიური წყურვილი, ვაჟას შემოქმედების დამახასიათებელ თვისებად წარმოსდგება“ (ევგენიძე, 1989: 224). როგორც მიუთითებენ, მწერლის ინტერესი ამგვარი თემებისადმი 90-იანი წლების შემდეგ ხანაში შეინიშნება, არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაშიც. ამ დროს იბეჭდება მისი წერილები „ფიქრიანი“, „ფიქრები“ (1891), „ყოველდღიური ფიქრები“ (1901), „საზაფხულო ფიქრები“, „ზოგი რამ ფიქრებიდან“ (1915).

მოთხრობა „არწივი“ ვაჟა-ფშაველამ 1904 წელს დაწერა და პიროვნებისა და საზოგადოების ურთერთობის მტკივნეულ თემას მიუძღვნა.

შესავალშივე ვეცნობით არწივის პორტრეტს და ვიგებთ, რომ მაღალი მთიდან ის ყოველთვის დაბლა იყურება, რადგან მოსანადირებელი მსხვერპლი იქ ეგულება.

ეს ერთგვარი ტაქტიკაცაა მისთვის და სიბრძნეც, რადგან ზევიდან თავდასხმა თავზარდამცემია მსხვერპლისთვის.

სხვა დიდ ფრინველთაგან განსხვავებით, არწივი მხოლოდ თავისი ნანადირევით იკვებება და ლეშს არ მიირთმევს. ესეცაა მიზეზი მის მიმართ მწერლის განსკუთრებული მოწიწებისა. 1886 წელს დაწერილ პოემაში „მონადირე“ ვაჟა-ფშაველა არწივს ასე ახასიათებს:

„მინდოდა არწივისადაც
მეცა პატივი ბევრჯერა,
მაგრამ სხვის მოკლულს არა სჭამს
ამაყი, ლალი ჩემფერა.

მარტუა დავა მოზვერი,
 არვის იკარებს ახლოსა;
 თუ არ თავის ბრჯდლით ნაშოვნსა,
 რჯულია, პირი ახლოსა?!
 არც ვის თავისას დაუთმობს,
 არცა ნდომულობს სხვისასა...“(ვაჟა-ფშაველა, 2012)

მოთხრობაში არწივის სისასტიკემდე მისული ძლევამოსილება ესთეტიზებულია. „არწივის მხრებით გაკვეთილი, გაპობილი ჰაერი ქუხილია ცისა, საშინელია, ღვთის რისხვაა, სიკვდილია პირდაღებული, ხმალმოღერებული, შეუპოვარი, შიშუცოდარი“ (ვაჟა-ფშაველა, 2012). ვაჟას მოსწონს არწივის უძლევლობა, მისი შეუპოვრობა, თავისუფლებისადმი ტრფიალი. ამ პოეტური პროზით წარმოთქმული სიტყვებს ოდნავ აბათილებს შემდგომი რიტორიკული კითხვა: „თქვენ, იქნება, არ გაგეგონოთ და არც გენახოთ მარგილზე ჩამოგებული არწივი, მსხვერპლისთვის დატეხებული, მაგრამ მოტყუებული?!“(ვაჟა-ფშაველა, 2012). ცხოვრების მკაცრ კანონზომიერების ყველა ემორჩილება, - ან ნებით, ან-იძულებით. ავტორი ამით კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს სამყაროს ორბუნებოვნებაზე, გამარჯვებისა და მარცხის თანაარსებობაზე.

მწერლის მიზანი არწივის ხასიათის გამოკვეთას დასტრიალებს, ამიტომაც თხრობას ასე აგრძელებს: „სამსხვერპლომ გაასწრო, თავს უშველა, არწივმა კლანჭი ვეღარ მოჰკრა და გამწვეტებულს ხეზე მოიკლა თავი. მაგრამ იმისი სიკვდილიც ვაჟკაცურია. სულის დაღევის დროს იგი მაინც არა ჰკარგავს სიამაყეს, მამაცად აბრიალებს თვალებს, თითქო ეუბნება თავის ნიშის მეგობრებს: „მიცქირეთ და ისწავლეთ, როგორ უნდა მოკვდეს ნამდვილი ვაჟკაციო!““(ვაჟა-ფშაველა, 2012).

„ვაჟკაცური სიკვდილის“ მაგალითის ჩვენება მწერლის მხატვრული მიზანია. შიშის დაძლევა და ღირსეულად კვდომა ვაჟას გმირების ნიშანდობლივი თვისებაა.

ვიდრე ძლიერი და წარმატებული მოწოდების სიმაღლეზეა, მას ყველა ეპირფერება, თუკი ფეხი დაუცდება, მაშინვე ამჟღავნებენ გარშემომყოფები ნამდვილ სახეს, მაშინვე იხსნიან ნიღაბს. სოციალური ურთიერთობის ეს ბნელი მხარეც გვიჩვენა მწერალმა. „წყლულს იმას არავინ შეუხვევს და არცვინ წამალს დააყრის. წამლად და ნუგეშად მის ქვეშევრდომთა ხმა ისმის მხოლოდ: „ახია შენზე!.. ჰე, მოგხვდა, თუ არა?!“. ეგრეა წუთისოფელი! აბა ცოცხლისთვის ეთქვა ვისმე ასეთი ქართული?!.“(ვაჟა-ფშაველა, 2012). შემთხვევითი არ გვეჩვენება ბოლოს ნათქვამი სიტყვა „ქართული“. ამით ავტორმა ჩვენი საზოგადოების მანკიერ მხარეზე მიგვანიშნა. მოთხრობის სოციალური ასპექტი უფრო თვალსაჩინო გახადა და ეროვნულ მიჯნამდე მიიყვანა.

საკუთარი დიდებულებისა და ძალის შეგრძნება წუთითაც არ სტოვებს არწივს. წინაპრების წინაშე პასუხისმგებლობა და ტრადიციის გაგრძელება გარკვეული ვალდებულებებით ტვირთავს მის სულს. სწორედ ეს არის მისი ტანჯვის წინაპირობა და აწმყო.

ვაჟა-ფშაველა ადამიანის სულის სიღრმეებს სწვდება. უძღურების განცდით შეპყრობილი ადამიანის სასოწარკვეთა და მისივე ბედთან ჭიდილი მკითხველსაც ასევდიანებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე საუბრისას, ცალკე გამოყოფენ ისეთ მოთხრობებს, რომლებიც სიცოცხლით სიხარულის, მისით ტკბობისა და სიცოცხლის წყურვილის გამომხატველია. ამ მოთხრობათა თემატურ წრეში შეიძლება მოვაქციოთ „არწივიც“.

არწივს არ ეთმობა ახალგაზრდობა. სიბერესთან მიახლოება ყოველ ჯერზე აფხიზლებს და ახალი ძალით ებრძვის ბედისწერას. ამ მტკივნეულ განცდას ავტორი არწივის

გარშემომყოფთა დამოკიდებულებითა და ავტორის მონოლოგით წარმოაჩენს, რომელიც ზუსტად გამოხატავს არწივის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ მდგომარეობას.

წარსულის მოგონებებს უპირისპირდება აწმყო, რომელთან შეგუებაც უჭირს მას „გულის საკლავად ეწვეთებოდა კაკბების კაკანი, როჭოების ყაყანი, შურთხების ლამაზი სტვენა, და მძიმე ოხვრა ამოჰხდებოდა გულიდან. იქნება, მეტოქე ვინმე გამოუჩნდა თავზე მძლავრი, იმან დაჩაგრა და აღუკრძალა ნადირობა? არა. იქნება ავად არის? არა. იქნება საყმო აუჯანყდა და აღარავინ ემორჩილება მის ბრძანებას?... ამის მსგავსი საქმეა არწივის თავს!.. როგორ მოხდა ეს წარმოუდგენელი ამბავი?... საყოველთაო საზოგადო ბუნების წესის თანახმად იგი დაუძლურდა, დაბერდა“. (ვაჟა-ფშაველა, 2012).

უძლურება, სიბერის უტყუარი ნიშანია, – როცა უწინდელი შესაძლებლობები შეუძლებელი ხდება. გარშემომყოფთა გულგრილობა და ცინიზმი არწივს ძალუმაღ შეაგრძნობინებს სიბერის სუსხს. აწმყოზე წარსულით აპელირება მას სასიცოცხლო ძალას მატებს, თუმცა ფიზიკური უძლურება აიძულებს მიიღოს სინამდვილე. ამ განცდების ჭიდილია სიბერეც. „ფუჰ!..“ – უკვირდა და ვერ აეხსნა ვერაფრით თავის სიუძლურე; მისი ურჩი გონება და ამაყი გული არ ურიგდებოდა ბუნების მძლავრს კანონს“ (ვაჟა-ფშაველა, 2012).

პირველი კომპრომისი თავმოყვარეობისა და სიამაყის სანაცვლოდ, განსაკუთრებით მტკიცეული აღმოჩნდა მისთვის. შიმშილისაგან დასუსტებული არწივი აღარ არჩევს ნანადირევს, თუკი რამეს მოიხელთებს, მზად არის დაუფიქრებლად შეჭამოს: „მის თავზე რამდენიმე ყვავს მოყვარა თავი-თავს და მაღლიდან ნიშნის მოგებით დასჩხაოდენ, ახლო როდი უდგებოდენ. იმათი ხორცი თავის დღეში არ უჭამია არწივს და დღეს კი სიამოვნებით შეექცეოდა, თუ, ერთიც არი მაინც, ხელში ჩაუვარდებოდა“ (ვაჟა-ფშაველა, 2012). მთავარი პირობა კი ის არის, რომ მისი ეს განურჩევლობა და სისუსტე არავინ უნდა შენიშნოს. ასე ხდება, როცა თავმოყვარეობა ბედს უპირისპირდება. შემდეგი ცდუნება უფრო დიდი აღმოჩნდა მისთვის, როცა შევარდენს ნანადირევი როჭო პირიდან გააგდებინა იმ მიზეზით, რომ იმ ტყეში არსებული ყველა ფრინველი მას ეკუთვნოდა. სინამდვილეში კი, მისი შეჭმის სურვილი კლავდა.

გადარჩენაზე ზრუნვა ადამიანს ხშირად წონასწორობას აკარგვებს, ამიტომაც არწივის სულშიც მუდმივი ჭიდილია ხორციელ მოთხოვნილებასა და პიროვნულ პრინციპებს შორის. მიეყვით ტექსტს. ჭკვიანი შევარდენი მიუხედავად არწივს ხრიკს და მწარედ დასცინა. არწივმა თავმოყვარეობის ამგვარ შელახვას ქვეყნიდან წასვლა და გადაკარგვა არჩია. გაქცევამდე ისევ სძლია შიმშილის სურვილმა და ლემის ჭამაც კი მოუნდა არწივს, რაც მისი მოდგმისთვის წარმოუდგენელი იყო. ასე აიძულა ბუნებრივმა მოთხოვნილებამ არწივი საკუთარ ზნეზე ხელი აეღო, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. სანამ ლემს გადაყლაპავდა, მაშინ მოუსწრაფა სიცოცხლე ადამიანის ნასროლმა ტყვიამ.

ბუნება და ადამიანი ერთნაირ კანონზომიერებებს ექვემდებარებიან, თუმცა საკუთარი ბუნების წინააღმდეგ წასვლა, ბუნების კანონზომიერების რღვევა, ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების თანახმად, ყოველთვის ისჯება (ამის საუკეთესო მაგალითია მინდია „გველისჭამელიდან“, მგელი მოთხრობიდან „მგელი“).

ვაჟა-ფშაველა მოთხრობაში ადამიანის ცხოვრების ყველაზე დრამატულ ფაზას, სიბერეს შეეხო. გვიჩვენა მისი მიმდინარეობის სირთულებები და დანარჩენი საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება თავისი ერთი წევრის მიმართ.

მოთხრობის აზრობრივ-მხატვრული ქსოვილი საკმაოდ რთულია და უკავშირდება ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო კატეგორიებს, როგორიცაა: ზედაპირულობა, ცინიზმი, თვალთმაქცობა, სიამაყე, შიში, პრინციპულობა, სისუსტე.

მოთხრობაში გრძნობათა მონაცვლეობა და გრადაცია იმდენად სწრაფად ხდება, რომ ემოციური მუხტი პირველიდან ბოლო წინადადებაამდე შენარჩუნებულია.

ლიტერატურა:

1. კიკნაძე გ., „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, გვ.224. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.
2. ევგენიძე ი., „ვაჟა-ფშაველა“ (ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები, გვ.224. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

გამოყენებული ბმულები:

ვაჟა-ფშაველა <https://tagiweb.wordpress.com/2012/02/21/monadire/> 15.04.2025

ვაჟა-ფშაველა <https://tagiweb.wordpress.com/2012/04/10/arwivi/> 20.04.2025

Nana Kupradze

Georgian University

a-mail: n.kupradze@ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.12>

SJIF 2025: 8.584

ORCID: 0009-0002-0913-3734

Vazha-Pshavela's story "The Eagle"

Abstract

The work of a talented writer often combines several problems. The chain of issues logically fits together in Vazha-Pshavela's story, Eagle ".

If the motive of the relationship between the person and the society is the leading problem of the story, next to it we see topics of ruthlessness, indifference, indifference, which accompany personal and social hardship and weakness. Everything serves to present a real picture of life.

The irresistible challenge of being in this world is old age. Struggling with him also means confronting fate. Even the strongest fail in the fight against the regularity of life. According to the artistic concept of the story, the person facing this battle is always defeated. This axiomatic provision should be accepted unchanged, but the writer's artistic idea goes further, the main thing is to face defeat with dignity, to maintain spiritual balance and personal balance.

The feeling of heredity, the obligation to protect and continue the path of the ancestors, gives spiritual courage, personal strength to the hero. This is the only lever that feeds a person with great strength and energy.

In general, the outstanding feature of Vazha-Pshavela heroes is strength, perseverance, principledness, unbreakability.

When confronting life, Vazha-Pshavela heroes are trained. Hardship and resistance teach them ways to overcome difficulties. Whoever passes correctly in this direction will survive.

According to the story, he stands in front of the eagle (personality).

Key Words : in Vazha-Pshavela, story "The Eagle"

რეცენზენტი: პროფესორი ნელი ვასილივა

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

ქართული სარაინდო რომანი გერმანულ ენაზე

დარეჯან მენაბდე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

e-mail: darejan_menabde@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.13>

SJIF 2025: 8.584

მოსე ხონელის (XII ს.) სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ თავისი შინაარსით, მსოფლმხედველობითა და რაინდული სულის გადმოცემით უახლოვდება შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურის იდეალებს და არცთუ იშვიათად განიხილება ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. სტატიაში განხილულია „ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი (მთარგმნელები – ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი).

საკვანძო სიტყვები: სარაინდო რომანი, მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“

მოსე ხონელის სარაინდო-სათავგადასავლო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. XII საუკუნეში შექმნილი ამ ძეგლით იწყება ახალი ეტაპი ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში, საფუძველი ეყრება საერო მხატვრულ ლიტერატურას. როგორც ჩანს, რომანი მალევე გახდა აღიარებული თანამედროვეთა მიერ – „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“, გვამცნობს „ვეფხისტყაოსანი“, თხზულების გმირები იხსენიებიან „თამარიანსა“ და თამარის ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

თანმედროვე მკითხველისათვის „ამირანდარეჯანიანი“ იმითაც არის საინტერესო, რომ მას ბევრი აქვს საერთო იმავე და მომდევნო ეპოქის ევროპულ სარაინდო რომანთან. სწორედ ამ საერთოობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ თხზულება თარგმნილია ინგლისურ (რ. სტივენსონი), ფრანგულ (გ. ბუაჩიძე), გერმანულ (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი) და რუსულ (ბ. აბულაძე) ენებზე. ამჯერად საგანგებოდ შევხებით „ამირანდარეჯანიანის“ გერმანულ თარგმანს.

„ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი დაიბეჭდა გერმანიაში, ფ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის გამომცემლობაში, 1999 წელს [Mose Choneli, Amirandareschaniani. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fährich (Mose Choneli, 1999)]. თარგმანს საფუძვლად დაედო თხზულების 1969 წლის აკადემიური გამოცემა (მოსე ხონელი, 1969).

ტექსტის ერთობლივი თარგმანი შეასრულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის დამსახურებულმა მკვლევარმა, ზურაბ სარჯველაძემ და გერმანელმა ქართველოლოგმა, იენის უნივერსიტეტის პროფესორმა და კავკასიოლოგიის სექტორის ხელმძღვანელმა, ჟურნალ „გეორგიკის“ დამაარსებელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელმა წევრმა ჰაინც ფენრიხმა.

ჰ. ფენრიხმა ჯერ კიდევ 1973 წელს გერმანულ ენაზე თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ [თარგმანი ორჯერ გამოიცა გერმანიაში (Orbeliani, 1973; Orbeliani, 1974)], გამოაქვეყნა წიგნი „ქართული ლიტერატურა“ (Fährich, 1981) და ა. შ. ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ერთობლივი ნაშრომებია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც ჯერ ქართულად გამოქვეყნდა (1990 წ.), შემდეგ – გერმანულად (1995 წ.), „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (1975 წ.), „ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (1999 წ.) და სხვ. აგრეთვე მათი ერთობლივი მთარგმნელობითი მუშაობის შედეგია ქალაქ იენაში ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ [„Das Leben des Grigol von Chandsta“ (Giorgi Mertschul, 2000)] და „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა“ [„Das Leben des Giorgi Mtazmideli“ (Giorgi Mzire, 2001)] გერმანული თარგმანების გამოცემა.

„ამირანდარეჯანიანი“ იხსენიება არაერთი გერმანელი ავტორის ნაწერებში [ფრიდრიხ ბოდენშტედტი, ანტონ ბაუმშტარკი, რობერტ ბლაიხშტაინერი (რევიშვილი, 1977: 147-148, 162-164, 176)], მაგრამ ეს მაინც ზოგადი დასახელება იყო კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურის მიმოხილვებში. საგანგებო ყურადღება კი ამ რომანისთვის არ მიუქცევიათ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა ყოველთვის ინტერესს იჩენდა სარაინდო რომანის ჟანრის მიმართ. ამ მხრივ თვალსაჩინოა ჰ. ფენრიხის დამსახურება – მან მოსე ხონელი და მისი სარაინდო რომანი (სხვა ქართველ მწერლებთან ერთად) შეიტანა ე. წ. „უცხოენოვან მწერალთა ლექსიკონში“ [„Lexikon fremdsprachiger Schriftsteller. Georgische Schriftsteller“ (Fährich, 1979)], აგრეთვე საგანგებოდ გამოყო თავის წიგნში „Die Georgische Literatur“ [„ქართული ლიტერატურა“ (Fährich, 1981: 49-50)], სადაც ჰ. ფენრიხი გერმანულენოვან მკითხველს მოკლედ აცნობს XII საუკუნის საქართველოს ისტორიულ ვითარებას, მწერლობის განვითარებას, იმდროინდელი საქართველოს რაინდულ იდეალებს, პარალელს ავლებს „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანს“ შორის, მიუთითებს ამ რომანის მიმართებაზე ხალხურ „ამირანიანთან“, ეხება XVII საუკუნეში ძმები თანიაშვილების მიერ გალექსილ ვერსიასაც და ა. შ. ავტორის მიზანია, ამ სარაინდო რომანის წარდგენით გერმანულენოვან სამყაროში გაზარდოს ინტერესი ზოგადად ქართული მწერლობის მიმართ. ეს ყოველივე კი

ნათელს ხდის მის სურვილს, ქართველ მეცნიერთან, ზ. სარჯველაძესთან ერთად ხელი მოეკიდა ამ ტექსტის გერმანულად თარგმნისათვის.

„ამირანდარეჯანიანის“ ზემოხსენებული გერმანული თარგმანი იხსნება წინასიტყვაობით, რომელშიც მიმოხილულია ტექსტთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული-ლიტერატურული საკითხები. განსაკუთრებით გამოყოფილია ახალი ლიტერატურული ტენდენცია – საერო მწერლობა, რომლის აღმოცენებაც უკავშირდება XII საუკუნეს. ლაპარაკია სარაინდო რომანის სპეციფიკაზე, რომანის კომპოზიციაზე, რაინდულ იდეალებზე, რაც ზოგადად თავს იჩენს შუასაუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში. სწორედ ამ ახალმა ტენდენციამ განაპირობა ინტერესი ისეთი თხზულებებისადმი, როგორებიცაა ვისისა და რამინის სპარსული სასიყვარულო ისტორიის ქართული ვერსია „ვისრამიანი“ და სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“, ნახსენებია აგრეთვე ხალხურ შემოქმედებაში გავრცელებული გადმოცემები ამირანის შესახებ და სხვ. იქვე მითითებულია, რომ ტექსტის თარგმანი შესრულებულია ლ. ათანელიშვილის 1969 წლის გამოცემის მიხედვით (მოსე ხონელი 1969). წინასიტყვაობაში აგრეთვე მოკლედ წარმოდგენილია თხზულების შედგენილობა და შინაარსი (Mose Choneli, 1999: 3-4).

ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხის მიერ შესრულებული გერმანული თარგმანი არის „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის სრული თარგმანი და შედგება თორმეტი კარისაგან (Mose Choneli, 1999: 5-177):

Erstes Kapitel. Geschichte von Abesalom, dem König der Inder (გვ. 5-11); Zweites Kapitel. Geschichte von Badri, dem Sohn Iamans (12-25); Drittes Kapitel. Geschichte von Nosar aus Nisar (26-28); Viertes Kapitel. Geschichte von Amiran, Daredshans Sohn (29-34); Fünftes Kapitel. Geschichte von dem Araber Ambri (35-45); Sechstes Kapitel. Geschichte von dem Jüngling Indo (46-55); Siebentes Kapitel. Geschichte der strahlenden Gestirne (56-73); Achtes Kapitel. Geschichte von den Zauberkräften (74-97); Neuntes Kapitel. Geschichte von Sepedawle, Darispans Sohn (98-129); Zehntes Kapitel. Geschichte des Ritters Mse (130-160); Elftes Kapitel. Geschichte von der Blutrache (161-166); Zwölftes Kapitel. Geschichte von der Eroberung des Balcherlandes (167-177).^{*} თარგმანს არ ახლავს სამეცნიერო აპარატი.

XII საუკუნეში დაწერილი ამ ტექსტის თარგმნა უცხოურ ენაზე საკმაოდ რთული ამოცანაა. უპირველესად მნიშვნელოვანია, რომანის რაინდული სულის შენარჩუნება, სარაინდო ტერმინოლოგიის დაცვა, საბრძოლო ეპიზოდების გადმოცემის ადეკვატურობა, დიალოგების სრულყოფილად გადმოღება, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა სისწორე და ა. შ. მაგრამ უნდა

* აქვე მკითხველს შევახსენებთ „ამირანდარეჯანიანის“ თორმეტი კარის სათაურებს ქართულ ენაზე: 1. აბესალომ ჰინდოთა მეფისა ამბავი; 2.

. ბადრი იამანის-ძისა ამბავი; 3. ნოსარ ნისრელისა ამბავი; 4. ამირან დარეჯანისძისა ამბავი; 5. ამბრი არაბისა ამბავი; 6. ინდო ჭაბუკისა ამბავი; 7. მნათობთა ამბავი; 8. ტილისმათა ამბავი; 9. სეფედავლე დარისპანის-ძისა ამბავი; 10. მზისა ჭაბუკისა ამბავი; 11. სისხლთა ძებნისა ამბავი; 12. ბალხეთს შესღვისა ამბავი.

ითქვას, რომ ეს ყოველივე განსაკუთრებული სიზუსტითაა გადატანილი გერმანულ თარგმანში. ეს, რასაკვირველია, განაპირობა იმან, რომ თარგმანზე მუშაობდა ორი მაღალი კომპეტენციის მეცნიერი, ქართველი ენათმეცნიერი ზ. სარჯველაძე და გერმანელი ქართველოლოგი ჰ. ფენრიხი. „ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი მათ მიერვე შესრულებულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ გერმანულ თარგმანებთან ერთად ძველი ქართული მწერლობის ძეგლების საუკეთესო თარგმანთა შორისაა.

დასასრულ, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სტატიაში წარმოდგენილი „ამირანდარეჯანიანის“ გერმანული თარგმანი ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით ჯერ კიდევ საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას სპეციალისტთა მიერ. ვფიქრობ, ეს გადაუდებელი ამოცანა მკვლევართა სამომავლო საქმეა.

ლიტერატურა:

1. **მოსე ხონელი**, – ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი. 1969. 193 გვ.
2. **რევიშვილი, შ.**, – გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბილისი: თსუ გამომცემლობა. 1977. 377 გვ.
3. **Fähnrich H.**, – Die Georgische Literatur (Ein überblick). Herausgeber V. Kachniaschwili. Tbilisi: Verlag „Sabtschota Sakartwelo“. 1981. 271 გვ.
4. **Fähnrich H.**, – Georgische Schriftsteller (Washa-Pschawela, Qasbegi, G. Rtscheulischwili, Rustaweli, Saakadse, Sabanidse, Schatberaschwili, Schawteli, Schengelaia, Sulakauri, G. Tabidse, T. Tabidse, Teimuras I, Wachang VI, Mose Choneli). In: Lexikon fremdsprachiger Schriftsteller. Bd. 3. Leipzig: 1979. 386 გვ.
5. **Giorgi Mertschul**, – Das Leben des Grigol von Chandsta. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fähnrich. Iena: 2000. 86 გვ.
6. **Giorgi Mzire**, – Das Leben des Giorgi Mtazmideli. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fähnrich. Iena: 2001. 68 გვ.
7. **Mose Choneli**, – Amirandareschaniani. Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fähnrich. Jena: 1999. 177 გვ.
8. **Orbeliani S.S.**, – Die Weisheit der Lüge. Übers. von H. Fähnrich. Berlin: Rütten und Loening. 1973. 268 გვ.
9. **Orbeliani S.S.**, – Die Weisheit der Lüge. von H. Fähnrich. [Frankfurt/M/]: 1974. 233 გვ.

Darejan MenabdeIv. Javakhishvili Tbilisi State University,
Shota Rustaveli Literature Institute

Tbilisi, Georgia

e-mail: eka.vardoshvili@tsu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.13>**SJIF 2025: 8.584**

The Georgian Chivalric Romance in the German Language

Abstract

The novel of chivalry *Amirandarejaniani* by Mose Khoneli (12th century), according to its content, worldview and conveying of the chivalrous spirit is close to the ideals of European literature of the Middle Ages and not infrequently is discussed within the context of European literature. The article discusses the German translation of „Amirandarejanian“ (Translated – Z.Sarjveladze, H. Fenrich).

Key words: Chivalric Romance, Mose Khoneli, “Amirandarejaniani”

რეცენზენტი: პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

Literature and Literary Theory

აკაკი წერეთელი საგმირო-სარაინდო რომანების შესახებ

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID: 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.14>

SJIF 2025: 8.584

„ყარამანიანი“ XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი იყო, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სასტამბო საქმის აღორძინებისთანავე დაინტერესდნენ ამ ტექსტით გამომცემლები. აკაკი წერეთელს წიგნის ბეჭდვა ძალიან საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნდა. მისი აზრით, სწორედ გამომცემლებზე იყო დამოკიდებული, როგორ წარიმართებოდა მკითხველი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების ფორმირების პროცესი; აკაკი თვლიდა, რომ „ყარამანიანის“ და მსგავსი თხზულებების გამომცემლები ვერ აცნობიერებდნენ, თუ რა ზიანს აყენებდნენ საქვეყნო საქმეს. მიუხედავად საგმირო-სარაინდო რომანების მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულებისა, აშკარაა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა მაინც იქონია „ყარამანიანის“ ტექსტმა, რომლის ცალკეული პასაჟები ეფექტურადაა არეკლილი არა მარტო მის მხატვრულ პროზაში, არამედ პოემებშიც. ვფიქრობთ, ეს საკითხი კდევ უფრო ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, საგმირო-სარაინდო რომანები, „ყარამანიანი“

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაბეჭდი წიგნის ისტორია 1709 წელს ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი „სახარებით“ იწყება. სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, XVIII ს.-ის ბოლო მეოთხედში აღორძინებული სასტამბო საქმიანობა თითქმის მთლიანად ჩაკვდა. ასე, მაგალითად, 1801-1837 წლებში საქართველოში თურმე მხოლოდ 8 წიგნი გამოცემულა. საგამომცემლო საქმიანობა კვლავ გაცხოველდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. რასაკვირველია, ეს იყო შედეგი, ერთი მხრივ, ვორონცოვის მმართველობის პერიოდში ქართული კულტურის განვითარების ხელშეწყობის, ხოლო, მეორე მხრივ კი - ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა.

სწორედ 60-იანი წლებიდან გაჩნდნენ საქართველოში კერძო გამომცემლები: სტეფანე მელიქიშვილი, გრიგოლ ჩარკვიანი, ექვთიმე ხელაძე, ძმები თავართქილაძეები, არსენ კალანდაძე და სხვები. ამავე ხანებიდან ქვეყნდება პერიოდულ პრესაში „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, რომელიც საზოგადოებას ახლად დაბეჭდილი წიგნის თაობაზე აწვდის ინფორმაციას. 1880 წელს თბილისში „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობაც“ კი დაარსდა, რომელიც მიზნად ძველ ხელნაწერთა გამოცემასა და პოპულარიზაციას ისახავდა. რომ არა „ამხანაგობისა“ და კერძო მესტამბეთა ძალისხმევა, შეიძლება ბევრი ხელნაწერი უკვალოდ გამქრალიყო. თუმცა, როგორც იტყვიან, ყველა მედალს აქვს მეორე მხარე: ზოგჯერ გამომცემლები ყურადღებას აქცევდნენ არა იმდენად თხზულების ღირსებას, არამედ იმას, თუ რამდენად პოპულარული იყო იგი ხალხში და, თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, რამდენად „გაყიდვადი“ აღმოჩნდებოდა დაბეჭდვის შემთხვევაში.

ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, აუცილებლად გაიყიდებოდა, იყო „ყარამანიანი“. ქართველი მკითხველი მას XVIII საუკუნის 70-იან წლებში გაეცნო. „ყაჰრამან ნამე“ საქართველოში ერეკლე მეორის სიძემ, დავით სარდალმა ჩამოიტანა და თარგმნა. მართალია, „ყარამანიანი“ ამ ტიპს სხვა თხზულებების მსგავსად, მხატვრული ღირსებით დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ სახალისო საკითხავი იყო და ამიტომაც ადამიანები საკმაოდ დიდ თანხას იხდიდნენ ხელნაწერის ასლის შესაკვეთად;

როგორც თანამედროვეთა მოგონებებიდან ვიცით, „ყარამანიანი“ XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი იყო, რომელიც ერთნაირი მოწონებით სარგებლობდა როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდების ხალხში. პრაქტიკულად არ არსებობდა ოჯახი, სადაც სხვა წიგნებთან ერთად „ყარამანიანის“ უზარმაზარი ხელნაწერი არ ინახებოდა. მზითევში ქალებს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად „ყარამანიანსაც“ ატანდნენ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ „ყარამანიანის“ არაერთი ხელნაწერი ნუსხა გვაქვს შემორჩენილი. ერთ-ერთი ილია ჭავჭავაძის მამის, გრიგოლის ნაქონია. სავარაუდოდ, ილიას ბავშვობაში ბევრჯერ მოუსმენია ყარამანის თავგადასავალი, ამიტომაცაა, რომ მის მოთხრობებში ვხვდებით ამ თხზულების პერსონაჟების სახელებს. ვის არ ახსოვს „კაცია-ადამიანიდან?!“ სუტ-კნენიას სიტყვები: „თქვენ ყმაწვილი კაცი ბძანდებით. მე, რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიათ ის საწყალი ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან *ყარამანის* მხარ-ბეჭი და სიტურფე ტარიელისა, გონიერება *გარდანქეშანისა*. თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუწითა ცეცხლი იმ უბედურის ქალის გულშია. ... არც ქალია ურიგო, - დაიწყო ისევ სუტ-კნენიანმა, - როგორი *ყარამანიე* შენ ხარ, იმისთანა *საღობხურამან* ის არის“ [ჭავჭავაძე, 1988:45]. ილიამ „კაცია-ადამიანი?!“ 1863 წელს გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ (#4, #5, #6). საგულისხმოა, რომ ზუსტად თვრამეტი წლის შემდეგ მან ნატო გაბუნიას საბენეფისოდ შექმნა პიესა „მაჭანკალი“ „კაცია-ადამიანის?!“ VI-VIII თავების საფუძველზე. პიესის ტექსტი საგრძნობლადაა გადაკეთებული, დამატებულია ახალი სიუჟეტური დეტალები, თუმცა არათუ უცვლელადაა დატოვებული მაჭანკლის მიერ ლუარსაბისა და დარეჯანის „ყარამანიანის“ პერსონაჟებთან შედარების ეპიზოდი, არამედ კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორს კარგად ახსოვს ამ სარაინდო რომანის ტექსტი:

ლუარსაბი. ანჯიქოს გვერდით დამსვენს. ანჯიქო ხომ გაგიგონიათ? კახეთში თავი მსმელია. *ხორეშა ნი*. (პუბლიკისაკენ) ვიშ, გეთაყვანეთ. (ლუარსაბს) გათქმული და სახელოვანი. *ლუარსაბი*. სახელოვანო!.. სახელოვანი ვის ეკადრება? სმაში კოპიტშივლია, აი, ფალავანი.

ხორეშანი. სააპყრანია, შენ ნუ მომიკვდები, სააპყრანი. (პუბლიკისაკენ) ეს რა ჭირს გადავკვიდე, თქვენი ჭირიმეთ (ჭავჭავაძე, 1988:358).

...

ხორეშა ნი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამან ყათილის მხარ-ბეჭი, სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. უი, მშვენიერთა მშვენიერო!..(იქვე)

ილიამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ „ყარამანიანის“ სპარსულ დედანს „დასთანე ყაჰრამანე ყათილ“ („ამბავი ყარამან მკვლელისა“) ჰქვია, ხოლო უმანგ შაჰის კარზე ფალავანს სააპყრანს, ანუ ძლევამოსილს, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს უწოდებენ. სწორედ იმ ხანებში, როცა ილია „მაჰანკალზე“ მუშაობდა, კიდევ უფრო გაიზარადა რომანის პოპულარობა, რადგან ხელმისაწვდომი გახდა მისი ცალკეული თავების ბეჭდური ვერსიის შეძენა. ილიას ნიშანდობლივად რომ არ მიეჩნია ეს გარემოება, მოთხრობის დაწერიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ თავის პიესაში „ყარამანიანის“ პერსონაჟები, შესაძლოა, საერთოდ აღარ ეხსენებია.

„ყარამანიანი“ პირველად დავით ლაზარევმა გამოსცა 1875-1882 წლებში. იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, საგამომცემლო ხარჯი დიდი არ ყოფილიყო და, მეორე მხრივ, წიგნის შეძენა დაბალი თვითღირებულებიდან გამომდინარე ხელმოკლე მკითხველსაც არ გასჭირვებოდა, ლაზარევმა ეს საკმაოდ დიდი მოცულობის ნაწარმოები ცალკეულ კარებად „დაშალა“ და საკუთარი რედაქციით გამოსცა პატარ-პატარა წიგნებად. მათი ღირებულება დიდი არ იყო - თითოეულს ექვს შაურად, ანუ 30 თეთრად შეიძენდა ადამიანი. წიგნი სწრაფად გაიყიდა. ზოგიერთი კარი რამდენჯერმეც კი დაბეჭდა ლაზარევმა. ტექსტი სრულად კი კიდევ ორჯერ გამოაქვეყნა - 1888-1912 წ.წ და 1901-1914 წ.წ.-ში.

მიუხედავად იმისა, რომ „ყარამანიანი“ ლამის ყველაზე მოთხოვნადი წიგნი იყო, მისი ბეჭდური ვერსიის გამოჩენამ ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. აკაკი წერეთელი 1876 წელს გიორგი ქართველიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „ნადული“ („ქორს წიწილა მიჰქონდა..“) წერდა: „იმდენი „ჰაუ! ჰაუ!“ იმახეს ჩვენმა ყმაწვილებმა, რომ ხალხი გამოაღვიძეს. დღეს ის სულიერ საზრდოსა თხოულობს, და ხელის შემწყობი მისთვის საჭიროა. ამ უკანასკნელს დროში, სხვათა შორის, მათში [საზოგადოებაში - ნ.ფ.] კითხვის სურვილი აიძრა. ეს შენიშნეს ზოგიერთებმა და იწყეს სხვადასხვა წიგნების ბეჭდვა ... მაგრამ კეთილი საქმისთვის მარტო სურვილი არ არის საკმაო. უნდა ის მოთავეები კარგათ არჩევენ ავსა და კარგს; იცოდენ, რა აწყენს და რა არგებს ხალხს, თორემ მარტო იმას რომ მიხედონ, რომ კითხულობენო ჩვენგან დაბეჭდილ წიგნებსაო, ეს ძალიან ცოტა იქნება. მშიერს რომ მადა გაელვიდება, მავნებელი რამეც რომ მიუტანოთ, ხარბათ დაუწყებს ჭამას, მაგრამ საბოლოოთ კი არ არგებს. „ალექსიანის“, „ქალ-ვაჟიანის“, „ყარამანიანისა“ და სხვადასხვა სულელიანების გამომცემლებს ასე ჰგონიათ, რომ სახალხო წიგნი იმასა ჰქვიათ, რომელიც ერთ შაურზე მეტად არ იყიდებაო და იღვწიან თავმომწონით! ეს მათი შრომა და მოღვაწეობა გულწრფელობითაა, ვიცით, მაგრამ ვნებას მაინც მოიტანს, ამაში ეჭვი აღარ არის!“ (წერეთელი, 2023:395). ამ ამონარიდში ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვს აკაკის გამოთქმული; მისი ღრმა რწმენით, წიგნის ბეჭდვა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. გამომცემლებზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება მკითხველი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების ფორმირების პროცესი; აკაკი თვლის, რომ ეს ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამხელა ზიანის მოტანა შეუძლიათ ხალხისათვის; აკაკის აზრით, წიგნის

გამოცემა არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ბიზნესად; ეს საქვეყნო საქმეა და ამიტომაც განსჯის ასე მკაცრად ზოგიერთ მესტამბეს. აკაკიმ იცის, რომ „დროების“ ფურცლებზე თავისი პოზიციის გამჟღავნებით ბევრ ადამიანს ატკენს გულს, მაგრამ რაკი მავანთა წყენის საპირწონედ ერის ინტერესების დაზარალებაა, ამიტომ შემწყნარებლობა დანაშაულად მიაჩნია.

ზემოხსენებული სტატიის ფინალურ ნაწილში პოეტის მსჯელობა კიდევ უფრო შეურიგებელ ხასიათს ატარებს: „*აწ კი დროა, რომ სულელებსა და უნიჭოებს მაინც მიეცეს შესაფერი, და სახალხო საქმეში არ ერეოდენ. თუ კეთილი საქმე უნდათ, უმჯობესი არ იქნება, რომ თოხსა ან სხვა რამეს მოჰკიდონ ხელი, რომელსაც უფრო მოახერხებენ და რაზედაც ბევრი ნიჭი არ სჭირიათ, ვიდრე უნიჭოდ და უთავბოლოდ, ხალხს წიგნები უბეჭდონ და უთავკაცონ? აბა ერთი გასინჯეთ, რაც ახლა სტამბებში სახალხო წიგნები გამოდის, რომელსაც სახალხო ჰქვიათ და ნახავთ — თუ რა მავნებელია ხალხისათვის. ვისის რჩევითა და თაოსნობით ის წიგნები იბეჭდება, რა ეთქმისთ იმათ აბა მის მეტი. რომ, ძმებო, კარგი კაცები ხართ, გიყვარსთ ჩვენი ხალხი; მაგრამ, რადგანც თვითონ თავი არა გაქვსთ, ცოტა სიფრთხილით მოიქეცით და თქვენზედ ჰქვიანებსა, უფრო გამოცდილებს დაეკითხეთ ხოლმე!..*“ (წერეთელი, 2023:396).

აკაკი გულისხმობს პეტრე უმიკაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძეს („ალექსიანისა“ და „ქალ-ვაჟიანის“ გამომცემლები) და დავით ლაზარევს („ყარამანიანის“ გამომცემელი). რასაკვირველია, მარტო აკაკი არ აკრიტიკებდა ამ ადამიანებს; ცნობილი ლოტბარი, პირველი ქართული „ხოროს“ შემდგენელი, პედაგოგი, ლექსიკოგრაფი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და პუბლიცისტი ლადო აღნიაშვილი აღშფოთებას ვერ ფარავდა: „ეს ახალ-ახალი გამოცემა „ყარამანიანისა“, ესეც „ქუჩუკ ყარამანიისა“ და სხვა ათასი ამ გვარი... რა სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ამ ზემო ჩამოთვლილ წიგნებს? ამათ უნდა შეაყვარონ ყმაწვილს კითხვა, მეცნიერება, სამშობლო ისტორია, სამშობლო მხარე, სამშობლო ენა, სამშობლო ლიტერატურა: ამათ უნდა აღუზარდონ მას ზნე და ხასიათი, გული?“

ინტელიგენციის მხრიდან ასეთი დამოკიდებულების გამოვლენამ აიძულა გამომცემლები, ერთგვარი მობოდიშებით გაემართლებინათ საკუთარი გადაწყვეტილება. ასე, მაგალითად, პეტრე უმიკაშვილი „ალექსიანის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „ჩემთვისაც დიდად სამწუხაროა, რომ ამ წიგნს ვბეჭდავ, მაგრამ რასა იქმს კაცი, როცა ეს წიგნი ძლიერ არის გავრცელებული ხალხში“. დავით ლაზარევი კი ასე „იმართლებდა“ თავს: „უნდა მოგახსენოთ, მკითხველნო, რომ „ყარამანიანს“ არავითარი ვნება არ მოუტანია ქართველი ერისათვის, სამაგიეროდ უფრო ნაყოფი გამოიღო თავისი სახალისო და მიმზიდველის შინაარსით და დედ-ენასაებრ წერა-კითხვა შეასწავლა უსწავლელ მდაბიო ხალხს. მეტადრე სოფლებშიც, სადაც იმ დროს სამრევლო სკოლები სულ არ არსებობდნენ“.

არ იქნება მართალი თუ ვიტყვთ, რომ „ყარამანიანისა“ და მსგავსი წიგნების მიმართ განათლებული საზოგადოების დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითი იყო. ასე, მაგალითად, 1904 წელს ჟ. „მოამბეში“ დაიბეჭდა „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“. მასში აღნიშნულია, რომ მეორედ გამოიცა „ყარამანიანის“ IX თავი დ. ლაზარევის მიერ 1200 ეგზემპლარად, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ტირაჟია. ბიბლიოგრაფიული შენიშვნის ავტორი წერს: „ამ წიგნს ხალხში დიდი გასავალი აქვს და დიდს ინტერესს იწვევს, როგორც საგმირო პოემა. შიგ გატარებული აზრები აღუძვრენ მკითხველს საგმირო საქმეებისადმი დიდ ტრფობას და გამოიწვევენ მასში მაღალ გრძნობებს. მამულის სიყვარული, დაჩაგრულის და სუსტის დაფარვა-გამოსარჩლება, ძლიერებთან შებრძოლება, თავისი სიტყვის შენახვა, ძმობის მტკიცედ აღსრულება, ქალის სიპატიოსნის დაცვა და მისი პიროვნების ამაღლება, აი, რა აზრებით არის

გამთბარი ეს ნაწარმოები და ხალხიც ტყუილად არ ეტანება მას. ენა თუმცა შეიძლება გრამატიკული მხრივ გვეჩვენოს უსწორ-მასწოროდ, მაგრამ მდიდარი არის თავის ფორმებით, სხვა-და-სხვა ტექნიკური სიტყვებით და პლასტიკითაც. „ყარამანიანი“ ღირსია იმის, რომ ჩამოერთვას მისი გამოცემა უვიც გამომცემლებს და რომელიმე სერიოზულმა პირმა ან საზოგადოებამ იკისროს მისი ერთად ყველა წიგნის გამოცემა შესაფერისი წინასიტყვაობით. ჩვენი ძველი მწერლობა უნდა დაედვას საძირკვლად ახალი მწერლობის აყვავებას. ამ მხრივ „ყარამანიანი“, „როსტომიანი“, „მოურავიანი“ და სხვა ასეთი ნაწარმოებები უფრო მეტის ყურადღების ღირსნი არიან, ვინემ დღეს ვხედავთ“ (მოამბე, 1904, #4, გვ.112-113).

სამწუხაროდ, ჟურნალში არ არის მითითებული, თუ ვინ არის „შენიშვნების“ ავტორი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის ჟურნალის რედაქტორის, ალ. ჭყონიას მიერ იყოს დაწერილი. ექ. თაყაიშვილის ცნობით, ალ. ჭყონია „მოამბეში“ ბეჭდავდა „თავის მიერ ნათარგმნს უცხოელების თქმულებებს საქართველოს შესახებ, სახელმძღვანელო პუბლიცისტურ წერილებს, შინაურ მიმოხილვებს და ბიბლიოგრაფიულ ცნობებს“ (თაყაიშვილი, 1909: 47). „ყარამანიანის“ თაობაზე გამოთქმული ეს მოსაზრება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ალ. ჭყონია განათლებული ადამიანი იყო - პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ის ორი წელი სწავლობდა პარიზში ისტორიის განხრით. ფლობდა ევროპულ ენებს.

აკაკიმ „ნადულის“ გამოქვეყნებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, 1893 წელს დაიწყო „ჩემი თავგადასავლის“ ბეჭდვა და კვლავ უარყოფით კონტექსტში მოიხსენია სარაინდო რომანების გავლენა ბავშვის ფსიქიკაზე: „საგმირო ზღაპრებმა, სავაშკაცო შაირებმა და ამბებმა იმდენად გამიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირად დავისახე. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხეთ წარმოვიდგინე და იქით-აქეთ ყურება დავიწყე, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეების სარაიები დამენახა, მაგრამ გადმოვვარდი, გამხდა ბრეგვა მიწაზე და ზურგის ტკივილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული „ღვთისავარ გმირი“ ვიყავი! საკვირველია, ამგვარი მარცხები ხანდახან გამომაფხიზლებდნენ ხოლმე, მაგრამ მერე კი ისევ ოცნება მერეოდა და ისევ გამანაცარქექიაგებდა ხოლმე [წერეთელი, 2015: 49].

აკაკი თითქმის ყოველთვის კრიტიკულად აფასებს „ყარამანიანსა“ და მსგავსი ტიპის ლიტერატურას, მაგრამ თავს მაინც ვერ აღწევს ამ ტექსტების გავლენას და ეს მის მხატვრულ ტექსტებში იგრძნობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ზღაპარი „ბროწეულის წყარო“: მეფე დადარდიანებულია, რადგან მზეთუნახავი დედოფალი დევკაჟმა მოსტაცა, ზუსტად ისე, როგორც შაჰპალი ფერიას მოსტაცა აქვალი დევმა მშვენიერი ყამარლუხი. აკაკის ზღაპარში დედის დასახსნელად ვაჟები მიდიან. „ყარამანიანში“ მეგობრის, ბარამ-ჯიბილის დედის გამოსახსნელად ყარამანი მიეშურება. „ბროწეულის წყაროში“ უმცროსი ძმა და მისი ძიძიშვილი გზად ხვდებიან ადამიანებს, რომელთაც არაბუნებრივი უნარები აქვთ შემენილი „თილისმის“ ძალით. ყარამანსაც ხშირად თილისმით მიღებული ცოდნა ეხმარება მიზნის მიღწევაში და ა. შ.

აკაკი თავის სხვა თხზულებებშიც ახსენებს „ყარამანიანის“ მთავარ პერსონაჟს. მაგალითად, პოემაში „ნათელა“ ცოტნე დადიანი ყარამანზე აღმატებულ რაინდადაა წარმოადგენილი:

„ჯერ თაყვანი სცა მასპინძელს,
მუხლები მოიყარა მან. . .
ვერ გამოჩნდება იმასთან

ზღაპრული გმირი ყარამან“. (წერეთელი, 2014: 259)

აკაკი გულისტკივილით ხედავდა, რომ ბევრ მის თანამედროვეს „ვეფხისტყაოსანი“ და „ყარამანიანი“ ლამის ერთი რანგის თხზულებებად მიაჩნდა. ზოგიერთისათვის კი ამ ნაწარმოებების წაკითხვა უკვე ნიშნავდა წიგნიერების სათანადო დონის მიღწევას. ამიტომაც 1889 წელს დაწერილ პიესაში „გაიძვერები“ სოსიკას ათქმევინებს: „ეს ოხერი, **„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირათ ვიცი და „ყარამანიანი“ ათჯელ მაქ წაკითხული** და მაინც ვერ ვბედავ წერას და შენ კიდევ ბეჭდამ და იმასაც რუსულათ!“ (წერეთელი, 2015: 326).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საგმირო-სარაინდო რომანების მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულებისა, აშკარაა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა იქონია „ყარამანიანის“ ტექსტმა, რომლის ცალკეული პასაჟები ეფექტურადაა არეკლილი არა მარტო მის მხატვრულ პროზაში, არამედ პოემებშიც. ვფიქრობთ, ეს საკითხი კდევ უფრო ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. გვახარია ალ., ცაიშვილი ს., (რედ) - ყარამანიანი, თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965.
2. გრიშაშვილი, ი., - ძველი თბილისის ბოჰემა, თბილისი: სახელგამი. 1927.
3. თაყაიშვილი, ე. - ძველი საქართველო, ტ. I, თბილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, 1909.
4. წერეთელი, აკ., - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. IV. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2014.
5. წერეთელი, აკ., - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2015.
6. წერეთელი, აკ., - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VIII. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2015.
7. წერეთელი, აკ., - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XI. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2023.
8. ჭავჭავაძე ი., - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1988.

Nana Pruidze

Georgian University

Tbilisi, Georgia

a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID: 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.14>**SJIF 2025: 8.584****Akaki Tsereteli about heroic novels**

Abstract

"Karamanian" was one of the most popular books in Georgia in the 19th century, so it is not surprising that publishers became interested in this text immediately after the revival of the printing business. Akaki Tsereteli considered printing a book a very responsible job. In his opinion, it depended on the publishers how the process of forming the literary taste of the reading public would proceed; Akaki believed that the publishers of "Karamaniani" and similar works did not realize what damage they were doing to the world cause. Despite the uniquely negative attitude towards heroic Saraindo novels, it is obvious that the text of "Karamanian" had some influence on the work of Akaki Tsereteli, individual passages of which are effectively reflected not only in his artistic prose, but also in his poems. We think this issue requires even more in-depth research.

Key words: Akaki Tsereteli, Heroic novels, "Karamaniani"**რეცენზენტი:** პროფესორი ოლეგ ლეშაკი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

Literature and Literary Theory

დისკურსული მჭერმეტყველების ფსიქოლინგვისტური პარამეტრები

ეკატერინე ქრისტინაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ელ. ფოსტა: ekaterinekristi@gmail.com

გურანდა გობიანი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

ელ. ფოსტა : gobianiguranda78@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.15>

SJIF 2025: 8.584

სტატია ეხება მჭერმეტყველების ფენომენს დისკურსისა და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილში. მასში განხილულია მჭერმეტყველება არა როგორც მხოლოდ ორატორული ოსტატობის გამოხატულება, არამედ როგორც კომპლექსურ ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და კულტუროლოგიური მექანიზმი, რომელიც ჩართულია ადამიანის კომუნიკაციურ, აზრობრივ და შემოქმედებით აქტში. ტექსტის თეორიული ჩარჩო აგებულია ენის, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთმიმართების ტრიადულ მოდელზე, სადაც მჭერმეტყველება წარმოჩენილია როგორც აზრის რეფლექსიური, სოციალური და ემოციური გამოხატულება ენობრივი ფორმების მეშვეობით.

ნაშრომში ხაზგასმულია ენობრივი აქტის (Speech Act) თეორიის მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს, რომ ენა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემის საშუალება კი არაა, არამედ მოქმედების შესრულების ინსტრუმენტი. შესაბამისად, მჭერმეტყველება განიმარტება როგორც ცოცხალი, დროით და სიტუაციურად შეზღუდული მეტყველებითი პროცესის შემოქმედებითი ფორმა, რომელიც აერთიანებს გრამატიკულად სწორს, ემოციურად დატვირთულსა და სტილისტიკურად მრავალშრიან გამონათქვამებს.

ამგვარი მჭერმეტყველების მაგალითებად მოყვანილია როგორც კლასიკური რიტორიკული კომპონენტები (ტროპები, რიტორიკული ფიგურები, ბგერითი კეთილხმოვანება), ისე თანამედროვე კომუნიკაციის მახასიათებლები, მათ შორის არავერბალური ელემენტები (მიმიკა, ქესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ტემპი და ა.შ.). ამ კონტექსტში მჭერმეტყველება განიხილება როგორც ცოცხალი ზეპირმეტყველების დინამიკური ფორმა, რომელიც მკითხველის/მსმენელის რეაქციაზე ორიენტირებული და ურთიერთგაგების აქტიურ პასაჟად გარდაიქმნება.

ხაზგასმულია ნიკოლოზ კანდელაკის როლი ქართული მჭერმეტყველების მეცნიერულ შესწავლაში, რომელმაც მჭერმეტყველება აღიარა როგორც ეროვნული ზეპირსიტყვიერების, კულტურული თვითშეგნების და მეტყველებითი რეპრეზენტაციის ორგანული ელემენტი. კანდელაკის მიერ სისტემატიზებული ისტორიული წყაროების საფუძველზე მჭერმეტყველება წარმოჩენილია როგორც ქართული იდენტობის ენობრივი და კულტურული მატარებელი.


სტატიის ბოლოს ანალიტიკურად განხილულია ზურაბ გორგილაძის პოემური ლექსი „მეთევზე ბიჭის ბაღადა“, როგორც მჭერმეტყველების ფსიქო-ემოციური პოეტური გამოხატულება. ლექსის სიუჟეტური, მეტაფორული და რიტმულ-ბგერითი სტრუქტურა შეფასებულია როგორც დისკურსის და სტილისტიკური მჭერმეტყველების ნიმუში. პოეტური ტექსტი მაგალითად მოყვანილია იმის საჩვენებლად, თუ როგორ გადმოიცემა სიღრმისეული ემოციური გამოცდილება და ადამიანური გრძნობები მჭერმეტყველებითი სისტემის კომპონენტებით.

საკვანძო სიტყვები: დისკურსული მჭერმეტყველება, ფსიქოლინგვისტიკა, ენა და აზროვნება, ზეპირმეტყველება, რიტორიკული ფიგურები, ფსიქო-ემოციური მეტყველება.

ადამიანი მოსაუბრე ინდივიდია - ირგვლივ არსებულ მოვლენებს იგი აღიქვამს, შეიმეცნებს, აზრობრივად ჩამოაყალიბებს/გაიაზრებს და იტყვის. ეს პროცესი ფარული, თვალთ უხლავია (იმპლიციტური) და მუდავნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსაუბრე, როგორც შემქმნელი, მომწოდებელი, ყველას გასაგონად იტყვის.

რომელი პარამეტრებია ამ პროცესში ჩართული?

1. უპირველეს ყოვლისა თვით მოსაუბრე, შემქმნელ-მომწოდებელი, ანუ ინდივიდი და მის მიერ აზრობრივი შემოქმედების ენობრივი გამოხატვა.



ყოველივე ეს კომუნიკაციის საწინდარია, მაგრამ კომუნიკაციას სტანდარტული ჩარჩოები არ გააჩნია, რადგან ის მოსაუბრე-კომუნიკანტის შესატყვისია: ვინ ლაპარაკობს, რომელი ეროვნების ადამიანი? მისი საუბარი მისივე ფსიქიკური ფაქტორის განზოგადებული სახეა [Rainer Dietrich, 2002: Psycholinguistik]. გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835) ენის ბუნების შესახებ ამბობდა, რომ ყოველ ერს თავისი გარემოებები აქვს, თავისი საბინადრო ადგილი, კლიმატი, რელიგია სახელმწიფოებრივი წყობა, ზნე-ჩვეულებები... ამის გამო მისი ენა განსხვავებული ბუნებისაა [...], ენაში გამოჭედილია ერის მთელი ხასიათი, იგი ხალხთა შორის ურთიერთგაგებინების მეთაურია.... ყოველი ენა ერის სულიერებაა...

2. პარამეტრთა შორის მხედველობაშია მისაღები ასევე სოციალური გარემო: საუბრის დრო, ადგილი, სიტუაცია, რომელშიც დისკუსია მიმდინარეობს. XX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკელმა ი. ლ. ოსტინმა და მისმა მოწაფემ ჯონ როჯერ სერლმა (J.L. Austin/ John Rogers Searel) ენათმეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით შექმნეს „საუბრის აქტის თეორია“ (Speech Act Theory), ენობრივი ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ენა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემის საშუალება არ არის, არამედ მას შეუძლია მოქმედების შესრულება — ანუ სიტყვებით ადამიანები არამხოლოდ რაღაცას ამბობენ, არამედ რაღაცას აკეთებენ. საუბარი, როგორც კომუნიკაციის ენობრივი შემოქმედება, წინადადების მარტო გრამატიკულად და შინაარსობრივად სწორი წარმოთქმა კი არ არის, არამედ მთლიანი აზრის გამონათქვამის სახით ჩამოყალიბებული ერთეულია. ამ ერთეულს

მრავალი თანმხლები მოვლენა და ფუნქცია ქმნის, რამაც საბოლოოდ სწორად ფორმულიერებული აზრი უნდა მოგვეცეს და ამავე დროს მისი სწორი გაგებაც უნდა განაპირობოს [Hannapel/ Melenz, 1984: Alltagssprache. München]. დისკუსიის პროცესში ეს განსაკუთრებით საჭიროა, რადგან სადისკუსიო მსჯელობა მოითხოვს, წარმოთქმული აზრი ფასეული იყოს, ამავე დროს, ქმედითი ძალის მქონე, მომგებიანი. [Ю.А. Сорокин 1985: Психолингвистические Аспекты изучения текста].

3. დისკუსია, როგორც საურთიერთობო კომუნიკაცია, დიალოგური მეტყველების სპეციფიკური ფორმაა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მკაცრად საქმიანი, არგუმენტირებული ვარიანტი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლოგიკურად გამართულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მოსაზრებებს. დისკუსია გამოიყენება როგორც ცოდნის გადაცემისა და გაზიარების ეფექტიანი საშუალება, ასევე კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. დისკუსიაში მონაწილე ინდივიდები/პარტნიორები დამაკმაყოფილებლად, უმჯობესია, კარგად, ფლობდნენ სადისკუსიო მასალას. საკითხის მსჯელობა-განსჯა სერიოზული პოზიციის ამსახველი უნდა იყოს, როგორც დისკუსიის თემატიკის, ისე დისკუსიაში მონაწილე პარტნიორთა მიმართ.

ტრიბუნაზე გამოსვლის დროს ადვილია ასცდე საქმის ვითარებას და გეზი აიღო ან სულაც შემოიფარგლო ოპონენტთა გაკრიტიკებით ან პროპონენტებით (Proponenten - მოძვ. მოთხოვნათა წამომყენებლები. Opponenten und Proponenten). ასეთ შემთხვევაში დისკუსია თავის არსებით სახეს და პოზიციას კარგავს და უბრალო საუბრად იქცევა [Th. Lewandowski. Linguistisches Wörterbuch, 1994 by Quelle & Meyer Verlag. haidelberg. Wiesbaden:231]

მაშასადამე, დისკუსიას თავისი გამოკვეთილი სტატუსი, მიზანი და შედეგი აქვს. ამავე დროს, დისკუსიური სიტუაცია და მონაწილე პარტნიორთა ფაქტორი (იგულისხმება ცოდნის დონე) შესაბამისობაში უნდა იყოს სადისკუსიო პრობლემასთან.

4. ლუდვიგ ვიტგენშტაინი/Wittgenstein (1889-1951), ავსტრიელი ფილოსოფოსი, ამბობდა: „თუ გინდა იცოდე რას ნიშნავს სიტყვა, უნდა დააკვირდე მის გამოყენებას [Ludwig Joseph Johann Wittgenstein. 1889-1951. Hauptwerk: Tractatus Logico-philosophicus 1921]. დისკუსიის მეცნიერულ განსჯაში მრავალი პროცესი მონაწილეობს: ენათმეცნიერება, ლოგიკა და ფსიქოლოგია (ინდივიდის/ხალხის ფსიქიკური სპეციფიკა) - ის ფარული გონითი, აზრობრივი შემოქმედებაა (კოგნიცია), რაც აზრობრივი მნიშვნელობის სწორი ფორმირებისა და გაგების საწინდარია.

სახეზეა მეორე ტრიადა:




დისკუსიაში მონაწილემ უნდა შეძლოს თავისი სიტყვით სადისკუსიო მოვლენების ენობრივად ზუსტად აღწერა/დახასიათება/შეფასება. სიტყვას, წინადადებას არა მხოლოდ მნიშვნელობა

აქვს, არამედ აქვს უდიდესი ცნებითი დატვირთვა: ენობრივ მნიშვნელობასთან ერთად ყოველივე განპირობებულია არსებული ფსიქოლოგიური თუ ყოფითი, სოციალური ფაქტორებით. ეს ადამიანის აზრობრივი და ენობრივი შემოქმედების საზღვრებს აფართოებს და წინა პლანზე გამოდის მჭერმეტყველება.

5. მჭერმეტყველება ფსიქოლინგვისტური პროცესია, იგი ადამიანის შემეცნების, აზროვნების, გაცნობიერების ფარული, უხილავი მოვლენაა, ადამიანის ფსიქიკის შემოქმედებითი ნაყოფი, ფსიქოლინგვისტიკის კვლევის საგანი, რომელშიც შედის მოვლენათა ასეთი მარტივი ჩამონათვალი:

- სიტყვათა მარაგის ცოდნა;
- ცოდნა იმისა, ენაში სად, რომელმა სიტყვამ, რომელ სხვა სიტყვასთან კომბინაციით შეიძლება ზუსტად და მიგნებულად გამოხატოს სათქმელი;
- გრამატიკული კომბინატორიკის ცოდნა. დედაენაზე მოსაუბრისათვის ეს ადვილია, იგი თამამად იყენებს თავისი ენის გამომსახველობით საშუალებებს. უცხოელთათვის კი ის სირთულეებთან და ბარიერებთან არის დაკავშირებული. ენის სისტემის ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად, მესამე ტრიადას გვაძლევს:



ამ ტრიადაში შემავალი ფაქტორების საკითხი მეტად რთულია და დღემდე გადაუჭრელი და სადავო რჩება მეცნიერთათვის.

The sacrifices of martyrs and selfless individuals have significantly contributed to strengthening Iran's international influence and improving its foreign relations at both regional and global levels. These relationships, built with wisdom and strategic planning, have helped spread the culture of self-sacrifice and bravery while promoting peace and justice in the world. From the Leader's viewpoint: "Today, thanks to the blood of martyrs and the sacrifices of veterans, the Iranian nation has reached a level of influence that has made the world's media, global public opinion, and various governments eager to establish friendly relations

with Iran. This dignity has reached a point where they have repeatedly apologized for their past mistakes against Iran. The Islamic Republic of Iran is in such a position now. Before the revolution, Iran's relations with other countries were such that they did not value Iran in the global system." The desire for dignity is one of the key factors in strengthening international influence. This element has played a significant role in reshaping the global power structure and further solidifying Iran's geopolitical position. The Leader's stance on this matter is a model for the world, contributing to the formation of new Islamic civilization.

Conclusion: Civilization is a combination of moral and material factors that provide society with the opportunity to support the growth of every individual at each stage of life, from childhood to old age. In the current historical context, establishing a new Islamic civilization is an inevitable necessity. Failure to achieve this will lead to the decline of Islamic civilization within the framework of Western civilization. Furthermore, ensuring the prosperity of human society is only possible through the creation of an Islamic civilization.

The formation of Islamic civilization is the most significant goal of the Islamic Revolution. The Supreme Leader has outlined the process of achieving this goal in five essential stages: "Islamic Revolution," "Islamic System," "Islamic Government," "Islamic Nation," and finally "Islamic Civilization." He has also emphasized this in the Second Step Statement of the Revolution, considering its realization possible due to the high level of awareness among the Iranian nation, which is the result of forty years of experience defending the revolution under difficult conditions.

In this regard, many thinkers in the field of Islamic culture and civilization history, as well as cultural and political sociologists, agree that one of the most influential factors in shaping social and political developments, and thus preparing the Muslim community to establish Islamic civilization over the past centuries, has been the promotion of the doctrine of self-sacrifice and martyrdom. The culture of self-sacrifice and martyrdom carries significant and profound impacts, both directly and indirectly, on today's society.

Self-sacrifice and martyrdom are among the richest treasures of Islamic and Shiite culture, which manifested in remarkable ways during the years of the revolution and the Sacred Defense, showcasing extraordinary scenes of human sacrifice. Therefore, it is essential to pay attention to and promote this culture in society, especially among the younger generation, while observing its positive effects and functions in the community.

The culture of self-sacrifice and martyrdom has brought great achievements to the country on national, regional, and international levels. The continuation of the historical doctrine of courage and martyrdom has become the most genuine movement in the history of the revolution to preserve Islamic civilization. Elements such as seeking dignity, pursuing truth, sincerity in achieving divine goals, independence from foreign powers, and jihad to counter conspiracies are among the effective strategies of the culture of self-sacrifice and martyrdom in establishing a new Islamic civilization.

Suggestions

Among the proposals that can introduce the strategies of the doctrine of self-sacrifice and martyrdom and utilize these elements in the development of a new Islamic civilization are as follows:

1. Introducing the diverse capacities of the doctrine of self-sacrifice and martyrdom to the younger generation through the education system.
2. Identifying the challenges and obstacles in promoting the culture of self-sacrifice and martyrdom and formulating strategies to address them.

References:

1. Holy Quran
2. Ahmadi, Mohammad Mehdi. (2009). "History of Islamic Culture and Civilization". Qom: Bustan-e-Ketab.
3. Andisheh, Hashem. (2017). "The Impact of the Culture of Self-Sacrifice and Martyrdom on Islamic Culture and Civilization". Fourth National Conference on New Studies and Research in the Field of Educational and Psychological Sciences in Iran, Qom.
4. Arefi Goravan, Esmail. (2018). "Foundations for the Realization of new Islamic Civilization in Islamic Society from the Perspective of the Supreme Leader". 15th of Khordad Journal, Vol. 15, Issue 55, pp. 49-68.
5. Dehkhoda, Ali Akbar. (1998). "Dehkhoda Dictionary". Tehran: University of Tehran.
6. Durant, Will. (1991). "The History of Civilization". Translated by Hamid Enayat and others. Islamic Revolution Education, Tehran.

7. Ezzati, Amir Hassan; Torabi, Mohsen; Chahardoli, Abbas. (2019). "Components of new Islamic Civilization and the Requirements for Its Formation and Outcomes Based on the Statements of the Supreme Leader". *Islamic Management Journal*, Vol. 28, Issue 1.
8. Gholami, Abdollah & Moradi, Noushin. (2020). "Insight and Its Role in Realizing new Islamic Civilization". *National Conference on Civilization-Building Components in the Statement of the Second Step of the Revolution*, Al-Mustafa International University, Khorasan Branch.
9. Ghahremani, Mohammad; Asheghi, Hassan; Mehdioun, Rouhollah. (2009). "Globalization, Culture, and Educational Planning". *Cultural Engineering Monthly*, Vol. 4, Issues 33-34.
10. Ghyasvand, Ahmad & Dehkordian, Parisa. (2009). "A Study of Young People's Attitude toward the Performance of Veterans". *National Studies Quarterly*, Vol. 10, Issue 1, pp. 31-47.
11. Goudarzi, Gholamreza. (2015). "Modeling the Characteristics of Human Resources for the Realization of a Preparatory Civilization: A Soft Systems Methodology Approach". *Sharq-e-Mou'oud Quarterly*, Vol. 9, Issue 34, pp. 39-68.
12. Hamidi, Saeed. (2023). "Achievements of the Culture of Self-Sacrifice and Martyrdom in the Development of new Islamic Civilization from the Perspective of the Supreme Leader". *First National Conference on Promoting the Culture of Self-Sacrifice and Martyrdom*, Shiraz.
13. Hamidi, Saeed. (2024). "Analysis of Social and Political Strategies of the Culture of Self-Sacrifice and Martyrdom in the Development of new Islamic Civilization (Based on the Statements of the Supreme Leader)". *Social and Cultural Studies of the Seminary*, Vol. 7, Issue 1, pp. 22-40.
14. Ibn Manzur, Muhammad ibn Makram. (1405 AH). "Lisan al-Arab". Qom: Adab al-Hawzah Publications.
15. Jamali, Mostafa. (2015). "Continuation of the Revolution with Which Discourse?" Qom: New Islamic Civilization Publications.
16. Jahanbin, Farzad & Moeini Pour, Masoud. (2014). "The Process of Realizing Islamic Civilization from the Perspective of Ayatollah Khamenei". *Islamic Revolution Studies Journal*, Issue 39.
17. Juradi, Sheikh Shafiq. (2013). "Monotheistic Perspective and Civilizational Values". In *Collected Articles on Ijtihad and Intellectual Innovation from the Perspective of Ayatollah Khamenei*. Tehran: Soroush Publications.
18. Khamenei, Seyyed Ali. (2013). "Speech in a Meeting with a Group of Elite Seminary and University Women".
19. Moein, Mohammad. (1986). "Moein Dictionary". Amir Kabir Publications, Tehran.
20. Speeches of the Supreme Leader from the years 1990, 1991, 1992, 2001, 2008, 2009, 2011, and 2013. Retrieved from www.khamenei.ir.
21. Taherzadeh, Asghar. (2010). "Shiite Civilization-Building". Isfahan: Lab al-Mizan Publications.
22. Talashan, Hassan. (2020). "Political Requirements for the Realization of new Islamic Civilization". *Scientific Journal of Islamic Civilization and Religion Studies*, Vol. 2, Issue 6.
23. Tarighi, Naser & Samadi, Mehran. (2016). "A Study of the Relationship between the Media Consumption of the Younger Generation and Their Attitude toward the Culture of Self-Sacrifice and Martyrdom". *Sociology Studies*, Vol. 8, Issue 32.
24. Yaghouti, Ebrahim. (2019). "Components and Strategies for Achieving new Islamic Civilization in the Thoughts of Imam Khomeini (RA) and the Supreme Leader (May God Protect Him)". *Shahid Andisheh Journal*, Issue 1, pp. 108-137.

Reciewer: Gubaz Sanikidze

ფილოსოფია Philosophy

მეტაფორა როგორც ხელოვნების ენა

ნანა გულიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველოe-mail: nana.guliashvili@tsu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.17>

SJIF 2025: 8.584

იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს ხელოვნების ქმნილებასთან ურთიერთობა, მას უნდა ესმოდეს მისი საზრისი. საზრისის გაგება კი გულისხმობს ამ ენის, ნიშნების, სიმბოლოების, ფორმების ცოდნას, რაშიც იგი იგულისხმება.

ხელოვნების ბუნებისა თუ არსის გასაგებად, ხშირად მიმართავენ ისეთ სემიოტიკურ კონცეპტს (ცნებას) როგორიცაა მეტაფორა.

ხშირად ხელოვნებას მიიჩნევენ თავად ერთ დიდ მეტაფორად. მეტაფორის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი ინტენსიური შესწავლა დაიწყო უკანასკნელი ორი ათეული წლის წინ. მეტაფორის გამოყენების სფერო ძალიან ფართოა, ის გვხვდება ადამიანთა კომუნიკაციის თითქმის ყოველ სახეში, ამბობენ რომ მეტაფორები ყრუ-მუნჯთა საუბრებშიც კი გამოიყენება.

მეტაფორის შემთხვევაში გვაქვს ემოცია. მას შემდეგ რაც კი მთლიანი მითოსური ცნობიერება დანაწევრდა თეორიულ, პოლიტიკურ, ეთიკურ, ესთეტიკურ, რელიგიურ სფეროებად, თითქოს მეტაფორული აზროვნების ადგილი აღარ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ (ესთეტიკა - ხელოვნება) აღმოჩნდა ის სფერო, რომელმაც მეტაფორა ხელოვნების ენის მთავარ იარაღად აქცია.

მითოსური ცნობიერების ადამიანს ეჭვი არ შეჰქონდა თავისა და სამყაროს ერთიანობაში და მას მართლაც მიაჩნდა, რომ საგნები და მოვლენები ადამიანური თვისებების მატარებელია. ანუ მითოსში ნიშანი და აღსანიშნი ერთმანეთს ემთხვეოდა, მაშინ როცა ხელოვნებამ მეტაფორული ენა თავის მხატვრული ქსოვილის ძირითად ელემენტად აქცია, მხოლოდ ერთი პირობით, ნიშანი არ ემთხვევა აღსანიშნს. რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვანს, განსხვავებით მითოსური ადამიანისაგან, არ მიაჩნია, რომ მისი თვისებები და სამყაროს, საგნების თვისებები, იდენტურია, რომ არსებობს განსხვავება ადამიანსა და სამყაროს მოვლენებს შორის, თუმცა დისტანცირებულად მეტაფორის გამოყენებით ხაზს უსვამს მისი ბუნების პირობითობას. მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი სინკრეტულობა, განპირობებული იყო

მეტაფორული აზროვნებით, რაც შენარჩუნებულ იქნა გარკვეული მეტამორფოზებით ხელოვნებაში.

საკვანძო სიტყვები: მეტაფორა, ხელოვნების ენა, მითოსი

ხელოვნების ენა, ბუნებრივისგან განსხვავებით, ზედმიწევნით გრძნობად კონკრეტულია. იგი ზემოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე, უფრო ღრმად თუ ჩავწვდებით, აღმოვაჩენთ, რომ ცნობიერებაზე თვით ესთეტიკური ღირებულება ზემოქმედებს. ხელოვნება შეიძლება განხილული იქნას როგორც თავისებური ენა. იგი სხვა ხელოვნურ ენებთან შედარებით ყველაზე უფრო მეტად ამჟღავნებს ბუნებრივი ენის თვისებებთან სიახლოვეს. მაგალითად, მეცნიერების ენაც ხელოვნური ენაა, მაგრამ მისი ბუნება წმინდად სიმბოლურია, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მხოლოდ ნიშანთა სისტემაა და არ შეიცავს მსოფლმხედველობრივ და მსოფლგანცდით შინაარსს, ამდენად, ბუნებრივი ენის ანალოგიით ხელოვნებას, როგორც ადამიანის საქმიანობის სპეციფიკურ ფორმას შეიძლება ვუწოდოთ ენა. ხელოვნების ენა არის ფორმების, სიმბოლოების ნიშნების და სხვა სემიოტიკური კონცეპტების ერთობლიობა. იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს ხელოვნების ქმნილებასთან ურთიერთობა, მას უნდა ესმოდეს მისი საზრისი. საზრისის გაგება კი გულისხმობს ამ ენის, ნიშნების, სიმბოლოების, ფორმების ცოდნას, რაშიც იგი იგულისხმება. წარმოდგენილ ნაშრომში კი ვისაუბრებთ ხელოვნების ენად აღიარებულ სემიოტიკურ ცნებაზე.

ხელოვნების ბუნებისა თუ არსის გასაგებად, ხშირად მიმართავენ ისეთ სემიოტიკურ კონცეპტს (ცნებას) როგორიცაა მეტაფორა. ხშირად ხელოვნებას მიიჩნევენ თავად ერთ დიდ მეტაფორად. მეტაფორის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი ინტენსიური შესწავლა დაიწყო უკანასკნელი ორი ათეული წლის წინ. მეტაფორის გამოყენების სფერო ძალიან ფართოა, ის გვხვდება ადამიანთა კომუნიკაციის თითქმის ყოველ სახეში, ამბობენ რომ მეტაფორები ყრუმუნჯთა საუბრებშიც კი გამოიყენება. გავარკვიოთ, როგორ გამოიყენებდა მეცნიერული აზროვნება მეტაფორას, ან კიდევ რა დამოკიდებულება ჰქონდა მეცნიერებას მეტაფორისადმი. რაციონალურად მოაზროვნე მეცნიერები უარყოფდნენ მეცნიერულ აზროვნებაში მეტაფორის გამოყენებას, მაგალითად, ჰობსი ამბობს: „*მეტაფორა განსხვავებით ცნებისაგან აბუნდოვანებს და ართულებს შემეცნებას.*“

ამდენად, ჰობსი მეტაფორის შემოტანას რაციონალურ აზროვნებაში, არა მხოლოდ შეცდომად, დანაშაულადაც კი მიიჩნევს.

განსხვავებულ პოზიციაზე დგას ე.წ. რომანტიკულად განწყობილი ფილოსოფოსები, მაგ: ნიცშე და მისი მიმდევრები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ყოფიერების ისეთი სფეროები როგორიცაა: სიცოცხლე, ხელოვნება, შემოქმედება, თავისუფლება. არ ეურჩება ლოგიკურ განხილვას და ჭეშმარიტების წვდომის გზა ამ შემთხვევაში, მხოლოდ მეტაფორული აზროვნება შეიძლება იყოს. ამის საუკეთესო დემონსტრირებაა ნიცშეს ძირითადი ნაშრომი „ასე იტყოდა ზარათუსტრა“, რომელიც ტრადიციულ-ფილოსოფიური ტრაქტატებისგან განსხვავებით მხატვრული ენის-მეტაფორის მატარებელია. ხელოვნებას კი რაც შეეხება, როგორც აღვნიშნე მის ბუნებას ხშირად მეტაფორის ბუნებასთან აიგივებენ. უფრო მეტიც, ხშირად აღვნიშნავთ, რომ ხელოვნება წარმოუდგენელია მეტაფორის და სხვა სემიოტიკური ნიშნების გარეშე. როცა მეტაფორაზე ვსაუბრობთ, არ იგულისხმება მხოლოდ მისი ლიტერატურათმცოდ-ნეობითი

მნიშვნელობით. მის შინაარსში მოიაზრება საკუთრივ მეტაფორა, ლიტერატურული მნიშვნელობით, შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა ...

ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა ი გასეტი ამბობს ერთ საინტერესო მეტაფორას: **„როგორც დაბნეულ ქირურგს ჩარჩება ხოლმე ადამიანის სხეულში სამედიცინო იარაღი, ასევე ჩარჩა შემოქმედს (ღმერთს) ადამიანის სულში მეტაფორაო.“**

ეს ფრაზა მოითხოვს თემატურ განვრცობას. ეს კი გაგვცემს პასუხს კითხვაზე, როდიდან ჩარჩა ღმერთს ეს ინსტრუმენტი ადამიანის სულში? ანუ სად წარმოიშვა და რატომ წარმოიშვა მეტაფორული აზროვნება და რატომ არის დღემდე ადამიანთა ურთიერთგაგების შეუცვლელი ინსტრუმენტი.

მეტაფორის წარმოშობა უნდა ვეძიოთ მითოსურ ცნობიერებაში.

მითოსური ცნობიერება ხასიათდება მთლიანობით, სინკრეტულობით. რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ არ არის გამოყოფილი ცნობიერებაში თეორიული, პოლიტიკური, რელიგიური სფეროები, ეს კი ნიშნავს, რომ მითოსური ადამიანის მიმართება სინამდვილისადმი, მისი ცნობიერება მთლიანი და დაუნაწევრებელია. მითოსური ცნობიერების უმთავრესი მახასიათებელია გრძნობადი უქველობა, ანუ საგნის ნამდვილობა. გრძნობაში (შეგრძნებებში) მოცემულობით განისაზღვრებოდა: მაგ. შეგრძნებებში მოგვეცემა, რომ (მზე ამოდის და ჩადის), მაგრამ რეალურად მზე არც ამოდის და არც ჩადის, არამედ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. ეს მეცნიერებმა გვიან დაადგინეს. გრძნობადი უქველობა თავის მხრივ ემყარებოდა სინამდვილის ანთროპულ ხედვას. (ანთროპოს - ადამიანი, მორფოს - დანაწევრებას) როგორც თვითონ ჰქონდა დანაწევრებული. ადამიანი თავის თავს სამყაროსგან არ გამოყოფდა, არ განიცდიდა თავის თავის უპირატესობას სამყაროსთან. (წარმოიდგენდა როგორც ერთ მთლიანს). ამდენად მას საკუთარი თვისებები გადაჰქონდა საგნებსა და მოვლენებზე. თვითონ უხაროდა და საკუთარ სიხარულს მიაწერდა (მზე - იცინის. თვითონ გრძნობდა გულის ძგერას, და ქვასაც გული ჰქონდა...). მტრობდა, - მტრობა მიეწერებოდა სამყაროს. უყვარდა, - სიყვარული მიეწერებოდა სამყაროს.

მაშასადამე, მეტაფორა ყოფილა თავისი წარმოშობის დროიდან დღემდე ემოციურად ნაცნობი საშუალებით, უცნობის გაგების ინსტრუმენტი, მაგ:

„შორს მოსჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა,

საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა.“

ასეთი შემოკლებული აზრი და ახსნა აქვს მეტაფორას, რომელიც ემოციურად გაგვაგებინებს მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელსაც მოუწევდა ახსნა, რომ ზღვის დონიდან რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე არის გაშენებული სოფელი განსაკუთრებული არქიტექტურის აღწერით, და ა.შ. ეს კი იქნებოდა საკმაოდ ვრცელი დასაბუთებული ახსნა. მეტაფორის შემთხვევაში კი გვაქვს ემოცია. მას შემდეგ რაც კი მთლიანი მითოსური ცნობიერება დანაწევრდა თეორიულ, პოლიტიკურ, ეთიკურ, ესთეტიკურ, რელიგიურ სფეროებად, თითქოს მეტაფორული აზროვნების ადგილი აღარ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ (ესთეტიკა - ხელოვნება) აღმოჩნდა ის სფერო, რომელმაც მეტაფორა ხელოვნების ენის მთავარ იარაღად აქცია. აქ ერთი განსხვავებაა მითოსური ცნობიერებისაგან.

მითოსური ცნობიერების ადამიანს ეჭვი არ შეჰქონდა თავისა და სამყაროს ერთიანობაში და მას მართლაც მიაჩნდა, რომ საგნები და მოვლენები ადამიანური თვისებების მატარებელია. ანუ მითოსში ნიშანი და აღსანიშნი ერთმანეთს ემთხვეოდა, მაშინ როცა ხელოვნებამ მეტაფორული ენა თავის მხატვრული ქსოვილის ძირითად ელემენტად აქცია, მხოლოდ ერთი

პირობით, ნიშანი არ ემთხვევა აღსანიშნს. რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვანს განსხვავებით მითოსური ადამიანისაგან არ მიაჩნია, რომ მისი თვისებები და სამყაროს, საგნების თვისებები, იდენტურია, რომ არსებობს განსხვავება ადამიანსა და სამყაროს მოვლენებს შორის, თუმცა დისტანცირებულად მეტაფორის გამოყენებით ხაზს უსვამს მისი ბუნების პირობითობას.

ამ მსჯელობებიდან გამომდინარე შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა, რატომ მოხდა ისე, რომ მხოლოდ ხელოვნებამ გამოიყენა, როგორც გასეტი იტყოდა (ადამიანის სულში ჩარჩენილი ეს ინსტრუმენტი) - მეტაფორა და როგორ შეიძლება მეტაფორის საშუალებით ავხსნათ ხელოვნების ბუნება. როგორც აღვნიშნეთ, მითოსური ცნობიერებისათვის დამახასიათებელი სინკრეტულობა, რაც განპირობებული იყო მეტაფორული აზროვნებით, შენარჩუნებულ იქნა გარკვეული მეტამორფოზებით ხელოვნებაში. ხელოვნება, მსგავსად მითოსური ცნობიერებისა, სინამდვილეს განიხილავს მთლიანობაში. არა როგორც მის რომელიმე ასპექტს, არამედ მის როგორც მრავალფეროვნებაში (საგანს მთლიანობაში).

მაგ: მეცნიერება არად დაგვიდევს კონკრეტული საგნის ფორმას, ფერს და ა.შ. ის მხოლოდ ზოგად პრინციპებს შეისწავლის. მისგან განსხვავებით ხელოვნება, ერთდროულად არის ერთეულში ზოგადის შემეცნება, შეფასება.

არ არსებობს, რომ ხელოვანი იმ სინამდვილეს, რომელსაც აღწერს, არ განიხილავდეს როგორც სისტემურ მთელს, რადგან ხელოვნება ერთდროულად წარმოადგენს: *პრაქტიკულ გარდაქმნას, შეფასებას, შემეცნებას და კომუნიკაციას*. ამ ფუნქციების ინტეგრირება ხელოვნებაში მეტაფორის მეშვეობით ხდება.

ლიტერატურა:

1. გულიაშვილი ნ. ხელოვნების ფილოსოფია, თბ. 2023წ. გამომც. „უნივერსალი“. გვ. 36-40;
2. ყულიჯანიშვილი ა. ესთეტიკა, თბ. 1006წ. გამომცემლობა „მერიდიანი“ გვ.78.
3. ხოსე ორტეგა ი გასეტი, ხელოვნების დეკუმანიზაცია, თბ. 1982წ.

Nana Guliashvili

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

e-mail:nana.guliashvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.17>

SJIF 2025: 8.584

Metaphor as a language of art

Abstract

In order for a person to be able to relate to a work of art, they must understand its meaning. Understanding the meaning implies knowledge of the language, signs, symbols, and forms in which it is implied.

To understand the nature or essence of art, one often resorts to a semiotic concept such as metaphor.

Art is often considered to be one big metaphor in itself. The study of metaphor has a long history, but its intensive study began in the last two decades.

The scope of metaphor is very broad, it is found in almost every form of human communication; it is said that metaphors are even used in the speech of the deaf and dumb. In the case of metaphor, we have emotion. Once the entire mythic consciousness has been fragmented into theoretical, political, ethical, aesthetic, religious spheres, It seemed like there should be no room for metaphorical thinking, but (aesthetics - art) turned out to be the field that made metaphor the main tool of the language of art. A person with a mythic consciousness had no doubt about the unity of himself and the world, and he truly believed that objects and events were carriers of human qualities. In other words, in myth, the sign and the signified coincided, while art made metaphorical language a basic element of its artistic fabric, with only one condition: the sign does not coincide with the signified. Which means that the artist, unlike the mythical man, does not believe that his properties and the properties of the world, of things, are identical, That there is a difference between man and the events of the world, although he uses a metaphor to emphasize the conditional nature of this. The syncretism characteristic of mythological consciousness was conditioned by metaphorical thinking, which was preserved through certain metamorphoses in art.

Key words: Metaaphor, language of art, mythic consciousness

რეცენზენტი: პროფესორი რობერტ კაიციუნი

პედაგოგიკა Pedagogic

თემთან თანამშრომლობის ასპექტები ადრეული და სკოლამდელი
განათლების სტანდარტის მიხედვით

იაგორ ბალანჩივაძე, მაკა აბულაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.gemaka.abuladze@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.18>

SJIF 2024: 8.268

სტატია ეხება ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის სტანდარტის ერთ-ერთი მუხლის - სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობა - მიხედვით ჩატარებულ კვლევას. ბავშვის განვითარებას ოჯახი და საგანმანათლებლო პერსონალი ერთობლივად უნდა უწყობდნენ ხელს. უმნიშვნელოვანესია ამ თვალსაზრისით საზოგადოების მონაწილეობაც. თემის წევრების, ადგილობრივი, ცენტრალური, სათემო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურების სერვისები პოზიტიურად აისახება ბავშვების განვითარებაზე, ოჯახების საჭიროებაზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ ოჯახში არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები. ბაღის მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია გადამწყვეტია ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ღია კომუნიკაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და ფსიქო-ემოციური კლიმატის გუმჯობესებას.

პრობლემის გასარკვევად 2024 წლის შემოდგომაზე ჩატარდა კვლევა თემაზე - „**თემთან თანამშრომლობის ასპექტები ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის მიხედვით**“. კვლევის მიზანია - წარმოაჩინოს ის არსებული გამოწვევები და საჭიროებები რომელიც ხელს უშლის ოჯახისა და თემის წარმომადგენლებს სრულფასოვნად ჩაერთონ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში. ჩატარდა 3 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია, 7 სიღრმისეული ინტერვიუ. თვისებრივ კვლევაში ჩართული იყო 25 რესპონდენტი. მათ შორის 21 ქალი, 4 კაცი.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილე მშობლებისგან მიღებული იქნა ინფორმაცია, რამდენად იცნობდნენ მშობლები ხარისხის სტანდარტის დოკუმენტს. მიღებული ინფორმაციით, ხარისხის სტანდარტის დოკუმენტის შესახებ მშობლებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია გააჩნდათ. მშობლებთან გამოიკვეთა მთელი რიგი საჭიროებები და გამოწვევები. ბაღის ცხოვრებაში ჩართვას მშობლები, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად დროის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ; გამოიკვეთა ასევე ურთიერთკომუნიკაციის პრობლემა საბავშვო ბაღსა და განვითარების ცენტრებს შორის. კვლევის დროს გამოიკითხა რეაბილიტაციის ცენტრის

სპეციალისტები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ბალებში დასაქმებული არაკვალიფიციური კადრების პრობლემა, რომლებმაც ძალიან ხშირად არ იციან, როგორ იმუშაონ რთული ქცევის ბავშვებთან.

საკვანძო სიტყვები. კომუნიკაცია, ურთიერთობა, თემის სერვისები, ოჯახი, პერსონალი, არსაზრდელი.

საქართველოში მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაცია, რომლიც სრულად დაფუძნებულია ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტზე, მათ შორის კურიკულუმის სტანდარტზე, რომლის შეცვლილი ვარიანტი დამტკიცდა 2023 წელს. კურიკულუმის სტანდარტის ერთ-ერთი მუხლი არის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობა.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მეთოდები მსოფლიოს მასშტაბით დინამიურად ვითარდება. შესაბამისად, სერვისის უფრო მაღალი სტანდარტებით მიწოდების კუთხით ბალებსა და აღსაზრდელების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოჯახის წევრების ჩართულობა ბავშვების განათლებაში, ეხმარება როგორც ბავშვებს, ისე - სააღმზრდელო დაწესებულებებს.

ერთი მხრივ, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები მუდმივად აკონტროლებენ ბავშვის განვითარებას, მეორე მხრივ - მათი უკუკავშირით, ბალებს შესაძლებლობა ეძლევათ, აღმოაჩინონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისში არსებული ხარვეზები და გააუმჯობესონ გარემო.

ბავშვის განვითარებას ოჯახი და საგანმანათლებლო პერსონალი ერთობლივად უნდა უწყობდნენ ხელს. უმნიშვნელოვანესია ამ თვალსაზრისით საზოგადოების მონაწილეობაც. თემის წევრების, ადგილობრივი, ცენტრალური, სათემო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურების სერვისები პოზიტიურად აისახება ბავშვების განვითარებაზე, ოჯახების საჭიროებაზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ ოჯახში არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები, ან მაღალია ოჯახის მოწყვლადობის ხარისხი; ან ბავშვის ინტერესების დამცველი დედა, მამა, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი არის გამოკვეთილი გენდერული როლის მატარებელი (მარტოხელა მშობელი, ქვრივი, ძალადობაგადატანილი ან ძალადობის რისკ-ჯგუფის წარმომადგენელი, მრავალშვილიანი, შშმ სტატუსის მქონე და ა.შ.).

ბავშვის პროგრესის, ან გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, მუდმივი კომუნიკაცია ეხმარება ორივე მხარეს, დროულად მიიღონ საჭირო ზომები. ბაღის მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია გადამწყვეტია ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ღია კომუნიკაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და ფსიქო-ემოციური კლიმატის გუმჯობესებას. საგანმანათლებლო პერსონალს უჩნდება შესაძლებლობა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ნებისმიერი ოჯახის გარემოება, რაც მნიშვნელოვანია ბავშვების მიმართ ინდივიდუალური მიდგომისთვის. მეორე მხრივ, მშობლები, რომლებსაც აქვთ დეტალური ინფორმაცია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შესახებ, მეტად შეძლებენ ჩაერთონ სახლში შვილების განვითარების პროცესში.

მათ უჩნდებათ იმის მოტივაცია, რომ გახდნენ მოხალისეები, იარონ შეხვედრებზე საგანმანათლებლო პერსონალთან, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობაში, დაგეგმონ და

განხორციელონ ღონისძიებები. ეს ყველაფერი ამდიდრებს საგანმანათლებლო პროცესს და, საბოლოო ჯამში, აძლიერებს როგორც ბავშვს, ისე - დაწესებულებას, მშობლებს, სერვისის მიმწოდებლებს, რომელთაც აქვთ სისტემატიური უკუკავშირი და რეკომენდაციები სერვისის გაუმჯობესებისთვის.

რა მდგომარეობა არის ამ მხრივ შესაბამის დაწესებულებებში? სწორედ ამის გასარკვევად 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა კვლევა - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის - კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ზეგავლენის შეფასება (GIA)“. კვლევის დამკვეთია ქალთა ფონდი „სოხუმი“. კვლევის სამუშაოები განხორციელდა ა(ა)იპი ბაღების გაერთიანებასთან შეთანხმებით და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ კვლევაში ჩართული ვიყავით, როგორც დარგის სპეციალისტი და მკვლევარი. ჩვენი საკვლევი თემა იყო სტანდარტის ერთ-ერთი მიმართულება - „თემთან თანამშრომლობის ასპექტები ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის მიხედვით“.

კვლევის მიზანია - წარმოაჩინოს ის არსებული გამოწვევები და საჭიროებები რომელიც ხელს უშლის ოჯახისა და თემის წარმომადგენლებს (მათ შორის დასაქმებულ, ემიგრანტ, შშმ და სსმ ბავშვის, ეთნიკური უმცირესობის მშობლებს) სრულფასოვნად ჩაერთონ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში და მოხდეს მათი საჭიროებების გათვალისწინება ნებისმიერი აქტივობისა თუ დაგეგმილი შეხვედრების პროცესში, მათ შორის სხვადასხვა სათემო სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხში.

მეთოდოლოგია - ჩატარდა 3 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია, 7 სიღრმისეული ინტერვიუ. თვისებრივ კვლევაში ჩართული იყო 25 რესპონდენტი. მათ შორის 21 ქალი, 4 კაცი. შესწავლილ იქნა სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები. **კვლევის სამიზნე ჯგუფი** - მშობლები, პედაგოგები, დარგის ექსპერტები, სერვისის მიმწოდებლები.

სსმ და შშმ ბავშვების ოჯახებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობა. კვლევის თემის შესაბამისად შერჩეულ რესპონდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილე მშობლებისგან მიღებული იქნა ინფორმაცია, რამდენად იცნობდნენ მშობლები ხარისხის სტანდარტის დოკუმენტს და ამ სტანდარტის მიმართულებას - ოჯახისა და თემის ჩართულობის აუცილებლობას.

მიღებული ინფორმაციით, ხარისხის სტანდარტის დოკუმენტის შესახებ მშობლებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია გააჩნდათ. მათმა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა ასეთი სტანდარტის არსებობა (კვლევის ფარგლებში, პარალელურად ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, 620 გამოკითხული მშობლიდან 61% აქვს ინფორმაცია სტანდარტის თაობაზე. 26 % ნაწილობრივ, ანუ აქვს მხოლოდ ფრაგმენტული ინფორმაცია, 13 % საერთოდ არ სმენია მსგავსი დოკუმენტის შესახებ. კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ბაღების მშობლები).

კვლევის მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას აქვს თავისი მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს დარგის ძირითად მახასიათებლებსა და მთელ რიგ საკითხებს. ბაღებისათვის სწორედ ეს არის ხარისხის სტანდარტის დოკუმენტი, რომლის ცოდნა და გააზრება, პირველ რიგში, ბაღის თანამშრომლებს ევალებათ, მათ მოვალეობაში შედის ამ დოკუმენტის მშობლებისათვის გაცნობაც.

გამოიკვეთა სფეროს წარმომადგენელთა პოზიცია, რესპონდენტების შეხედულებით, მშობლებს გარკვეული წარმოდგენა რომ შეექმნეთ ბაღზე, აუცილებელია მათ გააცნონ ბაღის მუშაობის სტრუქტურა.

მშობლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების დროს გამოიკვეთა მთელი რიგი საჭიროებები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან ისინი ბაღებთან უფრო აქტიური თანამშრომლობის კუთხით. ასევე მათ ისაუბრეს წარმატებულ პრაქტიკაზე, რომელიც აკავშირებდათ ბაღთან და ეს იყო სწორედ ის აქტივობები, რომლის დროსაც ისინი იყვნენ პროცესის აქტიური თანამონაწილენი.

დისკუსიებზე გამოიკვეთა, თუ რა ფაქტორები აფერხებს მშობელთა ჩართულობას და რატომ „იკავებენ“ თავს მშობლები უფრო აქტიური ჩართულობისგან: **მშობლების „მოუცლელობა“** - ბაღის ცხოვრებაში ჩართვას მშობლები, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად დროის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ, ეს სხვადასხვა ფაქტორიც შეიძლება იყოს განპირობებული მაგ: გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, ახლადშემძენილი უმცროსი შვილი, რომელიც ბევრ ყურადღებას საჭიროებს, ემიგრაციაში მყოფი მშობელი, ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვის განაწილების საჭიროება. ეს ის მიზეზებია, რომლებიც მშობლისგან ბევრ დროს მოითხოვს, შედეგად კი ეს დრო სწორედ „ბაღის ცხოვრებას“ აკლდება.

ბაღში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე მწირი ინფორმაცია - როდესაც მშობლებმა არ იციან, რა პროცესები მიმდინარეობს ბაღში, რას საქმიანობს აღმზრდელ პედაგოგი, რა სჭირდებათ მათ შვილებს და როგორი მიდგომა უფრო მნიშვნელოვანი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, ასეთ დროს, რა თქმა უნდა, რთულია იმის წარმოდგენა, რაში შეიძლება ჩაერთონ თავად, რაც აღნიშნეს ფოკუს-ჯგუფში.

ემიგრანტი მშობლები და მათი ჩართულობა - გამოიკვეთა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური და მგრძნობიარე თემა ბავშვებთან მიმართებაში, რაც ემიგრანტ მშობლებს (დედა, მამა, ბებია და ბაბუა) ეხებათ. ფოკუს-ჯგუფის მუშაობის პროცესში, ამ კითხვებიდან გამომდინარე, მშობლებს გაუჩნდათ მეტი ინიციატივა და ისაუბრეს, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალურ პლათფორმაზე გვერდის შექმნა და მეტი მშობლის ჩართულობისთვის გაქტიურება, პოპულარიზაცია იმ მამების, ბაბუების რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართული ბაღის ცხოვრებაში.

სათემო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა და თანამშრომლობა. კვლევის ინტერესს წარმოადგენდნენ ის სათემო პროვაიდერი ორგანიზაციები, რომლების მუშაობენ ბავშვთა ადრეული განვითარების მიმართულებით, სადაც ჩართულია საბავშვო ბაღის აღსაზრდელი შშმ და სსმ ბავშვების დიდი ნაწილი. ფოკუს-ჯგუფის წევრები იყვნენ სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე თერაპევტები (ქცევის, მეტყველების, ოკუპაციური თერაპევტი), მათ განსაკუთრებული აქცენტები გააკეთეს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რასაც მშობლებთან ეფექტური თანამშრომლობის გზით აღწევენ.

მათ ისაუბრეს წარმატებულ პრაქტიკაზე, როდესაც მშობელი ჩართულია იმ თერაპიებში, რომელსაც ბავშვი ესწრება ამ ცენტრში და მშობელი აგრძელებს ამ მიდგომებით მუშაობას ოჯახში, რასაც ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს ბავშვის განვითარების თვალსაზრისით.

სპეციალისტებმა ისაუბრეს ორივე მშობლის თანაბარ ჩართულობაზე, რაც ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. ცენტრში, ძირითადად, თერაპიებში და ზოგადად ბავშვის გარშემო მიმდინარე პროცესებში ჩართული არიან დედები, მამები ძირითადად პასიურობენ და ნაკლებად ერთვებიან ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე.

არის შემთხვევები, როდესაც მამებს სცხვენიათ სსმ შვილების და ერიდებიან სახალხოდ გამოსვლასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათთან ერთად წასვლას, რაც მართლაც ძალიან სამწუხაროა. პროცენტულად მშობლების ჩართულობის 80% დედებზე მოდის და 20% მამებზე.

გამოიკვეთა ასევე ურთიერთკომუნიკაციის პრობლემა საბავშვო ბაღსა და განვითარების ცენტრებს შორის. ითქვა, რომ ის ფორმატი, რაც არსებობს, დღეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სწორად იყოს მიწოდებული ინფორმაცია ბავშვის ადრეული განვითარების სერვისების შესახებ ბაღებსა და აღსაზრდელთა მშობლებზე.

სსმ და შშმ ბავშვების ოჯახებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოხდა ორივე სქესის მშობლის ინტერვიუება. რესპონდენტები - ბაგა-ბაღების აღსაზრდელის დედა და ადრეული განვითარების ცენტრის ბენეფიციარის მამა არა ერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხნენ. გამოიკვეთა საკმაოდ დიდი სხვაობა რეგიონსა და ქალაქს შორის სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ის, რაც ხელმისაწვდომია ქალაქში, დიდ პრობლემას წარმოადგენს პერიფერიაში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის. ამ სხვაობამ ნათლად გამოკვეთა, რომ ბავშვები ორივე შემთხვევაში ერთნაირად საჭიროებენ სპეციალისტის დახმარებას, მაგრამ ეს დახმარება ერთისთვის ხელმისაწვდომია, მეორესთვის კი ფუფუნებაა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, როგორც არის ბავშვთა უფლებები და ზოგადად მშობელთა ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით, ინტერვიუ ბაღების გაერთიანების ბავშვის უფლებათა დაცვის კოორდინატორთან უჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ, წელიწადში რამოდენიმეჯერ ტარდება უნივერსიტეტში არსებულ ბავშვთა უფლებების ცენტრში შეხვედრები მშობლებთან, პოზიტიურ მშობლობაზე, ბავშვთა უფლებებზე და ბუღინგზე, მაინც არ არის ეს შეხვედრები სკმარისი მშობელთა უკეთესი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. შესამუშავებელი და გასაწერია გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიმართულებით უკეთესი კომუნიკაციის დამყარება და ცნობიერების მეტად ამაღლება, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებული სტერეოტიპები უშლის ხელს მშობლებს, იყვნენ პოზიტიური და მხარდამჭერი მშობლები.

კვლევის მიზნების შესაბამისად, ჩატარდა ინტერვიუ მერიის ბავშვთა უფლებების სამსახურის ხელმძღვანელთან. რესპონდენტის აღნიშვნით, ის ამ სამსახურის შექმნამდე იყო სოციალური მუშაკი და მისი 5 წლიანი გამოცდილების მანძილზე, ვერც ერთ შემთხვევას ვერ გაიხსენებდა, რომ მოემართათ ბაღებს სოციალური სამსახურისთვის. ახლანდელ სამსახურშიც, რაიმე სახის ძალადობისა და სხვა ბავშვის უფლებების დარღვევის ინფორმაცია არ ჰქონიათ. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მან ასევე ვერ გაიხსენა ვერცერთი შემთხვევა, რომ მისული იყვნენ ბაღში და ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა. მსგავს კომუნიკაციას ბაღსა და ბავშვის უფლებათა დაცვის სამსახურს შორის ადგილი არ ჰქონია. მისი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობის და კომუნიკაციის გაცვლის უფრო მეტი პრაქტიკა და პერიოდული შეხვედრები.

ბავშვის მხარდამჭერ სპეციალისტებთან თანამშრომლობა და გამოვლენილი საჭიროებები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრის ქცევის თერაპევტთან, რომელმაც ისაუბრა მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით არსებულ პრობლემებზე, რომ მათაც აუცილებლად სჭირდებათ ფსიქო-ემოციური დახმარება, რადგან სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან კომუნიკაცია

განსაკუთრებულ სიფაქიზეს მოითხოვს და მშობელს დიდი ძალისხმევა სჭირდება არა მხოლოდ მასთან საკომუნიკაციოდ, არამედ სოციალურ თავისი როლის მისაღებად, რომელსაც უდავოა, თავისი სირთულეები გააჩნია. ინტერვიუერმა გამოიკვთა ბავშვში დასაქმებული არაკვალიფიციური კადრების პრობლემა, რომლებმაც ძალიან ხშირად არ იცოდნენ, როგორ იმუშაონ რთული ქცევის ბავშვებთან.

ლიტერატურა:

1. ადრეული და სკოლამდელი განათლება ხარისხის სახელმწიფო სტანდარტები 2023. საქართველო. თბილისი;
2. ბარქაია ც, ჯანელიძე ა, ჯიჯავაძე ნ. - ინკლუზიური განათლება (ნაწილი 1, 2, 3) გაეროს ბავშვთა ფონდი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2019წ.
3. გაეროს ბავშვთა ფონდი-პოზიტიური მშობლობა-2021წ.
4. დოლიძე ხ, ბაქრაძე თ, ჯიჯავაძე ნ. - "ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, ნაწილი I და II. თბილისი 2020წ.
5. ჯიჯავაძე ნ., კუხალაშვილი თ. - ადრეული სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი გაეროს ბავშვთა ფონდი 2019 წ.

Iagor Balanchivadze, Maka Abuladze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge

maka.abuladze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.18>

SJIF 2024: 8.268

Aspects of Community Engagement According to the Early Childhood and Preschool Education Standard

Abstract

The article refers to a study conducted according to one of the articles of the early childhood and preschool Educational Curriculum Standart – Family and Community Participation in the Educational Process. The family and educational personnel should jointly promote the development of the child. The participation of society is also crucial in this regard. Community participation is also crucial in this regard. Services provided by community members, local, central and community organizations have a positive impact on children's development and the needs of families. Especially if there are children with special needs in the family. Active communication with the kindergarten parents is crucial to ensuring the safety and well-being of the children. Open communication helps improve the learning process and psycho-emotional climate.

To clarify the problem, a study was conducted in the fall of 2024 on the topic – “Aspects of cooperation with the Community According to the Standard of Early and Preschool

Education”. The goal of the study is to highlight the existing challenges and needs that prevent family and community representatives from fully engaging in educational processes. 3 focus group discussions and 7 in-depth interviews were conducted. 25 respondents were involved in the qualitative research. Among them, 21 were women and 4 were men. Information was obtained from parents participating in the focus group discussion on the extent to which parent were familiar with the quality standard document. According to the information received, parents had very little information about the quality standard document.

A number of needs and challenges were identified with parents. Unfortunately, parents are unable to get involved in the life of the kindergarten, mostly due to lack of time; problems with communication between the kindergarten and development centers were also identified. During the research, specialists from the rehabilitation center were interviewed. During the interviews, the problem of unqualified staff employed in kindergartens was also identified, who very often do not know how to work with children with difficult behavior.

Key words: Communication, relationship, community services, family, staff, essential.

რეცენზენტი: პროფესორი ელენა ეკუმბეევა

პედაგოგიკა Pedagogic

განწყობის ფსიქოლოგიის საკითხები იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებში

იმერი ბასილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: imer.basiladze@atsu.edu.ge

ლელა თავდგირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: lela.tavdgiridze@bsu.edu.ge

ნინო ჭოხონელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.chokhonelidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.19>

SJIF 2024: 8.268

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის პედაგოგიური აზროვნების ნოვატორია. მისი პედაგოგიური კონცეფცია მთლიანად განწყობის ფსიქოლოგიის იდეაზეა დაფუძნებული. მის მიერ შექმნილი საბავშვო მოთხრობები თავისი შინაარსითა და აგების მეთოდოლოგიური სტრუქტურით განმავითრებელი სწავლების იდეას ემსახურება.

იაკობ გოგებაშვილმა თავის საბავშვო მოთხრობების შექმნისას აჩვენა მჭიდრო კავშირი დიდაქტიკის ამოცანებსა და სწავლის ფსიქოლოგიის ამოცანებს შორის. ჩვენი აზრით, მის საბავშვო ნაწარმოებებში ნაკლებად არის შესწავლილი სწავლა/სწავლების ფსიქოლოგია.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები გამოირჩევა მასალის სწორი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური შერჩევით. მისი შესწავლის პროცესში მოსწავლე ნამდვილად იღებს განწყობას და შეიგრძნობს მშობლიური ფესვების, სიტყვის ძალას, სამშობლოს სიყვარულსა და სწავლა/სწავლების მნიშვნელობას, მათი გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და პროფესიული აღზრდის კუთხით. „მოტივები, პიროვნების ნიშნები, „ღირებულებითი ორიენტაციები“ და ქცევის სხვა ცალკეული ფაქტორები გამოვლინებულ ქცევას უშუალოდ ერთმანეთისგან იზოლირებულად კი არ განსაზღვრავენ, არამედ ემორჩილებიან მთლიანობითი პიროვნების მარეგულირებელ მოდულს“ [უზნაძე 1949].

იაკობ გოგებაშვილმა, როგორც ქართული ენის საუკეთესო მცოდნე, დიდი ოსტატობითა და ნიჭით მოარგო მისი ეპოქის თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები და მეთოდები ქართული ენისა და სიტყვიერების არსებულ რესურსებს. წარმოუდგენლად დიდი შრომა ჩადო ორიგინალურ ენაზე არსებული სასწავლო მასალების შეკრება-ადაპტირებაში, ახალი ლიტერატურის შექმნაში. მისმა ნააზრევმა პედაგოგიკაში დროს გაუსწრეს და თანამედროვე გადმოსახედიდან ის შეიძლება ჩაითვალოს მომავლის ნაშრომად, შესაბამისად პედაგოგიურად

და ფსიქოლოგიურად სწორად წარმართული რედაქციით. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური შემოქმედება ფსიქოლოგიური ასპექტებით არის გაჟღერებული. იგი ბავშვს მყარად აკავშირებს ქართულ ფესვებთან და მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე მის იდენტობას განსაზღვრავს. რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დიდი პედაგოგი იყო ბავშვის ფსიქოლოგიის უბადლო მცოდნე.

საკვანძო სიტყვები: განწყობა, მოტივაცია, განმავითარებელი სწავლება, მოთხოვნების დაკმაყოფილება, პედაგოგიკური კონცეფცია.

გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხოვნები თავისი მინაარსითა და აგების მეთოდოლოგიური სტრუქტურით განმავითარებელი სწავლების იდეას ემსახურება და გამყარებულია ფსიქოლოგიური ცოდნით.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ფსიქოლოგი ფართო თემაა. ის ჩვენი აზრით, თავის მკვლევარს ელოდება. ჩვენ რამდენიმე საკითხს შევხებით, რომელიც ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს იაკობ გოგებაშვილს, როგორც ფსიქოლოგს. ის სამართლიანად ითვლება პედაგოგიკის გამოჩენილ კლასიკოსად და საბავშვო მწერლად. „იაკობ გოგებაშვილმა, როგორც პედაგოგმა და მწერალმა, ორგზის დაიმსახურა ადამიანის სულის ინჟინრის სახელი. ის აყალიბებდა ბავშვის სულის მეცნიერული ცოდნის საფუძველზე, ამდიდრებდა მას მხატვრული აზროვნებით, ზრდიდა ბავშვს ნამდვილი ადამიანის სულისკვთებით“ [თავზიშვილი, 1960: 240].

იაკობ გოგებაშვილი ცნობილია, როგორც ჩინებული საყმაწვილო მოთხოვნების ავტორი. ის მათ არა მარტო პედაგოგიურ, არამედ ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს უყენებს. პროფ. ვ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ იგი „ორიგინალურად ხატავს პერსონაჟებს, რამდენადაც მათ ხასიათებსა და ქცევებს საგანგებოდ შერჩეულ ეპიზოდებში ასახიერებს. ეპიზოდურობა იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების სტილური თავისებურებაა. ბუნებრივი ეპიზოდები აცოცხლებს ნაწარმოების სიუჟეტს, აცხოველებს მისი კითხვის ინტერესს. მძაფრი, მაგრამ ბუნებრივი კონფლიქტების შემცველი ეპიზოდები ახალგაზრდებში იწვევს ანალოგიურ ასოციაციებს, ამით ისინი ფსიქოლოგიურად უკავშირდებიან თხზულების გმირებს და განიცდიან მათ სიხარულს, მწუხარებას და წარმოადგენენ ბავშვის შთაგონების უწყვეტ წყაროს“ [რამიშვილი, 1991:77].

იაკობ გოგებაშვილი თავის საბავშვო მოთხოვნებში ითვალისწინებს გარემოს მნიშვნელობას ბავშვის დამკვიდრების, თვითშეფასების ამაღლების, დაცემის და პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. ამ თვალსაზრისით, ის თავისი საბავშვო მოთხოვნებით ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ზრდას, რათა საინტერესო გახდეს სასწავლო პროცესი. არგულობს მოსწავლის სწავლა - განათლებისა და პიროვნული განვითარების მიდგომებს.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, წარმატება სწავლაში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მოსწავლის ყურადღებაზე. ამიტომ მას საბავშვო მოთხოვნებში შეტანილი აქვს ისეთი მასალა, რომელიც უზრუნველყოფს თავიდან ბავშვის პასიური ყურადღების განვითარებას და იმავდროულად თანდათან აძლიერებს აქტიურ ყურადღებას.

იაკობ გოგებაშვილი თავის ნაშრომებს მხატვრულ იერს აძლევდა, ემოციურ ძალას ანიჭებდა, ვინაიდან იგი საფუძვლიანად ფლობდა ცოდნას ბავშვის ასაკობრივი და ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ. მის ნაშრომებში მოქცეული მხატვრული მასალები

ხელს უწყობდნენ ბავშვების მიერ ენის შესწავლას, სამშობლოს სიყვარულს, მათ გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას ათეული წლების მანძილზე. ამიტომ იყო იაკობის თანამედროვე ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი თავის თხზულებაში „გეორგიშე დიხტერ“ (ქართველი პოეტები) წერდა: „ამჟამად ქართული ენის უმთავრესი სახელმძღვანელოები დაბალ კლასებში არის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვილისა... ორივე ეს სახელმძღვანელო სასახელოდ შეიძლება შედარებული იქნეს ევროპის განათლებულ ხალხთა საუკეთესო სახელმძღვანელოებთან“ [გობრონიძე, 1976: 4].

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა“. მისი განსაკუთრებულობა კი იმაში გამოიხატება, რომ მასში გადმოცემული ამბავი დიდაქტიკური შინაარსისა და მიზნით პატრიოტულია. ხოლო მოთხრობის თავისებურება, როგორც პროფ. ზ. ხოჯავა წერს - „მის წმინდა ფსიქოლოგიზმშია“. ე. ი. იმაში, რაც იავნანას მოსმენამ შეძლო, რამაც 13 წლის ლეკად ქცეულ ქეთოს თავისი ადრიაკი ბავშვობის დაკარგული მოგონებები აღუძრა და კვლავ ქართველ ქალად აქცია“ [ხოჯავა, 1990:204]. იქვე აღნიშნავს, რომ მოვლენათა სამყარო, რომელიც იაკობს ამ შემთხვევაში უნდოდა ეჩვენებინა, ადამიანის სულიერი ცხოვრების სამკვიდროა. ერთი მხრივ, განცდები და გარკვეული სახით მიმდინარეობა და, მეორე მხრივ, პიროვნების არსებაში ის ღრმად მდებარე ცვლილებები, რომელნიც ამ მიმდინარეობას შესაფერად საზღვრავენ. მოთხრობის ფსიქოლოგიური არსი მხოლოდ ამაშია და ყოველივე დანარჩენი: ბუნებისა და სოფლის აღწერა, პერსონაჟების დახასიათება, ლეკებისა და ქართველების ურთიერთობა და სხვა „მხოლოდ მხატვრული გასიუჟეტებაა, ამბად ქცევაა ამ ფსიქოლოგიური არსისა, რომლის გაშლაც მათ გარეშე მშრალ მეცნიერულ ტრაქტატს მოგვცემდა და არა ჰუმანური გრძნობების აღმძვრელ მხატვრულ მოთხრობას“ [ხოჯავა, 1990:204].

პროფესორმა ზ. ხოჯავამ დაწვრილებით გამოიკვლია და გაანალიზა მოთხრობაში აღწერილი სიტუაციები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა მოთხრობის ფსიქოლოგიური „ფიგურა და ფონი“, როგორ გამოიკვეთა „ფიგურა“ ანუ როგორ აღსდგა მოგონებები, ავტორის ფსიქოლოგიური კონცეფცია. ჩვენ დაწვრილებით არ განვიხილავთ პროფ. ზ. ხოჯავას ნაშრომს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მას „იავნანას ნამოქმედარი გაგებული აქვს, როგორც მკვეთრი და უჩვეულო გარდატეხა პიროვნების სულიერი ცხოვრების მიმართულებაში. ქეთოს ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებანი მისი გონებიდან არ გამქრალა, მათ ღრმად ეძინათ მის ქვეცნობიერში. ასეთი გამაღვიძებელი ძალა, რომელმაც შეძლო ქეთოს მიძინებულ ქვეცნობიერში გაღვიძება იყო დედის იავნანა [ხოჯავა, 1990:206].

პროფესორმა ზ. ხოჯავა აკეთებს დასკვნას, რომ იაკობ გოგებაშვილმა „იშვიათი მიხვედრილობით ჩაიხედა ადამიანის სულიერი ცხოვრების სიღრმეში და ფსიქოლოგიურად შეუცდომლად წარმოაჩინა ადამიანის ფსიქიკის ურთულესი გამოვლინება“, რომელსაც თანამედროვე ფსიქოლოგიაში განწყობის ცნება ასახავს [ხოჯავა, 1940: 127]. ერთი სიტყვით - აგრძელებს ზ. ხოჯავა - ადრიაკი ბავშვობის მშობლიური გარემოს გავლენა ქეთოში ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული მთლიანი მდგომარეობა, როგორც მზაობა, ანუ განწყობა მისი ნორჩი ძალების გარკვეულის მიმართულებით მოქმედებისა. ნაიბის ოჯახში მას აღარ ესმოდა დედის სიმღერა და, თუმცა იგი უმტკივნეულოდ არ დაუთმია, რამდენიმე ხნის შემდეგ დაავიწყდა კიდეც, მაგრამ მხოლოდ ჰანგები დაავიწყდა, მხოლოდ განცდები. ე. ი. რაც ცნობიერებაში ჰქონდა. მთლიანი მდგომარეობა კი, რომელიც მისი არსებობის მოდუსი იყო, ანუ რომელიც მისი ძალების გარკვეული მიმართულებით ამოქმედების განწყობას წარმოადგენდა

და არა ცნობიერების კონკრეტულ შინაარსს, უკლებლივ დარჩა ქეთოში, რადგან ასეთია განწყობის ბუნება: „ცნობიერების შინაარსი, რომელიც გარკვეული განწყობის ნიადაგზე ჩნდება, შეიძლება მოისპოს, გაჰქრეს, მაგრამ განწყობამ, როგორც სუბიექტის არსებობის მოდუსმა, მაინც განაგრძოს არსებობა“ (დ. უზნაძე) [ხოჯავა, 1990:223].

ჩვენ შეჯამების სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“ იაკობ გოგებაშვილი:

- ფსიქოლოგიურად სწორად აღწერს პატარა ქეთოს გრძნობებს. გვიჩვენებს მის განცდებს;
- ითვალისწინებს მოთხრობის მთავარი პერსონაჟის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- ფსიქოლოგიურად სწორად გამოკვეთს ქეთოს მამისა და დედის შინაგან ბუნებას;
- ქმნის მოტივს, განწყობას ქეთოში, თუ რატომ ავლენენ ამდენ სიყვარულს მისთვის უცხო ადამიანები;
- ქმნის განწყობას, პატივს მიაგებს ორი ხალხის ეთნოკულტურას;
- მხატვრულად წარმოაჩენს ქეთოს სულის სიღრმეში მიმდინარე პროცესებს.

ჩვენი აზრით, ფსიქოლოგიურად საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. უცხო კაცმა, რომელსაც მტრის თავსაბურავი ეხურა, ყმაწვილ ქალში აღძრა სიძულვილის განწყობილება და მტრად შეცნობილ ქართველ მეფეს თავზე ქლიავი გადააყარა. ეს არის ინგილო ქალის პიროვნული ქცევა, რომელიც წინაპართა ტრადიციების გამოხატულებაა და ერთიან განცდას წარმოადგენს. იაკობ გოგებაშვილი მოთხრობაში არა მარტო ინგილო ქალის ქცევისა და მისი ცნობიერების მუშაობის ახსნას იძლევა, არამედ გვაგებინებს „ზოგადად სულიერ არსებათა ფსიქიკური აქტივობის თავისებურებებსა და კანონზომიერებებს“ [მაღრაძე, 2008:16].

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ხატის მიზეზი“. დიდი პედაგოგი მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ალლოთი აგვიწერს 7-8 წლის ბიჭის - კაკოს ამბავს, რომელიც სოფლიდან ქალაქში ჩამოიყვანეს სასწავლებლად. მაგრამ პატარა კაკო ვერ შეეგუა ახალ სასწავლო - სააღმზრდელო გარემოს და საფრთხე შეექმნა მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, გაჩნდა პრობლემები სწავლა - აღზრდაში, რადგან, როგორც მოთხრობიდან ჩანს კაკოსთვის დამახასიათებელია ფაქიზი მგრძნობიარობა და მწვავე ემოციური რეაგირება მის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე. „უწინდელი მხიარულება თანდათან გაქრა, მადა დაკარგა, სიცქვიტის ნატამალიც აღარ ეტყობოდა, წითელი ლოყები დაუყვითლდა, ჩამოხმა. ნახავდით ლოგინში მწოლარე პატარა ვაჟსა, თითქმის ძვლებად ქცეულს და იმდენად მისუსტებულსა, რომ მკვდარი გეგონებოდათ“ [გოგებაშვილი, 1982:19]. კაკოს ამ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზს ვერავინ ხვდება. მომვლელი ნათესავი ქალის კითხვაზე - სოფელსა და ოჯახს ხომ არ ჯავრობო, კაკომ არაფერი უპასუხა. მკვლევარ თ. ჯავახიშვილის აზრით, „კაკოს დუმილი თავის მდგომარეობის მიზეზებზე მიგვანიშნებს, რომ ის გაურკვევლობაშია, შინაგანი კონფლიქტის ტყვეობაშია, არც სწავლა ეთმობა, და ამიტომ სოფელში დაბრუნებას ვერ ითხოვს და ოჯახთან და მშობლებთან განშორებასაც ვერ ეგუება, არ უნდა, რომ მშობლებს იმედი გაუცრუოს. ამ მწვავე, ურთიერთსაპირისპირო განცდებმა გამოიწვია ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ძალების სრული პარალიზება [ჯავახიშვილი, 2011:201]. როგორც კი კაკომ გაიგო, რომ ისევ სოფელში უნდა დაებრუნებინათ სოფლის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატთან სალოცავად, სახე გაუბრწყინდა, გამოცოცხლდა, ჰამა მოითხოვა და მთელი ღამე თავის სოფელზე ოცნებებში

გაატარა, რასაც თან ახლდა ბედნიერების გამომეტყველება მძინარე ბავშვის სახეზე და აღტაცების გამომხატველი ბგერები. მოთხრობიდან ნათლად ჩანს, რომ სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, როგორია სასწავლო გარემო და არის თუ არა მზად ბავშვი სწავლისათვის. მოთხრობაში აღწერილ ფაქტს, ჩვენი აზრით, შეესაბამება დ. უზნაძის მტკიცებულება, რომ „ადამიანის მოქმედებას განაპირობებს განწყობა, რომელშიც ასახულია შინაგანი მამოძრავებელი ძალაც, მოთხოვნილების სახით და გარემოდან მიღებული ინფორმაციაც, რომელიც სამოქმედო სიტუაციიდან ყალიბდება. მოთხოვნილება და სიტუაცია ის ძირითადი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებია, რომლებიც აუცილებელია განწყობის აღმოცენებისათვის. პირველი მოქმედებას ენერგიით უზრუნველყოფს, მეორე კი გარემო პირობებთან მის შესაბამისობას ხდის შესაძლებელს“ [მალრაძე, 2008:16]. პატარა კაკოს ქცევას განსაზღვრავს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს გარემო, სადაც მას, როგორც ინდივიდს უხდება განვითარება, ცხოვრება და აქტივობა. ხოლო სუბიექტურია მისი პიროვნული თავისებურებანი, რომლებიც მისი აღზრდითა და მშობლების ზეგავლენით არის გამომუშავებული, რამაც განსაზღვრა მისი ხასიათი და ბუნება.

მიგვაჩნია, რომ ბავშვებისათვის საბავშვო მოთხრობების მომზადების პროცესში იაკობ გოგებაშვილმა შეიმუშავა არა მარტო პედაგოგიური, არამედ ფსიქოლოგიური მოთხოვნების სისტემა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მათში შემავალი მასალა, თუ ისტორია. კერძოდ:

- მასალა უნდა იყოს აღწერილი მარტივად, რათა ბავშვებმა ბოლომდე უსმინონ, დაიმახსოვრონ მისი დასაწყისი, შუა და ბოლო ნაწილი;
- მასალა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს.
- მასალაში აღწერილმა სხვადასხვა დეტალებმა არ უნდა დაჩრდილოს მთავარი;
- მასალა არ უნდა იყოს მშრალი. ის უნდა წარმოადგენდეს მომეტებულ მიმზიდველ ძალას ბავშვებისათვის.;
- მოთხრობამ ან ისტორიამ უნდა მოამზადოს საფუძველი მომავალი ცოდნის სისტემისათვის.

მართლაც, იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები გამოირჩევა მასალის სწორი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური შერჩევით. მისი შესწავლის პროცესში მოსწავლე ნამდვილად შეიგრძნობს მშობლიური ფესვების, ქართული სიტყვის ძალას, სამშობლოს სიყვარულსა და სასწავლო ქცევის მნიშვნელობას.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- იაკობ გოგებაშვილმა, როგორც ქართული ენის საუკეთესო მცოდნემ, დიდი ოსტატობითა და ნიჭით მოარგო, მისი ეპოქის, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები და მეთოდები ქართული ენისა და სიტყვიერების არსებულ რესურსებს. წარმოუდგენლად დიდი შრომა ჩადო ორიგინალურ ენაზე არსებული სასწავლო მასალების შეკრება-ადაპტირებაში, ახალი ლიტერატურის შექმნაში.
- იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებში გათვალისწინებულია სწავლის ფსიქოლოგიური ასპექტები, რომელიც შეესაბამება და აიხსნება კიდევ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიით.
- იაკობი შემოქმედებით საქმიანობაში ითვალისწინებს გარემოს მნიშვნელობას ბავშვის დამკვიდრების, თვითშეფასების ამაღლების, დაქვეითების და პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში.

- მისმა ნააზრევმა პედაგოგიკაში დროს გაუსწრეს და თანამედროვე გადმოსახედიდან ის შეიძლება ჩაითვალოს მომავლის ნაშრომად, შესაბამისად პედაგოგიურად და ფსიქოლოგიურად სწორად წარმართული რედაქციით.
- იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებში იგრძნობა ავტორის დამაჯერებლობა და გულწრფელობა, მეცნიერული კეთილსინდისიერება, აზროვნების ხერხთა თავისებურება, გადმოცემის კლასიკური სიმარტივე, საფუძვლიანი ცოდნა ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიისა, რომლის მონაცემებს საფუძვლად უდებს თავის პედაგოგიურ დასკვნებს.
- იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური შემოქმედება ფსიქოლოგიური ასპექტებით არის გაჟღენთილი. იგი ბავშვს მყარად აკავშირებს ქართულ ფესვებთან და მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე მის იდენტობას განსაზღვრავს. რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დიდი პედაგოგი იყო ბავშვის ფსიქოლოგიის უბადლო მცოდნე.

ლიტერატურა:

1. გობრონიძე, ა., - „დედა ენა“ აჭარაში, ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. 1976. 52 გვ.
2. გოგებაშვილი, ი., - საგანძური, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. 1982. 380 გვ.
3. თავიშვილი, გ., - იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. გვ. 3-15. 1960.
4. მალრაძე, მ., - განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2008. 200 გვ.
5. რამიშვილი, ვ., - დედა ენისა და მისი სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში, იაკობ გოგებაშვილი 150, გვ. 3-15. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. 1991.
6. ხოჯავა, ზ., - ფსიქოლოგიური სისწორე ი. გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“, იაკობის სამრეკლო, წერილები, გვ. 10-25, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1990.
7. ჭკუასელი, ქ., - იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, იაკობ გოგებაშვილი - 180, სამეცნიერო შრომების კრებული. გვ. 147-156. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2020.
8. ჯავახიშვილი, თ., - იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი, საერთაშორისო პერიოდული ჟურნალი განათლება. № 3, გვ. 207. 2013. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.

Imeri Basiladze

Akaki Tsereteli State Univesity
e-mail: imer.basiladze@atsu.edu.ge

Lela Tavdgiridze

Batumi Shota Rustaveli State Univesity
e-mail: lela.tavdgiridze@bsu.edu.ge

Nino Tchokhanelidze

Akaki Tsereteli State University
e-mail: nino.chokhanelidze@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.19>

SJIF 2024: 8.268

Psychological Aspects of Disposition in the Children's Stories of Iakob Gogebashvili

Abstract

Iakob Gogebashvili, a prominent Georgian educator and pedagogical reformer, made a significant contribution to the development of educational theory and practice during the late nineteenth and early twentieth century. His pedagogical concept is fundamentally based on the idea of the psychology of disposition. The children's stories created by him, through their thematic content and methodological structure, serve the principles of developmental education. In his children's literature, Iakob Gogebashvili articulates a nuanced correlation between the goals of didactic instruction and the foundational principles of educational psychology. In our view, the psychological aspects of learning and teaching remain underexplored in his literary works. His stories stand out for their pedagogically and psychologically appropriate selection of material. During the learning process, students are truly engaged, sensing the power of language, the depth of national roots, love for their homeland, and the value of education. This contributes to their intellectual, moral, aesthetic, physical, and professional development.

The stories of Iakob Gogebashvili are distinguished by the careful pedagogical and psychological selection of material. In the process of studying his works, the student truly attains a certain emotional disposition and gains an understanding of the power of native roots, the significance of language, the love for one's homeland, and the importance of learning and education. This encompasses various aspects of intellectual, moral, aesthetic, physical, and professional development. "Motives, personality traits, 'value orientations,' and other individual behavioral factors do not define the exhibited behavior in isolation from one another; rather, they are subordinate to the regulating mode of the holistic personality" [Uznadze 1949].

Iakob Gogebashvili, as one of the foremost authorities on the Georgian language, skillfully and insightfully adapted the contemporary educational approaches and methodology of his era to the linguistic and literary resources of Georgian. He put an incredible amount of work into collecting and adapting existing educational materials in the original language, creating new literature. His ideas in pedagogy were ahead of their time and from a modern point of view, they can be considered a work of the future, respectively, with a pedagogically and psychologically correct editing. Iakob Gogebashvili's pedagogical work is permeated with psychological aspects. By connecting children to their Georgian roots and shaping their identity throughout their lives, he demonstrates the qualities of great educator with a profound understanding of child psychology.

Keywords: Attitude, Motivation, Developmental Education, Satisfaction of needs, Pedagogical Concept

რეცენზენტი: პროფესორი ალექსანდრე როვენკო

პედაგოგიკა Pedagogic

GenAI-Enhanced Approach in EFL: The Case of Georgia

Nino Tskhakaia

Akaki Tsereteli State University

Email- nini.tskhakaia@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.20>

SJIF 2025: 8.584

The integration of Generative Artificial Intelligence (GenAI) into education has emerged as a significant innovation, especially in the field of English as a Foreign Language (EFL). This article **aims** to explore the transformative role of GenAI in EFL classrooms, particularly within the context of Georgian schools. Drawing on both literature and quantitative research methods, it examines the benefits, challenges, and readiness of educators to implement GenAI tools. A survey distributed to 396 teachers across public and private schools in Georgia revealed that a substantial number—approximately 79.3%—do not currently use AI technologies in their teaching practices. The findings suggest an urgent need for targeted training programs to prepare educators for the purposeful application of AI. The article concludes by discussing future directions for integrating GenAI tools in language education and recommends practical strategies for successful implementation.

Key words: GenAI, EFL, technology, media, integration, implementation.

Introduction

Generative Artificial Intelligence has significantly transformed how educators approach teaching and learning. These tools empower students by enhancing self-study habits and promoting learner autonomy. GenAI refers to a branch of Artificial Intelligence capable of producing original content, including text, code, images, simulations, and videos, through the use of extensive data sets and advanced machine learning models. Technologies such as Deep Neural Networks and Large Language Models (LLMs) enable GenAI systems to generate human-like outputs with a higher level of fluency and coherence.

The theoretical framework of GenAI is based on the Theory of Connectivism developed by George Siemens, with significant contributions from Stephen Downes. George Siemens

introduced the concept in his 2004 paper titled "Connectivism: A Learning Theory for the Digital Age." Siemens proposed connectivism as a learning theory for the digital era, addressing what he saw as limitations in existing learning theories like behaviorism, cognitivism, and constructivism in explaining learning in networked and technology-mediated environments.


Since the public launch of ChatGPT, several alternative platforms have emerged, offering user-friendly interfaces and diverse functionalities. The integration of such tools into educational settings has shifted the paradigm of language instruction, enriching both teaching methods and learning outcomes. In language education, media and technology have long been part of pedagogical innovation. As detailed by Celce-Murcia et al. in their comprehensive work on teaching English as a Second or Foreign Language, the use of technology has evolved from simple audio tools to highly interactive and internet-based resources. These changes have supported a more student-centered and engaging learning experience.

Context: The Georgian EFL Landscape

In Georgia, English language instruction typically follows a universal teaching design that balances functional and receptive language skills with intercultural awareness. However, despite advancements globally, many Georgian classrooms are not yet equipped to adopt GenAI-enhanced approaches. Most public schools still lack the technological infrastructure required to support this transformation.

A quantitative study was conducted using a structured questionnaire to investigate the current state of AI integration. The survey was distributed to 396 teachers across public and private schools in Georgia. Of these, only 82 respondents (approximately 20.7%) reported that they had used AI tools in their teaching practice. This result underscores a considerable gap in the adoption of digital innovations and signals the necessity for professional development.

იყენებთ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს ინგლისური ენის სწავლების პროცესში?
396 responses



Benefits of Integrating Media and Technology

- Increased Accessibility: Learners can access a wealth of authentic content and interactive tools.

- Greater Engagement: Multimedia applications help maintain learners' interest and motivation.
- Flexible Learning: Online platforms enable learning beyond traditional classroom boundaries.
- Personalisation: Tools, such as MagicSchool.AI, offer customisable learning pathways, promoting student autonomy and differentiated instruction.

Challenges and Considerations

- Technical Barriers: Inadequate internet access and digital infrastructure, particularly in public schools.
- Limited Teacher Preparedness: Many educators lack the training needed to integrate AI meaningfully.
- Financial Constraints: The cost of technology remains a concern for many institutions.
- Curriculum Alignment: Technology use must be pedagogically sound, not merely supplementary.

Best Practices for Effective Implementation

- Curricular Integration: Digital tools should be embedded into curriculum plans to support specific learning goals.
- Student-Centered Methods: Promote autonomy through project-based tasks and individualized learning facilitated by a teacher and AI tools.
- Collaborative Tools: Leverage platforms that encourage peer interaction and communication.
- Ongoing Professional Development: Offer training sessions that focus on both the technical and pedagogical aspects of AI tools.

Future Outlook

The future of language learning in Georgia and globally will likely see deeper integration of GenAI, Virtual Reality (VR), and other emerging technologies. As these tools evolve, they are expected to provide even more immersive, interactive, and personalised learning experiences. To fully realise this potential, systemic support from educational policymakers, school administrators, and teacher training institutions is crucial.

Conclusion

The integration of GenAI into EFL teaching represents a promising shift towards more dynamic and effective language instruction. While the benefits are evident, the current lack of teacher readiness in Georgia highlights the importance of targeted training and infrastructural investment, as well as their integration into the curriculum. With strategic implementation and adequate support, GenAI has the potential to revolutionise language education by fostering better learner independence, engagement, and academic success.

References:

1. Goertzel, B., & Pennachin, C. (2007). Artificial General Intelligence. Springer.
2. 28. Goodfellow, I., Bengio, Y., & Courville, A. (2016). Deep Learning. MIT Press.
3. 29. LeCun, Y., Bengio, Y., & Hinton, G. (2015). Deep learning. Nature, 521(7553), 436-444.
4. 30. Russell, S., & Norvig, P. (2020). Artificial Intelligence: A Modern Approach (4th ed.). Pearson.
5. 31. Luckin, R., Holmes, W., Griffiths, M., & Forcier, L. B. (2016). Intelligence Unleashed: An Argument for AI in Education. Pearson.
6. 32. McCarthy, J., Minsky, M. L., Rochester, N., & Shannon, C. E. (2006). A proposal for the Dartmouth summer research project on artificial intelligence, August 31, 1955. AI Magazine, 27(4), 12-14.

ნინო ცხაკაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nini.tskhakaia@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.20>

SJIF 2025: 8.584

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (GenAI) ინტეგრაცია განათლებაში

აბსტრაქტი

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (GenAI) ინტეგრაცია განათლებაში ერთობ მნიშვნელოვან სიახლედ იქცა, განსაკუთრებით ინგლისურის, როგორც პირველი უცხო ენის სწავლების (EFL) სფეროში. სტატია მიზნად ისახავს, GenAI-ის ტრანსფორმაციული როლის შესწავლას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაგალითზე. როგორც დარგში არსებული ლიტერატურის დამუშავების, ისე ანკეტირების შედეგების მიხედვით, სტატია განიხილავს GenAI ინსტრუმენტების საკლასო სივრცეში დანერგვის სარგებელსა და გამოწვევებს, ასევე მასწავლებელთა დამოკიდებულებას, მზად არიან თუ არა მიიღონ ეს გამოწვევა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების 396 გამოკითხული მასწავლებლიდან, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი - დაახლოებით 79.3% - ამჟამად, არც კი იყენებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს სწავლა-სწავლების პროცესში, რაც ხელოვნური ინტელექტის მიზნობრივად გამოსაყენებლად ამ მიმართულებით მასწავლებელთა გადამზადების საჭიროებას ასახავს. საბოლოოდ, აღნიშნული სტატია განიხილავს GenAI ინსტრუმენტების, ინგლისურის სწავლების პროცესში ინტეგრირების სტრატეგიებს და მათი წარმატებულად განხორციელების რეკომენდაციებსაც იძლევა.

საკვანძო სიტყვები: GenAI/გენერაციული ხელოვნური ინტელექტი, EFL/ინგლისური როგორც პირველი უცხოური ენა, ტექნოლოგია, მედია, ინტეგრირება, იმპლემენტირება

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

სწავლების მეთოდოდიკა Methodic of Teaching

ზმნის უღლების სისტემის სწავლება ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად
(I სერია, აწმყოს წრე)

ნანა შავთვალაძე

Georgian University

Tbilisi, Georgia

a-mail: www.ug.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.21>

SJIF 2025: 8.584

ქართულის, როგორც უცხო ენისადმი ინტერესი ამ საუკუნიდან განსაკუთრებით აღინიშნება. რა თქმა უნდა, ადრეც იყო ინტერესი ამ განსაკუთრებული ენის შესწავლისა. ამიტომაც იყო ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები გამოცემული. სულ ორიოდ დეკადაა, რაც ქართულ ენაზე საუბრით ბევრი უცხოელი დაინტერესდა. ეს მიდგომა განსხვავდება ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლი ფორმატიგან.

ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე სახელმძღვანელო დაიბეჭდა. უდიდესი შრომაა

სახელმძღვანელოს შექმნა, თან ქართული ენისა. უცხო ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები მრავალია, უკვე გამოცდილი და შედეგზე ორიენტირებული. ინტერნეტსაშუალებებით ყველა სიახლისა და ახალი მიდგომების აღმოჩენა, მსოფლიო რიტმისთვის ფეხის აწყობა, აღარაა პრობლემა. უცხო ენის შესასწავლი მიდგომები, სწავლების გზა, გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები, ხერხები, შესაძლებელია, რაღაც კუთხით გამოყენებული იყოს, მაგრამ აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სტრუქტურა, გათვალისწინებული იყოს მეთოდური ბაძე. სხვა შემთხვევაში, შედეგი მიუღწეველი იქნება. სახელმძღვანელომ გაამართლა თუ არა, ამას მომხმარებელი ადგენს, ეს წარმატება წლებითა და წიგნის გამოცემის რაოდენობით იზომება, თან ქართული ენა და საქართველო ტერიტორიითა და გამოყენების ველით, მსოფლიო მასშტაბის არენაზე არაა დიდი.

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობაა: „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების

რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს CEFR ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C2 –საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია, ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში“. ეს ოფიციალური დოკუმენტი დიდ

იმედს იძლევა; ის ახლა უკვე ქართული ენის შეფასებისას ინდიკატორებისა და მტკიცებულებების საყრდენია; მისი საშუალებით შესაძლებელია მასალების, სახელმძღვანელოების, სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა ენის ფლობის დონეებთან.

მთავარია, სახელმძღვანელოს კონკრეტული მიზნის განსაზღვრა; სწავლების გზის ასახვა; ლოგიკურად დალაგება; თითოეული საკითხის სტრუქტურულად გაწერა; მეთოდური ბმის უზრუნველყოფა; მარტივიდან რთულისკენ სტრატეგიის დაცვა, ლექსიკის მიზნობრივად დალაგება და ა.შ.

ამჯერად, ჩვენი საკვლევი თემაა ზმნის გამოყენების არეალი. მისაწვდომობა, შინაარსის გაგება, სიტუაციის აღქმა, მიზნობრივი უკუგება შინაარსობრივად გასაგებია და მიღწევადია. ამაში კი ყველა ენა თავის კონსტრუქციას იყენებს, რაც ბუნებრივია. ქართულში რომ ზმნა არის ჩვენი გრამატიკის ხერხემალი, ამაზე სადავო არაფერია. სხვათშორის, სხვა ენათა გრამატიკების მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე ქმედებას იმეორებს, მაგრამ ქართულს ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს.

ქართულის, როგორც უცხო ენისადმი ინტერესი ამ საუკუნიდან განსაკუთრებით აღინიშნება. რა თქმა უნდა, ადრეც იყო ინტერესი ამ განსაკუთრებული ენის შესწავლისა. ამიტომაც იყო ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები გამოცემული. სულ ორიოდ დეკადაა, რაც ქართულ ენაზე საუბრით ბევრი უცხოელი დაინტერესდა. ეს მიდგომა განსხვავდება ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლი ფორმატისგან.

ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე სახელმძღვანელო დაიბეჭდა. უდიდესი შრომაა სახელმძღვანელოს შექმნა, თან ქართული ენისა. უცხო ენის შესასწავლი სახელმძღვანელოები მრავალია, უკვე გამოცდილი და შედეგზე ორიენტირებული. ინტერნეტსაშუალებებით ყველა სიახლისა და ახალი მიდგომების აღმოჩენა, მსოფლიო რიტმისთვის ფეხის აწყობა, აღარაა პრობლემა. სხვადასხვა ენის შესასწავლი მასალის გაცნობისას ბევრ ავტორს გაუჩნდა სურვილი, ირწმუნა საკუთარი თავისა, რომ შეექმნა „ქართულის, როგორც უცხო ენის“ სახელმძღვანელო. ყველა ავტორს განსხვავებული მიდგომა აქვს. დღეს უკვე არჩევანიც და ასპარეზიც დიდია. უცხო ენის შესასწავლი მიდგომები, სწავლების გზა, გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები, ხერხები, შესაძლებელია, რაღაც კუთხით გამოყენებული იყოს, მაგრამ აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სტრუქტურა, გათვალისწინებული იყოს მეთოდური ბადე. სხვა შემთხვევაში, შედეგი მიუღწეველი იქნება. სახელმძღვანელომ გაამართლა თუ არა, ამას მომხმარებელი ადგენს, ეს წარმატება წლებითა და წიგნის გამოცემის რაოდენობით იზომება, თან ქართული ენა და საქართველო ტერიტორიითა და გამოყენების ველით, მსოფლიო მასშტაბის არენაზე არაა დიდი.

ავტორები აქამდე დონის დასადგენად მხოლოდ 2006 წელს მარიკა ოძელის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობას“ იყენებდნენ.

ძლიერ სასიხარულოა, რომ 2020 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №394 ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამტკიცების შესახებ. დანართი 4. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობაა: „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს CEFR ექვსდონიანი სისტემის – A1, A2,

B1, B2, C1, C 2 –საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია, ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში“.

ეს ოფიციალური დოკუმენტი დიდ იმედს იძლევა; ის ახლა უკვე ქართული ენის შეფასებისას ინდიკატორებისა და მტკიცებულებების საყრდენია; მისი საშუალებით შესაძლებელია მასალების, სახელმძღვანელოების, სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა ენის ფლობის დონეებთან.

მთავარია, სახელმძღვანელოს კონკრეტული მიზნის განსაზღვრა; სწავლების გზის ასახვა; ლოგიკურად დალაგება; თითოეული საკითხის სტრუქტურულად გაწერა; მეთოდური ბმის უზრუნველყოფა; მარტივიდან რთულისკენ სტრატეგიის დაცვა, ლექსიკის მიზნობრივად დალაგება და ა.შ.

ქართული ენის შემსწავლელს არჩევანი დიდი აქვს, შეუძლია ინტერნეტსივრცეში ატვირთული უფასო სახელმძღვანელოებით სწავლა და სხვადასხვა ავტორის მიერ დაბეჭდილი წიგნებითაც. ასევე, ბევრი ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი თუ არაფილოლოგი, სხვადასხვა უცხო ენის მასწავლებელი ასწავლის ქართლს, როგორც უცხო ენას. მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს შერჩევა, რომ სწავლების პროცესი მიზნობრივი იყოს და მათ გზადაგზა არ მოუწიოთ დროის დახარჯვა კონკრეტული მასალის მომზადებისთვის. როგორ უნდა შეარჩიონ სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელო ან როგორ უნდა მიხვდნენ, თუ რომელი წიგნი გამოადგებათ? ეს რთული პროცესია, მაგრამ შედეგზე გასასვლელად გადამწყვეტი.

ჩვენ 2005 წლიდან ვთავაზობთ მომხმარებელს „ტრადიციული ქართლი სასწავლო პროგრამას.“ სერია „ბილიკი“ დაყრდნობილია CEFR -ის ენათა ევროპულ ჩარჩოს სახელმძღვანელოებში განსაზღვრულია მეთოდური ბადე და დაცულია ქართლის, როგორც უცხო ენის დონესთან შესაბამისობა და გამოყენებულია გამოცდილებით მიღებული საინტერესო ხრიკები ენის ადვილად აღსაქმელად. ჩვენს აღწერილობაში მნიშვნელოვანია გამოვლინდეს ენის სწავლების მიზნის გარდა შესაბამისობა სახელმძღვანელოს პროგრამასთან, სილაბუსთან, სასწავლო გეგმასთან, შეფასების კრიტერიუმებთან, მეთოდურ ჩარჩოსთან. თითოეული დონე შედგება სახელმძღვანელოებისგან, სამუშაო რვეულისგან, საკითხავი მასალისგან. გამოყენებულია: ტექსტები, შექმნილი და ავთენტური, გრამატიკული მასალა, ჩარჩოები, შესაბამისი ლექსიკა, სტრუქტურულად და მიზნობრივად გაწერილი, თანამედროვე მეთოდიკაში აღიარებული სხვადასხვა სავარჯიშო, მათ შორის მოსასმენი დიალოგები.

ამჯერად, ჩვენი საკვლევი თემაა ზმნის გამოყენების არეალი. მისაწვდომობა, შინაარსის გაგება, სიტუაციის აღქმა, მიზნობრივი უკუგება შინაარსობრივად გასაგებია და მიღწევადია. ამაში კი ყველა ენა თავის კონსტრუქციას იყენებს, რაც ბუნებრივია. ქართულში რომ ზმნა არის ჩვენი გრამატიკის ხერხემალი, ამაზე სადავო არაფერია. სხვათა შორის, სხვა ენათა გრამატიკების მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე ქმედებას იმეორებს, მაგრამ ქართლს ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს.

ზმნის პოლისემიურობა, ძირითადი კოორდინატის ფუნქცია, წარმოების სხვადასხვაობა, უღლების ოთხი ტიპი უდიდეს სივრცეს ქმნიან ენაში. როგორ ვალაგებთ ამ აურაცხელ ენობრივ მასალას დონეების მიხედვით, საინტერესოა. პირველ რიგში, გადამწყვეტი არის სიტუაციური თემატიკა. რაც არ უნდა თქვა, მოიფიქრო, ახალს ვერ გამოიგონებ, ყველა ენის სწავლებისას მიღებული პრაქტიკაა თემატიკათა არსებული დოგმა, მით უმეტეს პირველ დონეზე.

ყველაფერი იწყება წარდგენით, გაცნობით, ვინაობით, ოჯახით და ა.შ. შემდეგ უკვე განვითარება დამოკიდებულია პროგრამის მიზანზე, ტრადიციული, საურთიერთო ენა უნდა შეასწავლოს მომხმარებელს თუ სპეციფიკური, დარგობრივი.

ჩვენი სერია „ბილიკი“ ტრადიციული, საურთიერთო, პრაქტიკული ენის კურსია, რომელიც, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს გრამატიკას - მორფოლოგიისა და სინტაქსის გათვალისწინებით. გრამატიკა რეალურად დაფარულია, მხოლოდ მინიმუმებით, ცხრილებითა და ლოგიკური ნიმუშებითაა ახსნილი. გრამატიკის გარეშე შემსწავლელი ფონს ვერ გავა, ვერ შეძლებს წინადადების აწყობას, აზრის გამოხატვას და ვერც სასაუბრო ენის გაგებას. ხშირად არის ხოლმე, როცა ენის შესწავლის მსურველი გეუბნება, რომ არ უნდა წერის სწავლა, რადგან არ სჭირდება და არც გრამატიკის ხსენება სწავლებისას, რადგან არ უყვარდა სკოლაში და არც თავისი მშობლიური ენის გრამატიკა იცის. ასეთ დროს ბარიერის წინაშე ვდგავართ, უდავოდ, არავის უნდა ე.წ. კლიენტის დაკარგვა, მაგრამ მისი მოთხოვნა როგორი შესასრულებელია?! ამიტომ ვეშაბდები დიდი მონოლოგისთვის, ვუხსნი ყველაფერს, რომ სამ გაკვეთელში ისწავლის ანბანს, რომ შეძლებს ყველაფრის მარტივად წაკითხვას და ა.შ. ანბანისა და გრამატიკის შესწავლის აუცილებლობას ვუდასტურებ, თან ვთავაზობ, რომ ამისთვის მაშინ სჭირდება გაკვეთილზე სიარული, ენის შესწავლა და თუ არ თნხმდება იმის სწავლაზე, მაშინ უბრალოდ უნდა შეიძინოს ჩემ მიერ გამოცემული „ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“, რომელშიც ლათინური ტრანსკრიპციითაა თითოეული გამონათქვამი გაწერილი, თემატიკით კი ყველა საჭირო თემაა დაფარული და გამოყენებული ისე, როგორც მსოფლიოში გამოცემული ამ ტიპის ლექსიკონთა უმრავლესობა. ენის შესწავლისთვის აუცილებელია ანბანის, წერის, გრამატიკის მიზნობრივი შესწავლა.

დიდი ფიქრი და განსაკუთრებული ლოგიკა არ სჭირდება იმას, რომ სწავლება პირველივე დონეზე იწყება ანბანის შესწავლით, უმნიშვნელოვანესი პირის ნაცვალსახელებით და „ყოფნა“ ზმნით. შემდეგ უკვე ეს ლექსიკური ჩარჩო ფართოვდება და მიზნობრივად გამოყენებული. ზმნის კონსტრუქციის მიხედვით სწავლებას ვიწყებთ თავისებური ზმნებით: „ყოფნა“, „ცოდნა“, „წასვლა“, „მოსვლა“ და „მ“ სისტემის მანიანი, ინვერსიული ზმნები: „დარქმევა“, „ნდომება“. შემდეგ კი შემოდის პირველი ტიპის „ვ“ სისტემის ვინიანი ზმნები.

ეს ვინიანი ზმნები დასმულია სისტემაზე, რადგან ამდენი თავისებური და სხვადასხვა კონსტრუქციის ზმნების სწავლების დასაწყისშივე შესწავლისას აუცილებელია სისტემური და ლოგიკური განვითარების ფორმები. ქართული ზმნები არის დაყოფილი თემის ნიშანთა სისტემის მიხედვით. ჩვენ გვაქვს - ი, -ამ, -ავ, -ებ, -ობ და უთემისნიშნო კატეგორიები ზმნის კონსტრუქციასთან დაკავშირებით. ამ კატეგორიათაგან ჩვენ ვირჩევთ -ობთემისნიშნიან ზმნებს, რადგან გვაქვს ფუნდამენტური საყრდენი:

1. -ობთემისნიშნიანი ზმნა ბევრია;
2. ამ ზმნების 99%-ს ერთნაირი წარმოება აქვს;
3. გვაქვს 1506 -ობთემისნიშნიანი ზმნა, რომლებიც ერთნაირად აწარმოებს მომავალ დროს „ი“ პრეფიქსის დამატებითა და -ობ თემისნიშნის -ებ თემის ნიშნად ჩანაცვლებით;
4. ლექსიკური კუთხით პირველადი ქმედების გამოვლინებისთვის უმეტესობა ზმნებისას აქვს -ობ თემის ნიშანი.

მაგ.: მუშაობს, ცხოვრობს, ლაპარაკობს, ფიქრობს, თამაშობს, სწავლობს, საუბრობს, სეირნობს, თევზაობს, ნადირობს... ამის შემდეგ შემოდის -ებთემისნიშნიანი ზმნები: აკეთებს, ამზადებს, ათვალიერებს, აკლებს, აგრძელებს, აჩერებს, იღებს, ადღეგრძელებს...

ამრიგად, ტიპოლოგიის მიხედვით სწავლება იწყება საჭირო და აუცილებელი ზმნებით, რომლებიც არიან თავისებური წარმოების, შემდეგ შემოდის „მანიანი“ ტიპის ზმნები, შემდეგ „ვინიანი“ ტიპის ზმნები, რომელთაგანაც უპირატესობა ენიჭება „-ობთემისნიშნიანებს“ ზემოაღნიშნული არგუმენტების მიხედვით. შემდეგ კი „-ებთემიანიშნიანები“ და ნელ-ნელა ყველა თემისნიშნიანი ზმნები.

ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ არის შეტანილი ზმნები სერია „ბილიკის“ პირველ დონეზე. პირველ დონეში ვგულისხმობთ A1 და A2 საფეხურებს. ახლა სერიათა მიხედვით, როგორ ხდება მათი გადანაწილება. თითქოს გრამატიკული სისტემის მიხედვით დაყოფილი ზმნათა უღლება, რომელსაც თავისი სისტემა აქვს ჩვენ მიერ დანაწევრებულია. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ გვაქვს პრაქტიკული გრამატიკა, სასაუბრო მეტყველებაზე აგებული გრამატიკული კონსტრუქციები, როგორც ცალკე მორფოლოგიური კვლევა. შესაბამისად, პირველი სერია, რომელიც დაყოფილია ორ წრედ: აწმყოს წრე და მყოფადის წრე. ჩვენ ამჯერად ვიმსჯელებთ მხოლოდ აწმყოს წრეზე და მასში შემავალ სამ მწკრივზე: აწმყოს მწკრივი, უწყვეტლის მწკრივი და აწმყოს კავშირებითის მწკრივი.

აწმყოს მწკრივი პირველია, რომელიც შემოდის სწავლების დაწყებისთანავე. როგორც ცნობილია, აწმყო გამოხატავს ახლანდელ დროსა და კილოს კატეგორიასაც. ჩვენ კილოს კატეგორიას არ ვეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ ახლანდელ დროს, დროს, როცა მოქმედება ხდება ახლა, საუბრისას. საინტერესოა აკაკი შანიძის შედარება. მაგ.:

1. „ხომ ჰხედავ, რომ ვჭამ? – Can you see that I am eating?
2. მომიტანე და ვჭამ. – Bring me some food and I shall eat.
3. როცა საჭმელი მაქვს, ვჭამ. – When I have food I eat.“

„ამგვარად, ის დროული განსხვავება, რომელიც, ქართულში მხოლოდ წინადადებაში შემავალი სიტყვების საშუალებით არის დამყარებული, ინგლისურის თარგმანმა სამსავე შემთხვევაში ფორმოზღოვდაც გამომჟღავნა... ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ მწკრივი სხვაა და დრო კიდევ-სხვა“ (ა.შ. გვ.218).

ჩვენ ვიყენებთ აწმყოს მწკრივს დროის ფუნქციის მიხედვით სწავლების A1 დონეზე, რა თქმა უნდა, ყოველი ახალი ზმნა, მიუხედავად წარმოების ტიპისა, ყოველთვის წარმოდგენილია ახლანდელი დროით, აწმყოს მწკრივით.

არჩევანი გავაკეთეთ წარსული დროის სწავლებისთვის, მიზნობრივად, მეთოდური თარგის გამო უარი ვთქვით მეორე სერიის წყვეტილის მწკრივზე. გადავწყვიტე შემეტანა პირველი სერიის მეორე მწკრივი: უწყვეტელი. დაბოლოება საკმაოდ ერთფეროვანი და ლოგიკურია, დასამახსოვრებლად კი ადვილი –დი, –დი, –და; –დით, –დით, –დნენ. ჯერ ხომ სისტემური „ვინიანი“ ზმნებიდან ვააქტიურებთ ---ობთემისნიშნიანებს.

უწყვეტელი აჩვენებს წარსულ დროს, თხრობით კილოს გადმოგვცემს და „ზოგჯერ აგრეთვე უსრული ასპექტის გადმოცემა ეკისრება წარსულში სრულ-ასპექტიანი წყვეტილის საპირისპიროდ. მაგალითები: ვსწავლობდი, ვცხოვრობდი, ვწერდი, ვაშენებდი“ (ა.შ. გვ.219). „ბილიკი I“ A1-ის დონეზე შემოდის წარსული დრო, უწყვეტლის მწკრივი, ზმნა „ცხოვრობდა“ (ნ.შ. გვ.107).

მესამე მწკრივია აწმყოს კავშირებითი. აკაკი შანიძე თვლის, რომ ის შედგება ორი ელემენტისგან: დროისა და კილოსგან. დრო ან ახლანდელია, ან მომავალი. კილო – კავშირებითი. „ვამბობთ „აწმყოს კავშირებითიო“ რომ გავარჩიოთ მყოფადის კავშირებითისგან. მაგალითები: ვსწავლობდე, ვცხოვრობდე, ვწერდე, ვაშენებდე. რადგან ეს კავშირებითი პირველ

სერიაში შედის, ამიტომ ხშირად მას I კავშირებით ეძახიან, მაგრამ I სერიაში შედის აგრეთვე მყოფადის კავშირებითიც (ა.შ. გვ.219).

როგორც აღინიშნა, აწმყოს კავშირებითი ორი დროის გამოხატველი შესაძლებელია, როგორც ახლანდელი დროის, ისე მომავალი დროისა. საქმე ეხება სიტუაციასა და მოქმედების მიერ გამოთქმულ აზრს. ასეთ შემთხვევაში ლექსიკა განპირობებულია იდეის, შინაარსის გადაცემაზე. ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელს, კონტექსტიდან ამოღებულს, როგორც ცხრილს, მწკრივის წარმოებას, ვერ შეუტან. სიტუაციურად კავშირებითის მწკრივები გრძნობას, სურვილს, საჭიროებას, ოცნებას, ადამიანურ შიშებს და სხვა გრძნობებს გამოხატავენ დროის მიხედვით. აწმყოს კავშირებითი - რა ვშვრებოდე? ოცნებაა, დიდი სურვილია, როგორც ახლა ასასრულებელი, ისე მომავალში. ნაწილაკის მიხედვით შინაარსობრივად მწკრივის ფორმასთან სწავლებისას ამართლებს. მაგ.: ნეტა, ამას მეც ვაკეთებდე; ნეტა, ქართულს ასე მეც ვწერდე; ნეტა, მეც ასე სწრაფად ვსწავლობდე მათემატიკას; ნეტა, მეც დავითთან ერთად ვმუშაობდე ბანკში.

„ბილიკი IV“ სერიის C1 დონეზეა შემოტანილი აწმყოს კავშირებითის მწკრივი. „ბილიკი IV“ C1 დაიბეჭდება 2025 წლის ბოლოს. ამჯერად მივუთითებთ დამოწმებისთვის, რომ „ბილიკი IV-ის“ მესამე კარიდან შემოდის მწკრივი „აწმყოს კავშირებითი“. მეთოდურად განსაზღვრულია მარტივიდან რთულისკენ ხედვა და ამიტომ ჯერ პირველი ტიპის ზმნებით ვიწყებ და ამ ზმნებით ლექსიკური სივრცის გამოყენებით ვიწყებ ამ მწკრივის შემოტანას ქართულის, როგორც უცხო ენის სერიის „ბილიკის“ სახელმძღვანელოში.

ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოების სერიაში „ბილიკი“ წარმოდგენილია ქართული ენის მასალა, გრამატიკა, როგორც პრაქტიკული ხედვით. მეოთხე წიგნით სრულდება მთლიანი გრამატიკის - მორფოლოგია, სინტაქსი - სწავლება. გაგიზიარებთ როგორ შემოდის ქართული ზმნა სწავლების სახელმძღვანელოებში დონეების მიხედვით და როგორია უკუგება ამ მიდგომასთან.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისი; დადგენილება # 394/დანართი 4 - ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, თბილისი, 2020
2. **ოძელი, მ.**, - ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობრივი ექტი. თბილისი, 2016
3. შანიძე, ა., - თხზულებანი თორმეტ ტომად. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. III ტომი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1980
4. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).
5. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“, დონე AI/A2, „სამუშაო რვეული“, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2013 (2008).
6. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე AI/A2, „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. გამომცემლობა „ფორმა“. 2021 (2014, 2007).

7. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A 1, „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეექვსე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2025 (2022, 2019, 2014, 2012, 2006).
8. <https://eqe.ge/ka/page/static/665/profesiuli-standartebi>
9. <http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>
10. <https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>
11. <https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

Nana Shavtvaladze

Georgian University

Tbilisi, Georgia

a-mail: www.ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.21>

SJIF 2025: 8.584

Teaching the Verb System According to the CEFR (Series I: Present Tense Group)

Interest in Georgian as a foreign language has become especially prominent in this century. Of course, there was interest in learning this unique language earlier as well. That's why there were textbooks published for learning Georgian. However, it has only been in the past couple of decades that many foreigners have become interested in speaking Georgian.

This approach differs from the format of learning Georgian as a second language.

Recently, several textbooks have been published. Creating a textbook—especially one for the Georgian language—is a massive undertaking. There are many textbooks for learning foreign languages that are already tested and result-oriented. With internet access, discovering innovations and new approaches, and keeping up with the global pace, is no longer a challenge. Approaches to learning foreign languages—the paths of teaching, the methods used, strategies, and techniques—can in some ways be applied, but it is essential to consider the structure of the Georgian language and a methodical framework. Otherwise, the results will be unattainable.

Whether a textbook proves successful is determined by its users. This success is measured over years and by the number of editions published. Furthermore, the Georgian language and Georgia—by territory and sphere of use—do not occupy a large place on the global stage.

A general description of Georgian language proficiency levels is as follows: “The general description of Georgian language proficiency levels includes a set of criteria used to define proficiency in Georgian according to the corresponding levels of listening, reading, speaking, and writing. The document is based on the Common European Framework of Reference for Languages (CEFR) and its six-level system – A1, A2, B1, B2, C1, C2. The goal of the document is to implement a unified and standardized system for learning, teaching, and assessing the Georgian language. This general description of proficiency levels is mandatory in all cases of Georgian language learning, teaching, and assessment as defined by legislation.”

This official document is very promising; it now serves as a foundation for using indicators and evidence when assessing Georgian language skills. Through it, it is possible to determine the alignment of materials, textbooks, and learning outcomes with language proficiency levels.

The most important aspects of a textbook are: defining its specific purpose, outlining the teaching path, organizing content logically, structuring each topic clearly, ensuring methodological consistency, following a strategy from simple to complex, organizing vocabulary purposefully, and so on.

Currently, the subject of our research is the scope of verb usage. Accessibility, comprehension of content, perception of the situation, and purposeful response are conceptually understandable and achievable. Every language uses its own structure to express this—which is natural. That the verb is the backbone of Georgian grammar is undisputed. By the way, many other languages' grammars emphasize the same action, but Georgian has no equal in this regard.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა მიქაძე

შინაარსი

ენათმეცნიერება

ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი ლექსიკურ-სემანტიკურ ველთა ვარიაციულობა ფრანგული ენის ტერიტორიულ ვარიანტებში	9
---	---

Shorena Barbakadze, Ketevan Rekhviashvili Digital Philology: Classical Foundations, Contemporary Developments and Future Horizons	14
--	----

ეკატერინე გაჩეჩილაძე დროითი ფორმების ფუნქციონირება სხვადასხვა ტიპის დისკურსში: futur antérieur და passé simple გამოყენების თავისებურებები ფრანგულ ენაში	23
--	----

რუსუდან გერსამია, თამარ გოგია მიმართვის ფორმათა კლასიფიკაცია მეგრულსა და ლაზურში	27
--	----

ნინო თავიდაშვილი ალუზია როგორც ინტერტექსტუალობის სტრატეგია პოლიტიკურ დისკურსში	34
--	----

თამარ მახაროზიძე ნივთიერებათა სახელები ქართულ ჟესტურ ენაში	40
--	----

Нанули Мелкадзе Деривация или редеривация: обратное словообразование в русском языке	45
--	----

მანანა მიქაძე „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ-ინტონაციური ფუნქციისათვის ოტია იოსელიანის პროზაში	48
---	----

ნინო ჩუბინიძე ვნებიოთი კონსტრუქციების როლი მანიპულაციურ პოლიტიკურ რიტორიკაში.....	54
---	----

მაია ჯავახიძე კილოს, დროისა და მოდალობის მიმართებისთვის იტალიურ ენაში.....	63
--	----

ლიტერატურათმცოდნეობა

თამთა კელენჯერიძე სიმბოლური სახეები და ნიშნები დისტოპიურ ჟანრში: უილიამ გოლდინგის რომანის „ბუზთა ბატონის“ მიხედვით“	72
--	----

ნანა კუპრაძე

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „არწივი“76

დარეჯან მენაბდე

ქართული სარაინდო რომანი გერმანულ ენაზე82

ნანა ფრუიძე

აკაკი წერეთელი საგმირო-სარაინდო რომანების შესახებ.....87

ეკატერინე ქრისტინაშვილი, გურანდა გობიანი

დისკურსული მჭერმეტყველების ფსიქოლინგვისტური პარამეტრები.....94

ისტორია**Mohsen Zamani**The Role of the Culture of Sacrifice and Martyrdom in the Creation of
a new Islamic Civilization102**ფილოსოფია****ნანა გულიაშვილი**

მეტაფორა როგორც ხელოვნების ენა114

პედაგოგიკა**იაგორ ზალანჩივაძე, მაკა აბულაძე**თემთან თანამშრომლობის ასპექტები ადრეული და სკოლამდელი განათლების
სტანდარტის მიხედვით119**იმერი ბასილაძე, ლელა თავდგირიძე, ნინო ჭოხონელიძე**განწყობის ფსიქოლოგიის საკითხები იაკობ გოგებაშვილის
საბავშვო მოთხრობებში126**Nino Tskhakaia**

GenAI-Enhanced Approach in EFL: The Case of Georgia133

ნანა შავთვალაძეზმნის უღლების სისტემის სწავლება ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად
(I სერია, აწმყოს წრე)137

Contest

Linguistic

Tsiuri Akhvlediani, Mariam Burchak-Abramovich

Lexico-semantic variation in the territorial variants of the French language13

შორენა ბარბაქაძე, ქეთევან რეხვიაშვილი

ციფრული ფილოლოგია: კლასიკური საფუძვლები, თანამედროვე განვითარება
და მომავლის პერსპექტივები21

Ekaterine Gachechiladze

The Functioning of Temporal Forms in Different Types of Discourse: Features of the Use
of Futur Antérieur and Passé Simple in French26

Rusudan Gersamia, Tamar Gogia

Classification of Address Forms in Megrelian and Laz32

Nino Tavidashvili

Allusion - a Strategy of Intertextuality in Political Discourse38

Tamar Makharoblidze

Material nouns in GESL45

Nanuli Melkadze

Derivation or Rederivation: Back-Wordformation in Russian47

Manana Mikadze

For the syntactic-semantic-intonational function of
the conjunction “and” in Otia Ioseliani’s proze53

Nino Chubinidze

The Role of Passive Constructions in Manipulative Political Rhetoric61

Maia Javakhidze

The Interrelation of Mood, Tense, and Modality in the Italian Language70

Literature and Literary Theory

Tamta Kelenjeridze

„Symbolic characters and signs in the Dystopian Genre” based on
William Golding’s Novel „Lord of the Flies”75

Nana Kupradze

Vazha-Pshavela's story "The Eagle"80

Darejan Menabde

The Georgian Chivalric Romance in the German Language86

Nana Pruidze

Akaki Tsereteli about heroic novels.....93

Catherine Kristinashvili, Guranda Gobiani

Psycholinguistic Parameters of Discursive Eloquence101

History**Mohsen Zamani**The Role of the Culture of Sacrifice and Martyrdom in the Creation of
a new Islamic Civilization102**Philosophy****Nana Guliashvili**

Metaphor as a language of art117

Pedagogic**Iagor Balanchivadze, Maka Abuladze**Aspects of Community Engagement According to the
Early Childhood and Preschool Education Standard124**Imeri Basiladze, Lela Tavdgiridze, Nino Tchokhoniidze**Psychological Aspects of Disposition in the Children's Stories of Iakob Gogebashvili
.....131**ნინო ცხაკაია**

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (GenAI) ინტეგრაცია განათლებაში.....136

Nana Shavtvaladze

Teaching the Verb System According to the CEFR (Series I: Present Tense Group)143